

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების
ინსტიტუტი

არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის

73-ე

სამეცნიერო სესია

ეძღვნება პროფ. ა. კიზირიასა და პროფ. მ. ქაღდანის
დაბადების 100 წლისთავს

მ ა ს ა ლ ე ბ ი

2014 წლის 23-25 დეკემბერი

თბილისი
2014

სამეცნიერო სესია გაიმართება არნ. ჩიქობავას სახელობის
ენათმეცნიერების ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში
(ინგოროყვას ქუჩა №8, მეორე სართული)

რ ე გ ლ ა მ ე ნ ტ ი

მომხსენებელს — 10 წუთი

მსჯელობაში მონაწილეს — 3 წუთი

რედაქტორები — **ავთანდილ არაბული**
თამარ ვაშაკიძე

© თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ISBN

მუშაობის გეგმა

23 დეკემბერი, 11 საათი

ი. ჩანტლაძე — პროფესორ მაქსიმე ქალდანის ღვაწლი ქართველოლოგიაში

თ. ბურჭულაძე — ანტონ კიზირია — 100

მოგონებები, გამოსვლები

თ. უთურგაიძე — /ხ-/ (resp. /ჰ-/) პრეფიქსი ი-პრეფიქსიან პასივებში

ვ. შენგელია — ჩერქეზულ ანთროპონიმთა ქართულად გადმოცემის საკითხები. პირთა სახელები. I

ე. გაზდელიანი — ვითარებითი ბრუნვისათვის სვანურში

რ. ჭკადუა, ნ. ლოლაძე — მოძრაობის ზმნები სვანურში

ქ. მარგიანი-სუბარი — სვანური **ლიჭრი/ლიჭრენი** („მიკერება, მიბმა, მიერთება“) და ქართული **კერვა** ლექსემების ურთიერთმიმართებისათვის

მ. საღლიანი, ნ. შავრეშიანი — რედუბლიკაცია და სუფიქსაცია სვანურში (ფონოსემანტიკური მასალის საფუძველზე)

ლ. კელაურაძე — საერთო-ქართველური ***-ავ** თემის ნიშნის რედუბლიკებისათვის სვანური ზმნის უღლებად ფორმებში

რ. გერსამია — მაერთხმოვნია ანუ ინფიქსური რედუბლი-

კაცია ქართველურ ენებში

თ. ტეტელოშვილი — სახელთა ორმაგი ტრანსლაციის მექანიზმი ქართულში

რ. კანარკოვსკი — ქართული „ცხ-“ ძირის აგებულებისა და წარმომავლობისათვის

24 დეკემბერი, 11 საათი

გ. გოგოლაშვილი — შენიშვნები ზმნის თემისა და თემის ნიშნების შესახებ

ა. არაბული — ნამიმღობარი ზმნისართების ერთი ტიპის გააზრებისათვის სემანტიკური და სინტაგმატური თვალსაზრისით

მ. ლონტი — ქართული სიტყვის საღვთისმეტყველო ასპექტები (მოყვასი, მეგობარი და ამხანაგი)

თ. ვაშაკიძე — მუხრან მაჭავარიანი — „მზეს ალბათ ჩემთან მგზავრობა უნდა“ (წელიწადის დრონი)

თ. ბურჭულაძე — ენის ოფიციალურ-საქმიანი სტილი (საკითხის ისტორიისათვის)

მ. კიკონიშვილი, ნ. ჭუმბურიძე — პიროვნული სახელები მე-19 საუკუნის თავად-აზნაურთა სიების მიხედვით

რ. რამიშვილი — **-ყე/-ყენ** თანდებულის ზოგიერთი ფუნქცია ფერეიდნულში

ნ. ჭოხონელიძე — ზმნურ ფორმათა რელატიურ-სინონი-
მური პარალელიზმი რ. ინანიშვილის ენის მიხედვით

მ. ჩაჩანიძე — დეფინიციათა ტავტოლოგიურობის შეფასე-
ბისათვის განმარტებით ლექსიკონებში

გ. გვანცელაძე — კონცეპტი ოჯახი ქართულში

ნ. სებისკვერაძე — მოსაუბრის სამეტყველო ეტიკეტის
ასახვა ანდაზებში (ქართული და რუსული ანდაზების შეპირისპირე-
ბით მასალაზე)

ს. ბერულავა, მ. ჯღარკავა — ინტერფერენციის საკითხი-
სათვის ლაზური დარგობრივი ლექსიკის მიხედვით (მიმინოთი
ნადირობა)

დ. კაკაშვილი — სიტყვაწარმოების შესახებ წოვათუშურ
ენაში

25 დეკემბერი, 11 საათი

ნ. მაჭავარიანი — მაღინამიკურებელი გარდაქცევითობის
-სა სუფიქსის წარმომავლობისათვის აფხაზურში

მ. ჩუხუა — ბგერათშეერთების წესები სვანურში (ხმოვნები)

მ. საღლიანი — სივრცული ლოკალიზაციისა და მყოფობა-
მქონებლობის აღმნიშვნელ ზმნათა ურთიერთმიმართებისათვის
სვანურში

მ. ბუკია — თურქული ელემენტები ლაზურში (ორენოვანი კომპოზიტები)

თ. ლომთაძე — ენობრივი პოლიტიკის საკითხებისათვის თანამედროვე გალიციაში

ც. ჯანჯღავა — ლაზური **შური** „სული“ ფრაზეოლოგიზმებში

ნ. შავრეშიანი, ლ. გიგლემიანი — **გომნი||გომდი** ნაწილაკისათვის ქართულში

მ. ლაბარტყავა — მოზარდთა ენობრივი თავისებურებებისათვის

პროექტი „ნახურ და დაღესტნურ ენათა შედარებითი გრამატიკა“

ლ. სანიკიძე — აბლაუტი ბაცბურ (წოვა-თუმურ) **კაჟჟჟ** („მტრედი“) ტიპის სახელთა ბრუნებაში

რ. ფარეულიძე — ფონეტიკური მოვლენები ნახურ ენებში — **ღ** ბგერის დაკარგვა ინლაუტში

ნ. არდოტელი — ლატერალურ სპირანტ **ლ'**-ს გენეზისისათვის ბაცბურ ენაში

ლ. აზმაიფარაშვილი — ზოგიერთი საერთო აფიქსური მორფემა დაღესტნურ ენებში

რ. ლოლუა — წინაველარული აფრიკატები საერთოლენგუაში

პროფესორ მაქსიმე ქალდანის ღვაწლი ქართველოლოგიაში

დღენიადაგ ფუტკარივით მშრომელმა პროფესორმა, რომელმაც არაერთი მეტად მნიშვნელოვანი ქართველოლოგიური წიგნის პუბლიკაციაში მიიღო მონაწილეობა, როგორც თანაავტორმა თუ რედაქტორმა, თავისი სიცოცხლის 68 წლის მანძილზე მხოლოდ ერთადერთი, მაგრამ აღმოჩენის ტოლფასი მონოგრაფიის გამოცემა შეძლო; ეს იყო „სვანური ენის ფონეტიკის“ პირველი ტომი, რომელიც მისი სადოქტორო დისერტაცია გახლდათ და ეძღვნებოდა უმლაუტის სისტემის მორფონოლოგიური ასპექტების სკრუპულოზურ კვლევას. ივარაუდებოდა სხვა ტომებიც, მაგრამ, სამწუხაროდ, ბატონმა მაქსიმემ ვეღარ შეძლო დასახული მიზნების განხორციელება — სრულიად მოულოდნელად ნაადრევად წავიდა ჩვენგან.

მეტად რთული ცხოვრება განვლო პროფესორმა მაქსიმე ქალდანმა, რომელიც ზემო სვანეთის ულამაზეს სოფელში — თავრარში დაიბადა 1913 წელს. სვანეთში მაშინ კი არა, დღესაც კი საკმაოდ მძიმე პირობებია განათლების მისაღებად, ამიტომაც მას რამდენიმე სკოლაში მოუწია სწავლა სვანეთისა თუ სამეგრელოს სხვადასხვა სოფელში: ჭუბერში, ჯვალსა და ჯვარში, ხოლო 1932 წელს დაამთავრა თბილისის პედაგოგიური სასწავლებელი. ამის შემდეგ იგი ბაკურციხის დაწყებითი სკოლის პედაგოგი გახლდათ ორი წლის მანძილზე, მერე კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის წარჩინებული სტუდენტი.

1939 წლიდან მთელი ოცი წლის განმავლობაში ბატონი მაქსიმე მუშაობდა ზემო სვანეთის სხვადასხვა სკოლის მასწავლებლად, ბოლოს კი მესტიის პედაგოგიური სასწავლებლის დირექტორად. რომ აკადემიკოსები აკაკი შანიძე და ვარლამ თოფურია არა, პროფესორი მაქსიმე ქალდანი შეიძლებოდა არც კი გვეყოლოდა, მიუხედავად მისი გამორჩეული ნიჭიერება-შრომისმოყვარეობისა. ქუდბედიანი კი მართლაც ყოფილა ბატონი მაქსიმე! — 1948 წლიდან ის სწავლობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურაში, რომლის

დამთავრების შემდეგ, 1954 წელს, დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია სვანური ენის მეტად სპეციფიკური მეტყველების — ლახამულური კილოკავის ფონეტიკურ თავისებურებათა შესახებ. 1969 წლიდან მაქსიმე ქალდანი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორია.

მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ბატონი მაქსიმე დღენიადგ იღვწოდა ენათმეცნიერების ინსტიტუტში, აქ, ამ კედლებში. პარალელურად შეთავსებით მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრაზე და კითხულობდა „სვანური ენის სტრუქტურული ანალიზის“ სალექციო კურსებს. სწორედ მაშინ აკაკი შანიძესთან და ზურაბ ჭუმბურიძესთან ერთად მან შექმნა „სვანური ენის ქრესტომათია“ (1978 წ.). იმ დროისათვის სტუდენტებს სხვა არანაირი სახელმძღვანელო არ ჰქონდათ სვანურის შესასწავლად. მადლობა ღმერთს, მას შემდეგ, მიუხედავად არაერთი დაბრკოლებისა, ასე თუ ისე მაინც წინ წავიდა ქართველოლოგიის საქმე და დღეისათვის სვანური ენის უკვე სამი სახელმძღვანელო გვაქვს (ვარლამ თოფურიასი, ალექსანდრე ონიანისა და ზურაბ ჭუმბურიძისა), ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული როგორც მეთოდოლოგიით, ისე შინაარსობრივად თუ სტილით. იმის მიხედვით, როგორი დონე აქვთ სტუდენტებსაც და ლექტორებსაც, სხვადასხვა წიგნი აირჩევა ხოლმე სახელმძღვანელოდ უმაღლეს სასწავლებლებში.

1957-1979 წლებში განახლდა აკაკი შანიძისა და ვარლამ თოფურიას მიერ ადრე დაარსებული სერია „მასალები ქართველურ ენათა შესწავლისათვის“ — გამოიცა ბალსქვემოური, ლენტეხური და ლაშხური ტექსტები, რომელთა უმრავლესობის ადგილზე ჩამწერიცა და ავტორიც გახლდათ ბატონი მაქსიმე ვარლამ თოფურიასთან, ალი დავითიანთან და ზურაბ ჭუმბურიძესთან ერთად. სამწუხაროდ, მერე ისევ შეწყდა აღნიშნული სერიის პუბლიკაციები და მხოლოდ უკანასკნელ ხანებში რის ვაი-ვაგლახითა და რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით შევქელით მისი აღდგენა ჩვენი „კოდორული ქრონიკებით“.

1973 წელს პროფესორმა მაქსიმე ქალდანმა აკაკი შანიძესთან ერთად გამოსცა ალი დავითიანის „სვანური ანდაზები“, რომელშიც ფიქსირებული იყო მისი ავტორის მშობლიურ სოფელში — ლახამულ-

ლაში გაგრძელებული მეტად თავისებური მეტყველებაც და იმაგდროულად ზოგადად სვანური ენის სხვა დიალექტებისათვის დამახასიათებელი ფონოლოგიურ-გრამატიკული მოვლენები, რასაც, თავისთავად ცხადია, განაპირობებდა საკვლევი ჟანრი. ამიტომაც ეს გამოცემა იქცა მეტად საყურადღებო დასაყრდენად მომავალ მკვლევართათვის თეორიული დასკვნებისათვის. ალი დავითიანი მაშინ ახალი გარდაცვლილი იყო და, როგორც აკაკი შანიძე აღნიშნავს წიგნის წინასიტყვაობაში, პროფესორმა მაქსიმე ქალდანმა დიდი ხალისით იღო თავს სასტამბოდ მომზადება ბალსქვემოური დიალექტის ლახამულურ კილოკავზე წარმოდგენილი ანდაზებისა, რომლებიც აკვნიდანვე ესმოდა ალი დავითიანს.

ყველაზე დიდი აღიარება მაქსიმე ქალდანს მოუტანა მისმა სადოქტორო დისერტაციამ და ვარლამ თოფურიას მეთოდოლოგიით შექმნილმა „სვანურმა ლექსიკონმა“. დღეს, როგორც კი ამ ორ წიგნს ახსენებს ვინმე ჩვენში თუ საზღვარგარეთ, მას მაშინვე თვალწინ წარმოუდგება ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილებაში, ერთ ძველებურ საწერ მაგიდასთან, უამრავ და უახლეს საილუსტრაციო მასალაში ჩაფლული ნიჭიერი მკვლევარი, რომელსაც არავინ აკლიდა თავის თავზე მუშაობას. მაშინ სვანურის მცოდნეთა რიცხვით არც ისე გალალბულნი ვიყავით და ვინ აღარ მოდიოდა ბატონ მაქსიმესთან ათასგვარი შეკითხვით! მიუხედავად იმისა, რომ მას არასდროს ეცალა სხვა საქმეებისთვის, მაინც არც ერთი შემთხვევა არ მახსოვს, რომ სტუმარი უკმაყოფილო გასულიყო ჩვენი ოთახიდან. თავად ბატონ მაქსიმეს კი არასდროს წამოსცდენია საყვედური საკონსულტაციოდ მოსულთა მიმართ — პირიქით, ძალიანაც უხაროდა, მისი „აკვნის ენით“ მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები რომ იყვნენ დაინტერესებულნი.

Um + laut გერმანული სიტყვაა და ქართულად „გადაბგერებას“ ნიშნავს, ამიტომაც სრულიადაც არაა გასაკვირი, რომ რუსი გერმანისტები უფრო ხშირად ხმარობენ ტერმინს "перегласовка".

ტრადიციული ვაგებით, „უმლაუტი არის ხმოვნის შეცვლა მომდევნო ხმოვნის გავლენით და ამ უკანასკნელის არტიკულაციის მიმართულებით“ (Стеблин-Каменский М. И., Умлаут в германских

языков, Сравнительная грамматика германских языков, II, Москва, 1962: 141). ამის მიხედვით, ტერმინი **უმლაუტი** მოიცავს ხმოვანთა ყველა იმ ცვლილებას, რომელმაც რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე შეიძლება იჩინოს თავი; მაშასადამე, ამ პროცესში მხოლოდ ხმოვანთა პალატალიზაცია კი არ ივარაუდება (**ა + ი > ა̃, ო + ი > ო̃, უ + ი > უ̃**), არამედ პალატალური ხმოვნების გაფართოება და ლაბიალიზაციაც, რასაც **ე/ი** ფონემებისგან მომდევნო **ა, ო, უ** ხმოვანი და **ჟ** სონანტი იწვევდნენ. ამრიგად, გერმანიკულ ენებში, განსაკუთრებით ინგლისურსა და სკანდინავიურში, საიდანაც მომდინარეობს ტერმინი „უმლაუტი“, არსებობს **წინა, ანუ პალატალური უმლაუტი**, ერთი მხრივ, და **უკანა, ანუ ველარული (ლაბიალური) უმლაუტი**, მეორე მხრივ.

მიუხედავად იმისა, რომ სვანური ენის კვლევის დაწყება აკადემიკოს ნიკო მარის სახელთანაა დაკავშირებული, უმლაუტის შესახებ მას მხოლოდ ცალკეული გამონათქვამები აქვს. ეს მოვლენა როგორც მორფონოლოგიური პროცესი, საგანგებოდ შეისწავლა აკაკი შანიძემ, რომლის ფუნდამენტური გამოკვლევა დაიბეჭდა ივანე ჯავახიშვილისადმი მიძღვნილ კრებულში „არილი“ 1925 წელს და რომლითაც დაიწყო სრულიად ახალი ეტაპი სვანური ენის მეცნიერული შესწავლის საქმეში. გასაოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ კლასიკური უმლაუტის მქონე გერმანული ენის კლასიკურმა მცოდნემ მხოლოდ პალატალურ უმლაუტზე იმსჯელა, ველარული კი არც მაშინ და არც შემდეგ, ვიდრე მაქსიმე ქალდანი არ დაიცავდა სადოქტორო დისერტაციას, სვანურში შენიშნული არ ყოფილა, თუმცა **ე > ა̃ > ა** ხმოვანთმონაცვლეობას, როგორც **აბლაუტს**, სხვადასხვა დროს განიხილავდნენ: ვარლამ თოფურია, სერგი ყლენტი, თინათინ შარაძენიძე, კარლ ჰორსტ შმიდტი და სხვები.

მაქსიმე ქალდანი და დიდალი, სრულიად ახალი საილუსტრაციო მასალა წარმოადგინა ერთგვარი სისტემის სახით როგორც მშობლიური ცოცხალი მეტყველებიდან, ისე ქართულ ენაზე შესრულებული სვანური ისტორიული ძეგლებიდან და უკანა მიმართულების უმლაუტის კვალი იპოვა როგორც სახელებში, ისე ზმნებსა თუ ფორმატვლელ სიტყვებში. მისმა ამგვარმა მიდგომამ სათავე დაუდო არაერთ ახალ ეტიმოლოგიურ ძიებას, აგრეთვე, ძველ ეტიმოლოგიათა გადა-

სინჯვის მცდელობას ველარული უმლაუტის, როგორც ფონოლოგიური პროცესის, თვალთახედვიდან ამოსვლით.

იშვიათად მახსოვს სადოქტორო დისერტაციის დაცვის მსგავსი წარმატებული პროცესი — ყველა მოკამათემ, ოფიციალურმა თუ არაოფიციალურმა, ძირითადად გაიზიარა სვანური ველარული უმლაუტის არსის დისერტანტისეული ახსნა, თუმცა 14 წლის შემდეგ, 1983 წელს, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეულის“ X ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში "Некоторые основные вопросы склонения сванского языка" პროფესორი თინათინ შარაძენიძე არ იზიარებს მაქსიმე ქალდანის მიერ ***ბენა**, ***გენა** სავარაუდო ფორმებიდან მომდინარე ლაშხური **ბენ** („ქვა“) და **გენ** („დანა“) ლექსმთავან სვანური ენის სხვა დიალექტებში წარმოდგენილი მასალის (**ბან**, **გან**) ახსნის შესაძლებლობას ველარული უმლაუტის გზით იმაზე დაყრდნობით, რომ უშუალოდ ჩაწერილი სიმღერის ტექსტში გვხვდება **განარს** („დანებს“); მრავლობით რიცხვში დაცული ძირისეული **ან** ხმოვნის მეორეულობაზე მხოლოდ ერთადერთი მაგალითით ვერ ვიმსჯელებთ და, მით უმეტეს, ვერც ანალოგიურ შემთხვევებზე გავავრცელებთ. რაც შეეხება უშუალოდ კილოკავისთვის ძალზე ხშირად დამახასიათებელ **ენ** > **ან** პროცესს, ის არ გამოგვადგება სვანური ველარული უმლაუტის ძიების დროს, რადგანაც ჯერჯერობით აღნიშნული პროცესის განხორციელების პირობები დადგენილი არ არის — ყოველ შემთხვევაში ის მაინც ცხადია, რომ **ენ** > **ან** სთვის სრულიადაც არ არის აუცილებელი ველარული გარემოცვა (**კეინსარი** > **კენსარ** > უშგ. **კანსარ**) — გვ. 86.

ფიქრობთ, შენიშვნები საკმაოდ სერიოზულია და ამიტომ საკითხს დამატებითი კვლევა-ძიება სჭირდება თანამედროვე ქართვლოლოგთა მიერ.

ბატონ მაქსიმეს ტერმინი „ველარული“ სვანური პალატალური ხმოვნების გაფართოებისთვის (მომდევნო პოზიციაში მყოფი **ა**, **ო**, **უ** და **ჟ** ფონემათა გავლენით) მაინცადამაინც მოხერხებულად არ მიაჩნდა და უპირატესობას ანიჭებდა „უკანა მიმართულების უმლაუტს“, რომელსაც უკანასკნელ ხანებში მერაბ ჩუხუამ რატომღაც „უკუუმლაუტი“ უწოდა (2000-2003: 180) და რომელიც, თავისი ლაკონიუ-

რობის გამო, ტერმინად ეგების უფრო მოსახერხებელიც კი იყოს, თუმცა რამდენადმე ბუნდოვანი ჩანს — მასში ვინმემ შესაძლოა უმლაუტის შებრუნებული ან საწინააღმდეგო პროცესი დაინახოს.

დაბოლოს, „სვანური ლექსიკონი“, რომლის შექმნაზე მუშაობისას უკვე აუგო პროფესორმა მაქსიმე ქალდანმა მართლაც ხელთუქმნელი ძეგლი არა მხოლოდ თავის ხალხსა თუ მშობლიურ მეტყველებას, არამედ ყველა ქართველოლოგს, და დაუსახა დიდებული გზები სამომავლო საქმიანობისთვის, თუმცა თავად ვეღარ მოესწრო თითქმის ნახევარსაუკუნოვანი მუხლჩაუხრელი შრომის შედეგის პუბლიკაციას, რაც, რალა თქმა უნდა, ძალზე დასანანია. მართალია, არც ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექციას და არც ქართველურ ენათა განყოფილების სვანური ენის შემსწავლელ ჯგუფს არანაირი ძალა, ენერგია, ცოდნა, ნიჭი თუ შრომისმოყვარეობა არ დაუკლია მისი გამოსაცემად მომზადებისთვის, მაგრამ ბატონი მაქსიმე რომ ცოცხალი ყოფილიყო, „სვანური ლექსიკონი“ უფრო ადრეც გამოვიდოდა და გაცილებით უკეთესიც იქნებოდა — ჩვენ მეტი ვერ შევძელით. ენათმეცნიერების ინსტიტუტის არქივში არსებობს: სები გულედანის, არსენ ონიანის, ალი დავითიანის, მერი გუფეჯიანის, სპირიდონ ტვილდიანის, მაქსიმე ქალდანისა და სხვათა მიერ სვანური ენის ყველა დიალექტსა თუ უმეტეს კილოკავებზე ფიქსირებული უაღრესად სანდო, პირველწყაროს ტოლფასი მასალები, რომელთაც ახლავთ ვარლამ თოფურიას მეთოდოლოგიითა და ხელმძღვანელობით დამუშავებული ფონოლოგიურ-გრამატიკული კვალიფიკაციები, სამტომეულ „სვანურ ლექსიკონს“ რომ დაამშვენებდა. ძალზე საშურია მათი სამზეოზე გამოტანა და ქართველოლოგიით დაინტერესებულ მკითხველთათვის მიწოდება ჩვენში თუ საზღვარგარეთ.

გარდა ამისა, აუცილებელია პროფესორ მაქსიმე ქალდანის ხელნაწერი შრომების სასწრაფოდ მოძიება და დროული გამოცემა სამეცნიერო კრებულისა, რომლის მომავალი ავტორი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მონოგრაფიათა პუბლიკაციებით მაინცადამაინც გალალბებული არ ყოფილა თავის სიცოცხლეში. მისმა მოწაფეებმა იქნებ როგორმე გამოვასწოროთ ეს დანაკლისი!..

სვანები, ჩვეულებრივ, ფიცხები არიან ხოლმე, მაგრამ ეს თვისება მას არასდროს გამოუმყდვინებია. 20 წლის განმავლობაში ერთ

ოთახში ვისხედით და არც ერთი შემთხვევა არ მახსოვს, ის წონასწორობიდან გამოსულიყო, მიუხედავად იმისა, რომ არაერთხელ ატკინეს გული! მისთვის მთავარი მშობლიური კუთხე და ამ კუთხის ეთნოლინგვისტური შესწავლა იყო.

მეცნიერებს, როგორც წესი, უჭირთ ხოლმე აღრინდელ მოსაზრებათა შეცვლა ან სულაც უარყოფა. ბატონ მაქსიმეს არც ასეთი შემთხვევებისგან დაუხევია უკან თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობის მანძილზე. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ მხოლოდ ორ მაგალითს:

1. ვარლამ თოფურიას ნაადრევი გარდაცვალების შემდეგ ქართველურ ენათა განყოფილებაში დარჩა სამეტომეული „სვანურ-ქართული ლექსიკონის“ (მამინ ასე ერქვა!) მასალა, რომელიც მასდარისეული ფორმების მიხედვით იყო გაწყობილი ანბანთრიგზე. რასაკვირველია, ამ უზარმაზარ ლექსიკონში არაერთი ზმნის პირიანი მონაცემიც გვხვდებოდა, მაგრამ საკლასიფიკაციო პრინციპად მაინც მასდარული სისტემიდან ამოსვლა ითვლებოდა. ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომამ სპეციალურად განიხილა სვანურ ლექსიკონზე მუშაობის საკითხი და, მიუხედავად იმისა, რომ სამუშაოს ნახევარზე მეტი უკვე დასრულებული იყო, სასურველად იქნა მიჩნეული მისი ხელახლა გადაწყობა საუღლებელ ზმნათა ძირითადი პარადიგმატული ერთეულების ჩვენებით, ანუ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის შედგენის პრინციპებიდან ამოსვლით. ბუნებრივია, ყოველივე ამის გამო, აუცილებელი გახდა ახალი სალექსიკონო პროსპექტების შექმნა, რაც დაევაღათ პროფესორებს თინათინ შარაძენიძეს (სახელებისა და ფორმაუცვლელი სიტყვებისა) და მაქსიმე ქალდანს (ზმნისა). თავისთავად ცხადია, ამას ძალიან დიდი დრო (წლები) და ენერგია დასჭირდა, მაგრამ ბატონ მაქსიმეს ერთხელაც კი არ წამოსცდენია არანაირი საყვედური ვინმეს მიმართ, ოღონდ კი საქმე გაკეთებულიყო. სამწუხაროდ, სვანური ენის შემსწავლელი ჯგუფის გარდა, ამ შესანიშნავი პროსპექტების შესახებ არავინ არაფერი იცის, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ 2000 წელს ვითხოვდით მათ გამოქვეყნებას.

2. დღეს რომ სვანური ენის დიალექტთაგან ყველაზე უკეთ ბალსქვემოურია შესწავლილი, ეს, უპირველეს ყოვლისა, ვარლამ თო-

ფურიას და მაქსიმე ქალდანის დამსახურებაა. თავისი სათაყვანებელი მასწავლებლის დავალებით ბატონმა მაქსიმემ გამოწვლილვით შეისწავლა ბეჩოური, ეცერული, ფარული, ჩუბეხეური და ლახამულური კილოკავების ფონეტიკურ-გრამატიკული ასპექტები და წარმოადგინა ცალკე სტატიების სახით ენათმეცნიერების ინსტიტუტის ძირითადი საგამომცემლო ორგანოების „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერებისა“ თუ „ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხების“ სხვადასხვა ტომში. იკეს XI ტომში (გვ. 213-234), რომელიც 1959 წელს დაისტამბა, ბატონმა მაქსიმემ **ცხუმარული მეტყველება ეცერული კილოკავის ერთ-ერთ თქმად მიიჩნია**, თუმცა ორი წლით ადრე, როცა გამოიცა სვანური პროზაული ტექსტების მეორე ტომი, მაქსიმე ქალდანი აღნიშნავდა: „ბალსქვემოური დიალექტი მოიცავს ბალს ქვემოთ ოდითვე არსებული ყველა საზოგადოების მეტყველებას: ბეჩოურს, ცხუმარულს, ეცერულს, ფარულს, ჩუბეხეურსა და ლახამულურს. მათ შორის კილოკაური სხვაობა იმდენად დიდია, რომ თვით ადგილობრივები შეუცდომლად არჩევენ ბეჩოურს ეცერულისგან და ეცერულს ლახამულურისგან... **ცხუმარული ცალკე კილოკაური ერთეულია** (თბილისი, 1957: XII). მაშასადამე, მას შემდეგ, რაც ბალსქვემოური დიალექტის ყველა სოფლის მეტყველების ამსახველი ყველა ტექსტი უკვე ხელთ ჰქონდა პროფესორ მაქსიმე ქალდანს, მას მეტი შესაძლებლობა მიეცა მათი შედარებისა, რამაც მისცა საშუალება ადრინდელი შეხედულების გადასინჯვისა ისე, რომ სულაც არ უთაკილია ამის გამო, რადგანაც მეცნიერებაში მთავარია ობიექტური, რეალური თვალსაზრისი.

სწორედ ამიტომ დღეს, მისი დაბადების საუკუნოვან იუბილეზე, დიდი სიამაყით (თუმცა სინანულითაც) ვიგონებთ ჩვენს შესანიშნავ მასწავლებელს, თავდაჯერებულ მკვლევარს, გონიერებით გამორჩეულ პიროვნებას, ვინც საოცრად გვიყვარდა და ყოველთვის ყველაფერში ვენდობოდით.

ანტონ კიზირია – 100

2014 წელი პროფესორ ანტონ კიზირიას საიუბილეო თარიღია, მას დაბადებიდან 100 წელი შეუსრულდა. მისი, როგორც მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, სამუშაო პროფილი ფართო და მრავალმხრივი გახლდათ. იგი წლების განმავლობაში იკვლევდა ქართველური ენების სტრუქტურისა და ისტორიის საკითხებს, ძირითადად — ქართველური ენების სინტაქსის პრობლემებს. მკვლევარი 70-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა და 6 მონოგრაფიის ავტორია.

ა. კიზირიას, როგორც ძველი და თანამედროვე ქართული ენის სინტაქსის ჩინებულ მკვლევარს, საყოველთაო აღიარება მოუტანა გრცელმა მონოგრაფიამ „მარტივი წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში“ (1963 წ.). ამას შემდგომ მოჰყვა ასევე უაღრესად მნიშვნელოვანი ნაშრომი „რთული წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში“ (1969 წ.). მათში საფუძვლიანად დამუშავდა ძველი ქართული ენის სინტაქსის საკითხები, რამაც, ცხადია, დიდად შეუწყო ხელი ძველი ქართული ენის კვლევის საქმეს. მეტად ფასეულია ავტორის თვალსაზრისები რთული ქვეწყობილი წინადადების სტრუქტურისა და გენეზისის შესახებ.

მნიშვნელოვანია ანტონ კიზირიას გამოკვლევა მარტივი წინადადების შედგენილობის შესახებ ქართველურ ენებში („მარტივი წინადადების შედგენილობა ქართველურ ენებში“, 1982 წ.), სადაც დეტალურადაა ნაჩვენები სხვაობა და მსგავსება ქართველურ ენებს შორის შესიტყვების დონეზე თუ მარტივი წინადადების შედგენილობის თვალსაზრისით. ავტორი საკითხებს ახალიზებს ქართული ენის დიალექტებში შემონახული არქაული ფორმების გათვალისწინებითაც.

უაღრესად ფასეულია მეცნიერის გამოკვლევა „მარტივი წინადადების ტიპების შესახებ წევრთა შემადგენლობის მიხედვით და კომუნიკატივები“ (1987 წ.). მნიშვნელოვანია სრული და უსრული წინადადების მისეული ანალიზი. სწორედ ანტონ კიზირიამ პირველმა შემოიღო ცნება **კომუნიკატივი** — დაუნაწევრებელი ერთეული და

დამკვიდრა ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ეს მეტად მარჯვე ტერმინი. სიღრმისეულია ავტორისეული ანალიზი კომუნიკატივების შესახებ და მისი უსრული წინანადებისაგან გამიჯვნის არგუმენტები.

ანტონ კიზირიას გარდაცვალების შემდეგ, 1997 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ძალისხმევით დაიბეჭდა მკვლევრის ნაშრომთა კრებული „ნარკვევები ქართული ენის შესწავლის ისტორიიდან“. მასში თავმოყრილია ავტორის მიერ სხვადასხვა დროს შესრულებული ნაშრომები.

თავისი დიდი მასწავლებლის მიმართ მადლიერების გამოხატულებაა მონოგრაფია „ვარლამ თოფურია“ (ცხოვრება და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა), რომელიც ანტონ კიზირიამ პროფესორ მაქსიმე ქალდანთან თანაავტორობით გამოსცა 1968 წელს.

ცალკეა აღსანიშნავი ანტონ კიზირიას პრაქტიკუმი ქართულ ენაში, რომელიც დიდ დახმარებას უწევს სტუდენტებს ქართული ენის პრაქტიკულად შესწავლაში. ფასეულია მკვლევრის ნაშრომები როგორც მორფოლოგიის, ისე მეტყველების კულტურის საკითხების შესახებაც.

დრომ კიდევ ერთხელ გვაჩვენა, თუ რაოდენ გამორჩეული გახლდათ თავისი სამეცნიერო მოღვაწეობით პროფესორი ანტონ კიზირია. ქართული ენის სინტაქსის კვლევა დღეს წარმოუდგენელია მისი ნაშრომების გათვალისწინების გარეშე და ამ კუთხით ის უდავოდ თვალსაჩინო მეცნიერია.

ავთანდილ არაბული

ნამიმღობარი ზმნისართების ერთი ტიპის გააზრებისათვის სემანტიკური და სინტაგმატური თვალსაზრისით

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის სისტემური პრინციპების მიხედვით, მყოფადისა და უარყოფითი მიმღობების ვითარებითი ბრუნვის ფორმა — არსებითად უგამონაკლისოდ — იძლევა მეორეულ (წარმოქმნილ) ზმნისართებს, რომელთაგან პირველი გამოხატავს მოქმედების მიზანს (**დასახსნელად** = „რისთვის“), ხოლო მეორე — ვითარებას (**დაუხსნელად** = „როგორ“ — გამორიცხვის შინაარსით). ეს ზმნისართები, ჩვეულებისამებრ, შესაბამისი მიმღობის ბუდეში არის გამოყოფილი და მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში გვევლინება დამოუკიდებელ ლექსიკურ ერთეულებად. ამიტომაც ხშირად იბადება კითხვა: რამდენად არის ამგვარი წარმონაქმნი დამოუკიდებელი ზმნისართი?

საზოგადოდ, ცნობილია ვითარებითი ბრუნვის მაზმნისართებელი ძალა; ამგვარად წარმოიქმნება ზმნისართები ზედსართავი სახელებისაგან: **სწრაფად, ცხადად, აშკარად, ახლა, ნელა, ჩქარა** და სხვ.

ქველში „ბუდობრივი“ ზმნისართების გამოყოფის რამდენიმე სახის მაგალითი არსებობს:

1. სუფიქსური მიმართებითი ზედსართავი სახელებისაგან:

გონივრულ-ი → **გონივრულად**

სახოვან-ი → **სახოვნად**

2. „დანიშნულების“ თავსართ-ბოლოსართიანი ზედსართავებისაგან:

საამისო → **საამისოდ**

სახელდახელო → **სახელდახელოდ**

სასიკეთო → **სასიკეთოდ**

სათოფე → **სათოფედ**

3. ზმნური ფუძისაგან მომდინარე ამავე სტრუქტურის წარმონაქმნები, რომლებიც ზოგჯერ მიმღობადაც არის კვალიფიცირებული:

საბრალო → **საბრალოდ**

სასრილო → **სასრილოდ**

სატრაბახო → **სატრაბახოდ**

4. ზემოაღნიშნული ნამიმღობარი ზმნისართები, რომელთა სტრუქტურული ერთობა აშკარაა, მაგრამ სემანტიკა — საკმაოდ განსხვავებული: შეუბრალებელი — **შეუბრალებლად**.

რაც მთავარია, ე. წ. ნამიმღობარი ზმნისართები თავიანთი სისტემური ავტონომიურობით მნიშვნელოვნად განსხვავდება ზემომითითებული დანარჩენი ზმნისართული წარმონაქმნებისაგან.

ჯერ ერთი, პირველი ორი ჯგუფის ზმნისართები (მესამე ჯგუფს „შუალედური“ პოზიცია უჭირავს) — ვითარებითი ბრუნვის ფორმები — არსებითად იმავე პარადიგმის წევრები არიან, რომელსაც ამოსავალი ზედსართავი იძლევა, აქ ზმნისართის პარადიგმატული გამომიჯვნა არ მომხდარა არც სემანტიკურად და არც სისტემურად. ხოლო ნამიმღობარი ზმნისართები აშკარად განზე დგანან შესაბამისი მიმღობების პარადიგმისაგან. კერძოდ: **სანახავად** არ არის **სანახავი** მიმღობის პარადიგმის ფორმალური წევრი, რადგან ის გამოხატავს არა **სანახავ-** ობიექტის გარდაქცევითობას, არამედ სამოქმედო მიზანს — „ნახვისათვის“. სხვაგვარად, ორი სხვადასხვა სინტაგმაა:

ა) **სანახავად** მივდივართ;

ბ) უნახავი **სანახავად** გადაიქცა.

მეორეც: სინტაგმატური განსხვავება სხვა მხრივაც იჩენს თავს; კერძოდ, მიმღობის ვითარებითი ბრუნვის ფორმა, ჩვეულებისამებრ, ითავსებს მსაზღვრელს (ჩოხა **საუკეთესო შესამოსად** მიაჩნდათ), ხოლო ნამიმღობარი ზმნისართი — არა (**შესამოსად** გავემზადეთ).

მესამეც: აღნიშნული, როგორც ჩანს, განაპირობებს პარადიგმატული (სტრუქტურული) გამოიჯვნის ტენდენციას, კერძოდ: აშკარა დაპირისპირება ფუძის კუმშვის თვალსაზრისით; მაგალითად:

სასმელ-ი — **სასმლ-ად**, მაგრამ

სასმელად ზმნს. [ირემი] ჯოგ-ჯოგად დადიოდა მლაშეზე

სალოკად და წყლის სასმელად (ა. ყაზბ.).

მეორე მხრივ: საომარ-ი — **საომარ-ად**, მაგრამ
საომარად ზმნს. მეც მგზავნი საომარადა, დედისერთასა?!
(ილია).

სოფიკო ბერულავა, მარინა ჯღარკავა

ინტერფერენციის საკითხისათვის ლაზური დარგობრივი ლექსიკის მიხედვით (მიმინოთი ნადირობა)

ბილინგვიზმის გარდაუვალი შედეგია ინტერფერენცია — ერთი ენის ზეგავლენით მეორე ენაში სხვადასხვა ტიპის ცვლილებების დროებით გაჩენა ან მუდმივად დამკვიდრება. ეს მოვლენა განსაკუთრებით ბოლო დროს მკვლევართა დიდ ინტერესს იწვევს, რადგან გლობალიზაციის შედეგად ენობრივი კონტაქტების ხელშემწყობი პირობები გაიზარდა როგორც რაოდენობრივად, ასევე თვისობრივად.

ლინგვისტების მიერ განიხილება ინტერფერენცია მთარგმნელთა ენაშიც, რადგან არა მარტო ზეპირი მეტყველება განიცდის მეორე ენის გავლენას, არამედ მწიგნობრული ენაც.

დასტურდება, რომ პროფესიულად ორიენტირებულ კულტურათაშორის კომუნიკაციაში ჩნდება: 1. ბგერითი (ფონეტიკური, ფონოლოგიური და ბგერით-რეპროდუქციული), 2. ორთოგრაფიული, 3. გრამატიკული (მორფოლოგიური, სინტაქსური და პუნქტუაციური), 4. ლექსიკური, 5. სემანტიკური, 6. სტილისტიკური და 7. შიდაენობრივი ინტერფერენცია.

ლაზურ მასალაში, განსაკუთრებით დარგობრივი შინაარსის ტექსტებში, ინტერფერენციის ყველა ეს ტიპი დასტურდება. თუ ზეპირ მეტყველებაში შესამჩნევია მხოლოდ ბგერითი, გრამატიკული (მორფოლოგიურ-სინტაქსური), ლექსიკურ-სემანტიკური, შიდაენობრივი გავლენა, საქართველოსა და თურქეთში გამოცემულ ტექსტებში ასახულია ზემოთ ჩამოთვლილ ტიპებთან ერთად ორთოგრაფიული, პუნქტუაციური, სტილისტიკური ინტერფერენცია.

ინტერფერენციას წინ უსწრებს კოდების ცვლა, რაც შემდგომში იწვევს ამა თუ იმ ლექსემის ან გრამატიკული ფორმის დამკვიდრებას ორიგინალ ენაში.

მოხსენებაში განვიხილავთ ინტერფერენციის ტიპებს ლაზური დარგობრივი ლექსიკის მაგალითზე, კერძოდ, **მიმინოთი ნადირობის** ამსახველი მასალის მიხედვით. ნადირობის ეს სახეობა უხსოვარი დროიდან იყო გავრცელებული საქართველოში. გავიხსენოთ თუნდაც „ლეგენდა თბილისის დაარსების შესახებ“. მიმინოთი ნადირობა დღესაც საკმაოდ პოპულარულია ლაზეთში, მიმინო ლაზეთის სიმბოლოა. მრავალსაუკუნოვანმა კულტურათაშორისმა კონტაქტებმა ლაზთა მეტყველებაში შესამჩნევი ცვლილებები გამოიწვია. მაგ., **მიმინო** ქართულსა და მეგრულში საერთო ლექსემაა, ლაზურში კი ის ჩანაცვლებულია თურქულიდან შემოსული ერთეულებით: **ათმაჯა** [თურქ.] და **სიჭთერი** [ბერძნ.] მიმინოს სახეობებად ითვლება: **მჭითა** „წითელი“, **უჩა** „შავი“, **უჩა-კარა** „ძალიან შავი“, **აჩიქ-კიზილი** „ღია შინდისფერი“, **ისპირი** (**ქჩე** „თეთრი“), **სარი** „ყვითელი“... ქართველური: **მჭითა**, **უჩა**, **ქჩე**; თურქულიდან შემოსულია: **კარა**, **აჩიქ-კიზილი**, **ისპირი**, **სარი**. **უჩა** „შავი“ და **უჩა-კარა** „ძალიან შავი“ სხვადასხვა სახეობებად სახელდება, ამიტომ მეორის ტერმინად ლაზურ-თურქული კომპოზიტი ჩამოყალიბებულა. თეთრი, გასაკუთრებული და იშვიათი სახეობის აღმნიშვნელად გამოიყენება, უფრო თურქული **ისპირი** (ისპირი — ტოპონიმი თურქეთში), თუმცა პარალელურად გვხვდება ლაზური **ქჩე**. ამ მცირე მასალიდანაც ჩანს თურქულ-ლაზური და, უფრო ადრინდელი, ბერძნულ-ლაზური ენობრივი კონტაქტების კვალი — ფონეტიკური, ლექსიკური და სემანტიკური ინტერფერენცია.

თურქული ელემენტები ლაზურში (ორენოვანი კომპოზიტები)

თურქული ენის გავლენა ლაზურში ყველა დონეზე დაჩნდება. ბოლო დროს ჩაწერილი ლაზური მასალა გვიჩვენებს, რომ ეს გავლენა უფრო ინტენსიურია. საუკუნის (ან თუნდაც 50 წლის) წინანდელი აქტიური ფორმების ნაწილი დღეს ლაზებისთვის გაუგებარია.

სხვა ელემენტებთან ერთად ლაზურში დიდი რაოდენობით არის წარმოდგენილი შერეული, ორენოვანი კომპოზიტები:

არსებითი + არსებითი:

ბალუბიჯი „ბალის ნაპირი“ < **ბალი** (თურქ. bag) „ბალი“ , **პიჯი** (ლაზ.) „პირი“;

ბაშკითი „ცერათითი“ < **ბაში** (თურქ. başı) „თავი“, **კითი** (ლაზ.) „თითი“;

კუდეღჩატალი „მერცხალი“ < **კუდეღი** (ლაზ.) „კუდი“, **ჩატალი** (თურქ. çatal) „ჩანგალი, ორთითა“;

მცხულბათმანი „მსხლის ჯიში“ < **მცხული** (ლაზ.) „მსხალი“, **ბათმანი** (თურქ. batman) „წონის ერთეული, ბათმანი“;

მცხულადი „მსხლის ჯიში“ < **მცხული** (ლაზ.) „მსხალი“, **ადი** (თურქ. yağ) „ერბო, ცხიმი“;

მცხულშეკერი „მსხლის ჯიში“ < **მცხული** (ლაზ.) „მსხალი“, **შეკერი** (თურქ. şeker) „შაქარი“;

ღუდი აშიჯი „მთავარი მზარეული“ < **ღუდი** (ლაზ.) „თავი“ **აშიჯი** (თურქ. aşçı) „მზარეული“;

არსებითი + ზედსართავი

თოლიქოორი „ბრმა“ < **თოლი** (ლაზ.) „თვალი“, **ქოორი** (თურქ. kör) „ბრმა“;

ორთანკითი „შუათითი“ < **ორთანი** (თურქ. orta) „შუა“, **კითი** (ლაზ.) „თითი“;

არსებითი + რიცხვითი

არდამლა „ცეროდენა, პატარა“ < **არ** (ლაზ.) „ერთი“, **დამა** < **დამლა** (თურქ. damla) „წვეთი“;

ართანე „ერთხელ, ერთჯერ“ < **არ** (ლაზ.) „ერთი“, **თანე** (თურქ. tane) „ცალი“;

ართელი „ერთი“ < **არ** (ლაზ.) „ერთი“, **თელი** (თურქ. tek) „ცალი“;
არსებითი + ნაცვალსახელი

ბელაჩქიმი „ჩემი გასაჭირი, ჩემი უბედურება“ < **ბელა** (თურქ. bela) „უბედურება“ **ჩქიმი** (ლაზ.) „ჩემი“;

ემიჯამუში „ბიძამისი“ < **ემიჯა** (თურქ. amca) „ბიძა მამის ხაზით“, **მუში** (ლაზ.) „მისი“;

არსებითი + მიმღეობა

ბორჯიგედვალეი / **ბოჯიგედვალეი** „ვალდებული“ < **ბორჯი** (თურქ. borç) „ვალი“, **გედვალეი** (ლაზ.) „დადებული“;

ქმოქიმოწკიმეი „დაწყვეტილი“ < **ქმოქი** (თურქ. kök) „ძირი, ფესვი“, **მოწკიმეი** (ლაზ.) „ამოღებული, ამოგდებული“;

იგბალგოჭვეი „უბედური“ < **იგბალი** (თურქ. ikbal) „ბედი“, **გოჭვეი** (ლაზ.) „დამწვარი“;

კაზეფემოთძალერი „თავდახურული“ < **კაზი** (თურქ. gaz) „თავსაფარი“, **მოთძალერი** (ლაზ.) „დახურული“;

მარაკოწკიმეი „დაჭრილი“ < **მარა** (თურქ. yara) „ჭრილობა“, **კოწკიმეი** < **გოწკიმეი** „გახსნილი“;

მორდერი ტელები „სტუდენტი“ < **მორდერი** (ლაზ.) „მობრდილი“, **ტელები** (თურქ. talebe) „მოსწავლე“.

ენის ოფიციალურ-საქმიანი სტილი(საკითხის ისტორიისათვის)¹

სტილი — როგორც ტერმინი — ერთ-ერთ ყველაზე უფრო ფართოდ გამოყენებულ ცნებათა რიგს განეკუთვნება თანამედროვე სალიტერატურო ენაში. ის აქტიური მსჯელობის საგანია ქართველ და უცხოელ ავტორთა ნაშრომებში.

საინტერესოა, რა კონკრეტულ საკითხებს ანალიზებენ მეცნიერები ფუნქციური სტილისტიკის (ენის ოფიციალურ-საქმიანი სტილი) ამ მნიშვნელოვანი უბნის შესწავლისას; რა ტიპის საქმის ქაღალდებია მათი კვლევის ობიექტი და რა მიმართებაა ოფიციალურ-საქმიან სტილსა და ენის ფუნქციონირების სხვა სტილებს შორის.

ფუნქციური სტილისტიკა დიფერენცირებულად წარმოგვიდგენს სალიტერატურო ენის ფუნქციონირების ცალკეულ სფეროებს, ამ სფეროთა სტილურ თავისებურებებს. უფრო ზოგადად კი ფუნქციური სტილისტიკა შეისწავლის იმ ნაირგვარ ენობრივ საშუალებებს, რომლებიც სალიტერატურო ენის სპეციალურ (ფუნქციურ) დიფერენციაციას ემსახურება და გამოხატავს.

ფუნქციური სტილის ერთ-ერთი სახეა ოფიციალურ-საქმიანი სფერო, რომელშიც შემოდის სახელმწიფო, სამოქალაქო და სამსახურებრივი ურთიერთობანი. აქ იგულისხმება როგორც მოქალაქეთა და სახელმწიფოებრივ დაწესებულებათა წერილობითი საქმიანი მიმოწერა (მაგ., მოხსენება, ანგარიში, ინფორმაცია, პატაკი, ბრძანებულება, დადგენილება, წესდება, პროგრამა, განმარტება, რეცენზია, დახასიათება, ნოტა და ა. შ.), ისე ის მრავალგვარი საქმის ქაღალდი, რომელთა გარეშე (როგორიც არის: განცხადება, ცნობა, ახსნა-განმარტება, მოხსენებითი ბარათი, ხელშეკრულება, ოქმი და სხვ.) წარმოდგენილია თანამედროვე სამოქალაქო სუბიექტის არსებობა.

¹ შესრულებულია პროექტის „ქართული სახელმწიფო ენის ოფიციალურ-საქმიანი სფერო“ (FR /246/1-30/13) ფარგლებში.

ცალკე განიხილავენ საზოგადოებრივი ინფორმაციის ენობრივ სტილსაც (რომელიც, ფაქტობრივად, ასევე ოფიციალური სტილით გამოირჩევა). თანამედროვე კომუნიკაციის ელექტრონულმა საშუალებებმა მნიშვნელოვნად გაიფართოვა ინფორმაციის ასპარეზი ინტერნეტული ქსელის სახით. დღეს საზოგადოებრივი ინფორმაციის სტილი ემსახურება არა მხოლოდ ტელე- და რადიოჟურნალისტებს, არამედ საჯარო პოლიტიკურ მოღვაწეებსაც სხვადასხვა სახის სოციალური აგტაცია-პროპაგანდის გავრცელებასა თუ საჯარო გამოვლენების ეფექტურად მომზადებაში. ამდენად, ვფიქრობთ, ენის ფუნქციონირების ამ ვიწრო სფეროს შესწავლა-ანალიზიც განსაკუთრებით აქტუალურია დღეს.

სტილსა და მისი არსებობის აუცილებლობაზე დეტალურად მსჯელობს ჯერ კიდევ ანტონ კათალიკოსი. აღნიშნული საკითხის შესახებ ზოგადი მოსაზრებები იკვეთება წინა საუკუნეების ავტორებთანაც (თ. ყორდანია, ა. ნიკოლაიშვილი...).

საქართველოში ფუნქციური სტილისტიკის შექმნას საფუძველი ჩაუყარა გ. კვარაცხელიამ. იგი იკვლევს ენის ისეთი ფუნქციური ქვესისტემების სფეროებს, როგორებიცაა სამეცნიერო, საგაზეთო-პუბლიცისტური, ოფიციალურ-საქმიანი, მხატვრული.

სტილის საკითხებს განიხილავენ სხვა მკვლევრებიც: ს. კეკელია, გ. შალამბერიძე, ზ. ჭუმბურიძე, რ. გაბეჩავა, ბ. ჯორბენაძე, ავთ. არაბული, გ. გოგოლაშვილი, ც. ბარბაქაძე და სხვ. საინტერესო ჩანს უცხოელ ავტორთა მოსაზრებანიც.

მოხსენებაში ვრცლად წარმოვადგენთ აქამდე არსებულ თვალსაზრისებს ენის ოფიციალურ-საქმიანი სტილის შესახებ.

ელისაბედ გაზდელიანი

ვითარებითი ბრუნვისათვის სვანურში

ქართველური ენების ბრუნვათა რიგში, ნათესაობითი და მიცემითი ბრუნვების შემდეგ ვითარებითი ყველაზე ძველ ბრუნვად ითვლება.

სვანურში ვითარებითი ბრუნვის ფორმანტია **-დ**. იგი დაერთვის ყოველგვარ ფუძეს, როგორც თანხმოვანფუძიან (**ქორ-დ** სახლად **მე'ხჷ-დ** „ცოლად“, **კან-დ** „ხარად“...), ისე ხმოვანფუძიანებს (**მარე-დ** „კაცად“, **დინა-დ** „გოგოდ“; **მუშგვრი-დ** ბზ., ლზ., **მუშგვარი-დ** ლნტ. „სტუმრად“, **ფაუ-დ** „ჯონად“...)

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სვანურში მოთხრობითი ბრუნვის ერთ-ერთი ფორმანტიც **დ'**ონია. მკვლევართა ერთი ნაწილი მოთხრობითისა და ვითარებითის **-დ'**-ს ერთმანეთს უკავშირებს და მათ ერთი ოდენობის მქონედ მიიჩნევს (კ. დონდუა), მეორე მხრივ, არსებობს აზრი, რომლის თანახმადაც მოთხრობითის და ვითარებითის **-დ** სხვადასხვა წარმოშობის არიან.

სამეცნიერო ლიტერატურაში საკუთრივ სვანურის უძველეს ბრუნვის ნიშნად მიჩნეულია **-ნ** მიცემით, ნათესაობით, და ვითარებით ბრუნვებში. აღნიშნავენ, რომ **-ნ** და **-დ'**ს მონაცვლეობა ჩვეულებრივი მოვლენაა. მაგ.: **მანა-ნ** — **მანა-დ** „ახლად“; **ისკჷა-ნ** — **ისკჷა-დ** „შენზე (შენად)“.

-ნ ფორმანტი იშვიათად გვხვდება რიცხვითი სახელების ვითარებით ბრუნვაში, რომელიც მეორეულად მიაჩნია გ. კლიმოვს. მაგ.: **მესემა-ნ** ჩუ იჩოქაჭი (ლნტ.) „მესამედ დაიჩოქებს“. შეიძლება **მესემა-ნ** ფორმა **-დ** დაკარგული ვარიანტი იყოს და მიღებული **მესემან-დ** ფორმიდან შდრ. ლზ. **მესმან-დ** „მესამედ“.

სვანური ვითარებითის **-დ** ფორმანტი ზუსტად შეესატყვისება ქართული ვითარებითის **-ა'**დ ნიშანს.

1. სვანურში ვითარებითი ბრუნვა აღნიშნავს ვითარებას, საგნის როგორობას. მაგ.: მარე **ხოლამ-დ** პრი (ბზ. ქრ. 65) კაცი **ცუ-დად** არის“; **წყელიან-დ** ლგშყედ ლი (ბქ.) „სუფთად გარეცხილია“;

ბოფშარ **წყენარ-დ** არიხ (ლშხ.) „ბავშევი **წყენარად** არიან“; ჳედენიხ ამჟი **ლგჳანჳა-დ** (ლნტ.) „მოდინ ასე **გადამჳულად**“.

2. ხშირია ვითარებითი ბრუნვის გამოყენება დანიშნულების მნიშვნელობით და პასუხობს კითხვაზე **იმდ** „რად“; **იმანჳ** „რის-თვის“. მაგ.: ხწლხი **ლაყება-დ**... სანყირს ამმახ (ზხ. ჳრ. 96) „ხალხის **მოსაგროვებლად** საყვირს უკრავდენენ“; **ლალფარ-დ** ხომა მეგემ ანთხე (ბჳ.) „**შესაფარად** დიდი ხე მოძებნა“; ხწჳჳე ჳყინტდ **დენჳ-დ** ლოჳ ანჳჳამ (ლნტ.) „უთხრა ბიჳმა **ცოლად** გამომყევიო“; ჩ’ოთოგან-და **მოჳმაგნრ-დ** (ლშხ. ჳრ. 284) „დაუდგა **მოჳამაგირედ**“.

დანიშნულების ფუნჳციით **-დ** ფორმანტი ხშირად დაერთვის **-აჳ** „თვის“ თანდებულს, თუმცა **-დ**’ონი ასეთ შემთხვევაში ზოგჳერ იკარგება: **კაბიმაჳედ** ხაკუ (ბჳ.) „**კაბად** უნდა“;

ჳაშიმაჳედ მად ხაყა (ლშხ. **ჳმრ-ად** არ ვარგა“;

მიჩა გეხალს ხამ ლოჳ ახოჯიდა **დენჳიაჳედ** (ლნტ.) „მის შვილს ლორი მოუყვანიაო **ცოლად**“;

3. ძალიან ხშირად ვითარებით ბრუნვას გარდაჳცევითის მნიშვნელობა აჳგს. მაგ.: შდუგუტ **მეთეთხ-დ** ოლსიპელი (ბჳ.) „თავი **დამჳარად** ჳცეულა“; ნიც **დჳინელ-დ** ედსიპან (ლშხ.) „წყალი ღვინოდ იჳცა“; ბეფშ **ირემ-დ** ალსიპელი (დნტ. 284, 35) „ბავშვი **ირემად** გადაჳცეულა“.

ნანათესაობითარი ვითარებითია დღევანდელ სვანურში „-თვის“ თანდებულის მნიშვნელობის **-იშჳედ**, **-აშჳედ** თანდებული. მაგ.: სოფელ ჩ’ოთნახა ოლს **იჳალად-იშდ** (ზხ. ჳრ. 7) „სოფელი დაუმარხავს ჳვავს **სამუდამოდ**“; აშხტნიშ **ლუნთ-იშჳედ** (ლშხ.) „ინახავენ ჳამთრისათვის“; **ენა-შჳედ** ასოჳახახ ლეჳან (ლნტ.) „**იმისთვის** დაურჳმევიათ ლევანი“.

როგორც ცნობილია, ნანათესაობითარი ვითარებითი **-იშდ** (**აშჳედ**) პარალელს პოულობს ძველი ქართულის **-ისად** ფორმასთან, რომელიც ხევსურულ და ფშაურ დიალექტებში დღესაც დასტურდება: ხევს. ერთ **დღისად** დაამზადებს; **მეთორმეტისად** შემოუკრავს ჳმალი. ქართული **ისად**’ის შესატყვისია სვანურში **-იშდ** თანდებული. **ლადედ-იშდ** „დღემსად“, **ჳალაჳ-იშდ** „ჳალაჳისად“. ნანათესაობითი-

ვითარებითის (დესტინატივის მიზნობრივი ფუნქციის გადმომცემი) ფორმები ბზ., ლზზ. **-იშდ** ბქ., ქვს. **-იშუდ** ჩვეულებრივ მარტივი **-დ'**ონიანი ვითარებითის ფორმითაც გვევლინება ხოლმე (ი. ჩანტლაძე). მაგ.: უ'ოხბინახ **ქორ-დ** ი **მურყუამ-დ** (ბზ. ქრ. 67) „ცეცხლი წაუკიდებიათ სახლისთვის (სახლისად) და კოშკისთვის (კოშკისად)“.

ზოგჯერ **-თვის -ისად** თანდებულების ბადალი **-იშუდ** და **-იშდ** მხოლოდ ნათესაობითი ბრუნვის ფორმით გვხვდება, **-დ'**ონი აუსლაუტში დაკარგულია. მაგ.: ასობემა **იჟან-იშ** (<იჟან-იშვდ) თჰკუ (ლნტ. ქრ. 346) „მიუბია **ივანისათვის** (ივანისად) თოკი“. ხოქუა მიჩა **ლახუბაშ** (← ლახუბაშვდ) ლნტ. ქრესტ. 346 „უთქვამს თავისი **ძმებისთვის**“.

რ უსუდან გერსამია

მაერთხმოვნიანი ანუ ინფიქსური რედუპლიკაცია ქართველურ ენებში

„მაერთებელხმოვნიანი“ (II „მაერთხმოვნიანი“ — ლ. სანიკიძე) სტრუქტურა და, შესაბამისად, ცნებაც ქართულისათვის ცალკე ტიპად გამოყოფ. ერთელიშვილმა. ფონემატური სტრუქტურით განსხვავებულ ოთხ ტიპში (ბავაბუგ-, ჩხარაჩხურ-, თხლაშათხლუშ-, რაწკარუწკ-) „ფუძეები ძირების გაორკეცების შედეგად არის მიღებული; ფუძის პირველ მარცვალში *ლ/* ხმოვანი გვაქვს, ბოლო მარცვალში *ლ/*. მარტივ ძირებს ერთმანეთთან აკავშირებს *მაერთებელი ხმოვანი ლ/* და *ლ/*, უფრო ხშირად *ლ/*. დასტურდება მაერთებელი ხმოვნის მიხედვით ფუძეთა პარალელური ვარიანტები“ (ფ. ერთელიშვილი). აღნიშნული თვალსაზრისი გაზიარებულია შემდგომი პერიოდის ზოგ ნაშრომში (იხ. ლ. სანიკიძე; ი. ქობალავა).

საპირისპირო თვალსაზრისით, „მაერთ-ხმოვნიანი კომპოზიცია ქართულში საერთოდ არ არსებობს“ (ქ. დათუკიშვილი). ამ თვალსაზრისით საქმე გვაქვს არა ძირის, არამედ ფუძის რედუპლიკაციას-

თან. რედუბლიცირებული ფუძის პირველი კომპონენტის შემადგენლად ითვლება, ერთ შემთხვევაში, /ა/ (ტკაცა, ბათქა-, რახა-), ხოლო მეორე შემთხვევაში — /ი/- ხმოვანი (ტკაცი-, ბათქი-, რახი-); ისტორიულად „ხმის გამომხატველ მარცვლებს დაერთო სიტყვამაწარმოებელი სუფიქსი -ა და მივიღეთ ხმის აღმნიშვნელი სახელები: ლაწ- > *ლაწ-ა, ბრახ- > *ბრახ-ა, ტკაც- > *ტკაცა, რომლებიც შემდგომ გაორკეცდა“... ამავე პოზიციაში დადასტურებული /ი/ ხმოვანიც წარმოქმნის ელემენტად არის ჩათვლილი, წარმოშობით (— სახელობითი ბრუნვის ნიშანად (ქ. დათუკიშვილი).

ქართულში ფ. ერთელიშვილის მიერ გაანალიზებული ყველა ტიპის ძირის სტრუქტურა დაიყვანება მარტივ CVC სტრუქტურაზე, რომელიც შეიძლება გართულდეს ფონემატურად: **CnVCn**. ამ სტრუქტურათა დუბლირებით ანუ კონსონანტური მიმდევრობის აბსოლუტური განმეორებით, ძირებში ა/უ ხმოვანთა ალტერნაციითა და ინტერპოზიციურად /ა/ და /ი/ ხმოვანთა ჩართვით შეიძლება მივიღოთ **CVC-V-CVC** ან **CnVCn-V-CnVCn** სტრუქტურის რედუბლიცირებული ფუძეები:

$C_1V_1C_2-V-C_1V_2C_2$: ა - [ა]- უ	ა - [ი]- უ
ტაკ-ა-ტუკ-	ტაკ-ი-ტუკ-
ჭახ-ა-ჭუხ-	ჭახ-ი-ჭუხ-

სტატისტიკის მიხედვით, ამგვარი გაორკეცების 120-მდე ფუძე არსებობს ქართულში, მათი აბსოლუტური უმრავლესობა ხმაბაძვითია (ფ. ერთელიშვილი).

ქართულის მონაცემთა ანალიზისას იკვეთება რამდენიმე საყურადღებო თავისებურება:

1. ინტერპოზიციაში ა-ხმოვნიან ყველა ფუძეს პარალელური ი-ხმოვნიანი ვარიანტი არა აქვს, ამ უკანასკნელთა რაოდენობა გაცილებით ნაკლებია.

2. ამ ფუძეებს არა აქვთ პარალელური ვარიანტები სტრუქტურაში იდენტური ხმოვნებით: *რახარახ-, *ლაწალაწ-, *ბათქა-ბათქა-..

3. აღნიშნულ ფუძეებს საერთოდ არა აქვთ პარალელური ხმოვანმონაცვლე ვარიანტები მაერთი ხმოვნის გარეშე: *ბავ-ბუვ-, *ტკაც-ტკუც-, *ბათქ-ბუთქ-...

4. ხოლო უმრავლესობას არა აქვს პარალელური ფუძეები იდენტური ხმოვნებით მაერთი ხმოვნის გარეშე: დასაშვებია — ბავ-ბუვ-, რაკრავ-, რახ-რახ, ჭახ-ჭახ-, მაგრამ დაუშვებელია — *ბათქ-ბუთქ-, *კნატ-კნატ, *ლაწ-ლაწ-...

5. ფუძეთა უმრავლესობას აქვს პარალელური ვარიანტი „შიშველი“ ანუ გაუფორებელი ფუძის სახით: ბათქ-, ლაწ-, ჩხავ-, ტკაც-, ბახ-, რახ-...

6. ამ ტიპის ფუძეთა მხოლოდ პირველი, ა-ხმოვიან რედუბლიკატი, დაირთავს -უნ ან -ან სუფიქსს, როცა უ-ხმოვიანი, რიგით მეორე, რედუბლიკატი არასოდეს ირთავს მათ.

7. CVC-V-CVC ტიპის ფუძეებისაგან ზმნის პირიანი ფორმები არ იწარმოება, მსგავსად სხვა გაორკეცებული ფუძეებისა (CVC-CVC) (ი. ქობალავა) (დაუშვებელია: *რახარუნობს, *არახარუნებს); ისინი არ წამოადგენენ პირველად მასდარებს.

8. სამეცნიერო ლიტერატურაში არ არის ახსნილი, თუ რა სემანტიკური სხვაობაა ა- და ი- ინფიქსიან ფუძეებს შორის,

მეგრულსა და ლაზურში რედუბლიკაციის ეს ტიპი საერთოდ არ დასტურდება (სამეცნიერო ლიტერატურაში განხილული მაგალითების ერთეული შემთხვევები სხვა პარადიგმის მაჩვენებლად მიგვაჩნია).

სვანურში მაერთხმოვიანი რედუბლიკაცია საკმაოდ გავრცელებულია. აქ, ქართულისაგან განსხვავებით, წარმოდგენილია ერთადერთი მოდელი ძირის სტრუქტურაში /ი-ა/ დაპირისპირებით, ხოლო მაერთი ხმოვიანი წარმოდგენილია მხოლოდ ი-ხმოვით: ბითქ-ი-ბწთქ-ა, ბიჭყუ-ი-ბწჭყუ-ა, რიყ-ი-რწყ-ა... ამასთან, აუსლაუტში შეიძლება იყოს არა მხოლოდ /ა/, არამედ /უ/ ხმოვანიც: პიწ-ი-პუწ-უ, ყირთხ-ი-ყურთხ-უ, ფირ-ი-ფურ-უ, ყირტ-ი-ყურტ-უ... რედუბლიკირებულ ფუძეებში წარმოდგენილი მაერთი ხმოვიანი მაერთებელი „და“ კავშირია და იგი ქართულის /ა/-ს ფუნქციურ ეკვივალენტად მიიჩნევა (მ. სალლიანი); აუსლაუტის /ა/ ხმოვიანი კი /ი/ ხმოვნის ანალოგიით

გაჩენილად (საგულისხმოა, რომ ის მხოლოდ პოეზიის ენაში ჩნდება) (მ. საღლიანი). აუსლაუტის /უ/ ხმოვნის ფუნქცია კი საძიებელია.

მოხსენებაში შეჭერებულია ინფიქსურ /ა/ და /ი/ ხმოვნებზე სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული თვალსაზრისები [ქართ. /ა/ — *სადერევაციო აფიქსი* (ქ. დათუკიშვილი); „და“ *კავშირის ნაშთი* (მ. საღლიანი); ქართ. /-ი/ — *ფლექსიური აფიქსი*, სახელობითის ნიშანი (ქ. დათუკიშვილი); ქართ. /ა/ და /ი/ — *მერთი ხმოვანი* (ფ. ერთელიშვილი, ლ. სანიკიძე, ი. ქობალავა)] და გამოთქმულია მოსაზრება, რომ საანალიზო ელემენტები უნდა წარმოდგენდეს *ინფიქსებს*, რომლებიც ყველა შემთხვევაში აერთიანებს დახურული მარცვლით წარმოდგენილი დუბლირებული ძირის სტრუქტურებს; დასკვნა ემყარება ქართველურ ენებში ძირის სტრუქტურების რედუქციაციის წესებს, ასევე ქართველურ ენებში „მიშველი“ ანუ გაუფორმებელი, მარტივი და სუფიქსიანი ფუძეების პარადიგმატულ ანალიზს.

გვანცა გვანცელაძე

კონცეპტი ოჯახი ქართულში

ლინგვოკულტუროლოგიურ კონცეპტთა შორის კონცეპტს **ოჯახი** მეტად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სხვადასხვა ხალხის ენობრივ სივრცეში. როგორც ცნობილია, კონცეპტები „ცხოვრებისეული ფილოსოფიის ცნებებია“, მსოფლმხედველობრივ ტერმინთა ყოფითი ანალოგები“, რომლებიც განმტკიცებულია ბუნებრივი ენის ლექსიკაში და რომლებიც უზრუნველყოფენ ეთნოსის სულიერი კულტურის სტაბილურობასა და მემკვირდეობითობას (ს. ომიადე).

ქართულ ლინგვოკულტუროლოგიურ სივრცეში უამრავ სხვა მნიშვნელოვან კონცეპტთა შორისაა სწორედ კონცეპტი **ოჯახი**. ეს არცაა გასაკვირი, ვინაიდან ქართველთათვის იგი საკმაოდ დატვირთულია სემანტიკურად.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში სიტყვა **ოჯახი** შემდგენიარადაა განმარტებული: 1. ერთად მცხოვრებ უახლოეს ნათესავთა ჯგუფი (ცოლ-ქმარი, მშობლები, შვილები, შვილიშვილები...) *მრავალრიცხოვანი ოჯახი — ოჯახის ბურჯი — ოჯახის შემოსავალი — ხალხთა ძმური ოჯახი (ფიგურ.)*. 2. ცხოველთა ან ფრინველთა ჯგუფი, რომელიც შედგება მამლის, დედლისა და ნაშიერთაგან. *მგლის ოჯახი // ერთ სკაში მოთავსებული ფუტკრის გუნდი*. 3. ერთი და იმავე სახეობის ზოგ ცხოველთა და მცენარეთა განცალკევებული ჯგუფი. *ლომი და ვეფხვი კატების ოჯახის ცხოველები არიან.* - ვარდისებრთა ოჯახის მცენარეები: ვაშლი, ბალი და მარწყვი... **ოჯახს მოეკიდება** — ცოლს შეერთავს, ოჯახს შექმნის... (ქეგლ).

ი. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ სიტყვა **ოჯახი** საერთოდ არ არის, ვინაიდან მასში შეტანილია მასალები უმთავრესად V-XI საუკუნეების ძეგლებისა, ხოლო სიტყვა **ოჯახი** ქართულში თურქული ენიდან მოგვიანებით შემოვიდა. მის სინონიმებად კი მიჩნეულია: **სახლისა კაცნი** (განმარტებულია როგორც ოჯახი), **სახლეული** (განმარტებულია როგორც სახლი, თუსთაგანი, ძენი, ოჯახი, ოჯახის წევრები). ამავე ლექსიკონში სიტყვა **სახლი** განმარტებულია შემდგენიარად: ვანი, ტაძარი, სავანე, სასახლე, ოთახი, სენაკი.

თანამედროვე ქართულში **ოჯახის** სინონიმებია: სახლეული, ჯალაბობა...

მოხსენებაში განვიხილავთ ამ კონცეპტის შემადგენელ ლექსიკას.

გ ი ო რ გ ი გ ო გ ო ლ ა შ ვ ი ლ ი

შენიშვნები ზმნის თემისა და თემის ნიშნების შესახებ

თემისა და თემის ნიშნის (ტერმინისა და ცნების) დამკვიდრება ქართულ საგრამატიკო ლიტერატურაში აკაკი შანიძის დამსახურებაა. ზოგადი თვალსაზრისით თემისა და თემის ნიშნთან დაკავშირე-

ბული საკითხები ძველსა და ახალ ქართულში ერთგვაროვანია, თუმცა არის პრინციპული ხასიათის განსხვავებაც.

წინამდებარე მოხსენებაში უფრო მეტ შეკითხვას დავსვამთ, ვიდრე პასუხის გაცემას შევეცდებით.

მთავარი კითხვა: — რა არის ზოგადი ფუნქცია თემის ნიშნისა და კონკრეტული თემის ნიშნების განაწილებას რა საფუძველი აქვს ძველსა და ახალ ქართულში? ის ფაქტი, რომ ახალ ქართულში ხდება თემის ნიშანთა შენაცვლება (რთულ თემას მარტივი ცვლის, მარტივ თემას — რთული; ერთ თემის ნიშანს — მეორე) მიანიშნებს თუ არა იმაზე, რომ შეიცვალა თემისა და თემის ნიშანთა ფუნქცია? თანამედროვე ქართული ენის დიალექტებში თემასთან დაკავშირებული რთული პროცესები არის თუ არა იმ ტენდენციის გაგრძელება, რაც მოხდა ახალ ქართულში ძველთან შედარებით?

მესამე სერიაში მოხდა პრინციპული ხასიათის ცვლილება: ძველ ქართულში მოქმედებითი გვარის ორთემიან ზმნებში I თურმეობითი ემყარება რთულ თემას, II თურმეობითი და III კავშირებითი — მარტივ თემას; ახალ ქართულში ვითარება ასეთია: ამ ტიპის ზმნათა სამივე მწკრივი ეფუძნება ან მარტივ თემას, ან რთულ თემას. რა შეიძლება იყოს ამ ცვლილების მიზეზი? ამ ფაქტს და თემასთან დაკავშირებულ სხვა ცვლილებებს აქვთ რაიმე საერთო თუ სხვადასხვა რიგის ფაქტებია?

ჩვენ მიერ დასმულ ზოგ კითხვაზე პასუხის გაცემა მომავლის საქმედ გვესახება.

თ ა მ ა რ ვ ა შ ა კ ი ძ ე

მუხრან მაჭავარიანი — „მზეს ალბათ ჩემთან მგზავრობა უნდა“ (წელიწადის დრონი)

მზეს ალბათ ჩემთან მგზავრობა უნდაო, — ამბობს დიდი პოეტი და მკითხველიც თან მიჰყავს ამ საოცარ მოგზაურობაში, რათა

უჩვენოს, თუ როგორ „ყაყაჩოვდება ცის კიდე“, როგორ აქრობს „ცა-ში მზე პაწია ვარსკვლავებს“, როგორ „კურდღლაობს დაპურებული ყანა“, როგორ თამაშობს „ნაჭრის საბანზე ნორჩი მთვარე ჭადრაკს“... მკითხველიც მიაბიჯებს მუხრან მაჭავარიანის უკიდევანო პოეტურ სამყაროში და თვალწინ წარმოუდგება „ყაყაჩოსავით წითელი მზე“, „სველი დილა“, „თეთრონი მთვარე“, „ჩუმიად გაპარული ვარსკვლავები“, ქარის მიერ „ქოჩრით დათრეული ნაძვები“ და „დავარცხნილი ყანა“, „რტო — საკუთარი ნაყოფის წერა“ და მრავალი სხვა.

თითქოს უბადლო ფერმწერის ფუნჯით იხატება მკითხველის თვალწინ მუხრანისეული განთიადი — „დედამიწის მძაფრ წადილად“ ქცეული, ნაცნობი მთვარე — „რძის დიდი წვეთი, თეთრი წერტილი“, მზის ხმაურიანი ამოსვლითა და მთვარის ჩუმი გამოჩენით გაკვირვებული ლაშურა („...უკვირს ლაშურას: — მზე რა ხმაურით ამოდის ხოლმე, მთვარე ამოდის ხოლმე რა ჩუმიად“), მწყურებად ქცეული წნორის ფოთლები („ატყდა ხეთანი ქართან ძეგრება, წნორებს ფოთლები ექცნენ მწყურებად“), „დაულვაშებული სიმინდები“, „ბუხრის ყელიდან“ ამოსული „მტრედისფერი კვამლი“ და წიწილებივით დაფანტული „ძეწნის ფოთლები“, მზისგან ატაცებული ცვარი („მზემ — როგორც პაწია ლურსმანი მაგნიტმა, ისე აღიტაცა მიწიდან ცვარი“)...

გასაოცარი ფერადოვნებითა და მხატვრულ სახეთა ნაირგვარი ხორცშესხმით იძერწება პოეტის მიერ წელიწადის დრონი (გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი). გაზაფხული (და — განსაკუთრებით აპრილი) მუხრან მაჭავარიანისათვის გამორჩეული დღესასწაულია, „კვამლივით აღელვებული“ ატმის ყვავილებია, „აქაფებული ტყემლებია“, „გათავხედებული ღელეა“, „ნედლი მიწის სურნელია“, „კვირტიდან თავდაძგრენილი ფოთლებია“.

„ქართლო! —

გახედე ქსანს! —

მდინარემ გაშალა ტოტი...

გზა! —

გაზაფხული მოდის!“

„თვეა მკათანი“, — ამბობს პოეტი და კალმის ერთი მოსმით აცოცხლებს თაკარა ზაფხულის ჩვეულებრივ დღეს:

„მოშავო ქვებში მოწანწკარებს ღელე ანკარა,
(თვეა მკათანი,
დღეა თაკარა)
ქვას
ხან ერთს პეპლავს,
ხან მეორეს, —
ბოლოქანქალა.
იხვი
მორევში
წარამა
ყვინთავს
საყვარლად“.

„ფოთლებთან ქარის ღლაბუცი“, ალვის ხეების „უკანასკნელი შრიალი“, ღრუბლებით დაფარული „ცის ლურჯი კამარა“, „თავბირის-მტვრევით“ ჩამოცვენილი კაკალი... შესაფერის განწყობას უქმნის მკითხველს და ქართული შემოდგომის სურათიც თვალნათლივ ეხატება:

„ღდინი გაართვა წისქვილს ყვირილამ.
ხეზე ბუსავით დასკუბდა ზვინი.
საწნახელს სისხლი წასკდა ცხვირიდან.
ჭურში ორშიმომ ჩატუნტრა ცხვირი“.

თუმცა შემოდგომაზეც, როცა „თვალეზი მხოლოდ ხის ჩონჩხებს ხედავს“, პოეტი გაზაფხულის მოლოდინით ცოცხლობს:

„მე სიხარულმა გული ამინთო, —
ჩემმა ოცნებამ ხენი შემოსა, —
შემოდგომაზე ვხედავ ამიტომ
მე გაზაფხულის ლაღად შემოსვლას“.

„კარს მომდგარი ზამთრისა“ და ხეების დიალოგში გამოკრთის მუხრანისეული პოეტური ირონია თუ იუმორი (ზამთრის ერთი პატარა სურათის დახატვისას):

„კარს მომდგარ ზამთარს
ფეხქვეშ
ფოთლებს
უგებენ

ხენი:
— რა გაგვახარე, — რომ იცოდე!
მობრძანდი! —
გელით!
— გიხარით, — არა?! —
ისემც მამა ვაცხონე თქვენ!
კარს მომდგარ ზამთარს
ფეხქვეშ
ფოთლებს
უგებენ
ხენი“.

წელიწადის დროთა მონაცვლეობა, გაფრენილი გაზაფხულები, დღე-ღამისა თუ დრო-ჟამის ბრუნვა ასოცირდება „ვეებერთელა ცი-ცინათელასთან“, რომელიც განუწყვეტლივ „ქრება და ინთება... ქრება და ინთება“... დრო კი მიდის...

„დილა გათენდება, — ვინ იცის რამდენი!
დღე-ღამე დედამიწას ასკდება ზვირთებად;
ვეებერთელა ციციანთელა
ქრება და ინთება....
ქრება და ინთება...“

მოულოდნელი მხატვრული საღებავებით გამოწვეული ეფექტი მკითხველს ყოველთვის ხიბლავს და აოცებს, მაგრამ მთავარი მაინც სხვა არის — ახალი პოეტური სამკაული არ უნდა იყოს მკითხველისათვის განყენებული, მიუწვდომელი, ძნელად გასაგები, პირიქით, მხატვრული სახეები ისე ბუნებრივად უნდა ერწყმოდეს ენას, არ გაგიჭირდეს მისი აღქმა და გათავისება. სწორედ ასეთია მუხრანის პოეზია — არაორდინარული და ამავდროულად — საოცრად ბუნებრივი, ლაღი, მზისდარი.

მუხრან მაჭავარიანის ლექსის ნიშან-თვისებებს თავად შემოქმედის ცნობიერებაში დაუნჯებული პოეტური ხედვა განაპირობებს. სწორედ ამიტომ იკვეთება ყველა წინადადებაში ენის შესაძლებლობათა ახალი იმპულსები და აბსოლუტურად ინდივიდუალური მუსიკალურ-ფერწერული სტილი.

თუ არ დახატა პოეზიამ ვირტუოზულად, ვერ აღგაფრთოვანებს; თუ არ დაუკრა სულშიჩამწვდომად, ვერ აგამდერებს; თუ არ მოგნუსხა სათქმელის არსით, ვერ დაგაფიქრებს; თუ შეეშინდა სიმართლის თქმისა, ვერ ეთაყვანები; თუ სიყალბე გაიპარა სტრიქონებში, ვერ გაითავისებ; თუ არ გაგათბო, ვერ შეიყვარებ... მუხრანის უბადლო ლექსი ყველა პირობასთან პირნათელია, ამიტომაც „უხდა მზეს“ მასთან „მგზავრობა“.

დიანა კაკაშვილი

სიტყვაწარმოების შესახებ წოვათუშურ ენაში

წოვათუშური ენის დერივაციულ სისტემაზე არაერთმა მკვლევარმა შეაჩერა ყურადღება, თუმცა ლექსიკურ მასალაზე დაკვირვებისას გამოიკვეთა რამდენიმე, ფვიქრობთ, მნიშვნელოვანი საკითხი თუ დეტალი, რომელთა ანალიზი გარკვეულ წვლილს შეიტანს საკითხის სრულად წარმოდგენა-გააზრებაში.

წოვათუშურ ენას სიტყვაწარმოების მრავალფეროვანი და კარგად ჩამოყალიბებული სისტემა აქვს. მკვლევრები გამოყოფენ შემდეგ შინაარსობრივ ჯგუფებს: ქონებისა, უქონლობისა, კნინობითი, წარმომავლობისა, მსგავსებისა, დანიშნულებისა, აბსტრაქტული, ხარისხისა, ხმაბაძვითი, ჩვეულებითი და ლოკატიური სახელები. მათ გვერდით ცალკე დგას მცენარეთა კრებულის აღმნიშვნელი სახელები, რომელთაც ქართულში **-ნარ** სუფქისი აწარმოებს. წოვათუშურში მის შესატყვისად **-(რ)ნ**, ორიოდ შემთხვევაში კი **-ლ** წარმოგვიდგება: გულარ**ნ** „არყიანი, არყნარი“, ბულთქარ**ნ** „ბუჩქნარი“, ბუბკილ**ნ** „ყვავილნარი“, ქუმლილ**ნ** „ყოლოიანი სივრცე“.

ყველაზე დიდი პროდუქტიულობით **-ლინ** და **-რენ** (> **ლენ**) სუფიქსები გამოირჩევა, რომლებიც ქონების სახელებს აწარმოებენ არსებითი სახელებისაგან, თუმცა ამავე კატეგორიის მაწარმოებლად

სპორადულად გვხვდება **-ვე** სუფიქსიც: ლაფხათ**ვე** „ლაფხათიანი“, აატ**ვე** „აილბლიანი“, ზად**ვე** „ზადიანი“.

მიჩნეულია, რომ წოვათუშურ ენაში წინავითარების სახელების მხოლოდ აღწერითი წარმოება გვაქვს. „აღნიშნული შინაარსის დერივაციული ფორმები ამ ენას საერთოდ არ გააჩნია“ — აღნიშნავს მ. მიქელაძე თავის ნაშრომში „წოვათუშური ენის სახელთა მორფოლოგია“ და გამოყოფს ქართულიდან ნასესხებ **ნა-არ**, **ნა-ალ** კონფიქსს: ნა-მარ-ალ „ნაქმრევი“, ნა-ნაყტრ-ალ — „ცხვრის ნაბინავარი“, ნა-ცარკ-ალ „ნაკბილარი“. ლექსიკური მასალის ანალიზისას კი შეგვხვდა რამდენიმე განსხვავებული შემთხვევა აღნიშნული შინაარსობრივი ჯგუფის წარმოებისა: ლეთი**ნრ** „ნაბრძოლი, ნაჩხუბარი“, ლაწ/**დ/იენრ** „ნატყენი“; ლაბწი**ნრ** „ნათამაშევი“, ლელი**ნრ** „ნავალი, ნასიარულევი“, ლაწარ/**დ/იენრ** „ავადმყოფობამოხდილი, ნავადარი“ და სხვ. ამ შემთხვევაში წინავითარების სახელების მაწარმოებლად **-ნრ** სუფიქსი უნდა გამოიყოს.

რ ა დ ო ს ლ ა ვ კ ა ნ ა რ კ ო ვ ს კ ი

ქართული „-ცხ-“ ძირის აგებულებისა და წარმომავლობისათვის

ეჭვმიუტანელი ჩანს, რომ სიტყვები: ქართ. „**ცეცხლი**“, „**ცხელი**“ და „**სიცხე**“; მეგრ. **ჩხე** „ცხელი“, **ჩხ-ან-ა** „მზის სინათლე-სიბო“ ურთიერთდაკავშირებულია.

ზემოთ მოყვანილ სახელთა აგებულება ამგვარად ახსნა არს. ჩიქობავამ:

ქართ. **ცე-ცხ-ლ-ი**, **ცხ-ელ-ი**, **სი-ცხ-ე**; მეგრ. **ჩხ-ე**, **ჩხ-ან-ა**.

იმაზე დაყრდნობით, რომ მორფემა „-ცხ-“ ითვლება სახელურ ძირად. საკვლევი, თუ იგი სინამდვილეში დაუშლელი ელემენტია და თუ შემოწმებულია ქართველური ჯგუფის გარეთ.

ჩვენი მოსაზრებით შესაძლებელია აქ განხილული ძირის გაყოფა: **ცხ** < **ც-ხ**, რასაც ამტკიცებს სხვათა შორის ქართ. ზმნა **გა-[ხ]-ურ-ებ-ა**. არნ. ჩიქობავას ვარაუდი, რომ ეს ზმნა იწარმოება ფუძისაგან **-ხურ-**, რომელიც თვითონ არის ნასესხობა სომხ. **ჰურ** -ისგან „ცეცხლი“, ფონეტიკური თვალსაზრისით მიუღებელია.

იგივე ძირი პოვნიერია ქართ. **ზა-ფ-[ხ]-ულ-ი** -შიც, სადაც წინამავალი **-ფ-** < ***-ბ-** უნდა იყოს მიჩნეული გაქვავებულ კლას-ნიშნად.

თუ ივარაუდება, რომ **-ხ** < ***-ხ⁰**- ისგან, მაშინ მონათესავე ძირები ეძებნება აფხაზურ-ჩერქეზულ ჯგუფშიც:

ყაბ. **[ხ^ა]-ბა[~]**; ად. **[ჰა]-ბა[~]** < **[ხ^ა]-ბა[~]** „თბილი“; ყაბ. **მა-[ხ^ა]**; ად. **მა-[ჰა]** „დღე“ — ეტიმოლოგიური მნიშვნელობა: „თბილი დღე“; უბიხ. **დ-ა-[ხ^ა]** „ზაფხული“.

აფხაზურსა და აბაზურში განხორციელდა დელაბიალიზაცია: ***-ხ⁰** > **-ხ-**:

აბაზ. **ფ-[ხ]ა** „თბილი, ცხელი“; აფხ. **ა-ფ-[ხ]ა** „თბილი“

აფხ. **ა-ფ-[ხ]-გნ**; აბაზ. **ფ-[ხ]-ნგ** „ზაფხული“.

ჩვენი ვარაუდით, იგივე ძირი დასტურდება ქართ. **დ-[ღ]-ე**-ში, სადაც თავკიდური **დ-** წარმოადგენს ამოსავალ კლას-ნიშანს, რომლის ზეგავლენით ძირეული თანხმოვანი გამჟღერდა: ***დ-[ხ]-** > ***დ-[ხ]-** > **დ-[ღ]-**. ძირი ვლინდება სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებშიც, მაგ.: ად. **რ-ა-[ღ]** „მზე“; უბიხ. **ნ-დ-[ღა]** „მზე“.

რაც შეეხება თავკიდურ ელემენტს **ც-** ს, არნ. ჩიქობავას ის მიაჩნდა განვითარებულად, მაგრამ გამორიცხული არ არის, უკავშირდებოდეს აფხ. **ა-მ-[ცა]** < ***ა-მ-[ც^ა]** -ს „ცეცხლი“ ანუ **ა-რ-ა-[ც^ა]**-ს „ნახშირი“, სადაც შემონახულია ამოსავალი ლაბიალიზაცია და რაც პოვნიერია ქართ. **ნა-[ც]-არ-ი**-შიც, სადაც ძირეული **-ც-** < ***-ც⁰**.

ზემოთქმულის მიხედვით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ აქ შესწავლილი ძირი სინამდვილეში შედგება ორი ამოსავალი ძირისაგან: **-ც-** < ***-ც⁰** და **-ხ-** < ***-ხ⁰**, რომლებიც წინარე ქართულში შეხორცდა და მერე ამოსავალი კომპოზიტი დაექვემდებარა ლექსიკალიზაციას, რის შედეგადაც წარმოიქმნა ახალი ძირი: **-ცხ-**.

საერთო-ქართველური *-ავ თემის ნიშნის რეფლექსებისათვის სვანურში ზმნის უღლებად ფორმებში

1987 წელს „გეორგიკაში“ გამოქვეყნებულ სტატიაში აწმყოს ფუძე საერთო-ქართველურ ფუძეენაში“ ბაქარ გიგინეიშვილი წერდა: „თუკი არ გავითვალისწინებთ ზოგიერთი მიმღეობის სუფიქსურ ელემენტს, /*-ავ/ თემის ნიშნის არსებობა სვანურში მხოლოდ შიშველ ჰიპოთეზად დარჩება. საბედნიეროდ, მიმღეობებში დასტურდება /*-ავ/ თემის ნიშნის არსებობის ცალკეული შემთხვევები, მაგალითად: ბზ., ჩბხ. ლა-წჷ-ეჷ „სანახავი“ (< *ლა-წჷ-აჷ-ი; შდრ. ხო-წჷ-ა „უნახავს“, ზსვ. ქა წჷა „ჩანს“), ეცერ. ნა-რდ-ეჷ, ბერ. ნა-რდ-ეჷ, ბზ. ნა-რდ-აჷ „გაზრდილი“ (= ქართ. ნა-ზრდ-ევ-ი)“.

ვვარაუდობთ, რომ სქ /*-ავ/ თემის ნიშნის რეფლექსები სვანურში ზმნის უღლებად ფორმებშიც შეიძლება გამოიყოს. საუბარია, პირველ რიგში, ბალსქვემოურის კილოკავებში (ბეროურის გამოკლებით) ერთი რიგის უხმოვნო ძირიან ზმნათა უწყვეტლის ორთა ფორმაში დადასტურებულ -ეჷ და ხუთთა ფორმაში გამოვლენილ -იჷ მორფემებზე: ხჷწსყ-ეჷ, ხწსყ-ეჷ, წსყ-იჷ „ვაკეთებდი, აკეთებდი, აკეთებდა“ (აწმყო: წსყ-ი „აკეთებს“), ხჷწთ-ეჷ, ხწთ-ეჷ, წთ-იჷ „მკიდი, მკიდი, მკიდა“ (აწმყო: წთ-ი „მკის“) და სხვ.

ამ -ეჷ/-იჷ მორფემათა ადგილას ბალსქვემოურსა და ლენტეხურში -ევ ელემენტი ვლინდება: ბზ. ხჷწასყ-ევ-დწს, ხწასყ-ევ-დწს, ასყ-ევ-და; ხჷწათ-ევ-დწს, ხწათ-ევ-დწს, ათ-ევ-და და სხვ; ლნტ. ხჷწსყ-ევ-და, ხწსყ-ევ-დწს, წსყ-ევ-და; ხჷწჷ-ევ-დწს, ხწჷ-ევ-დწს, წჷ-ევ-და „ვაცხოვ, აცხოვ, აცხოვდა“ და სხვ. ლენტეხურში ეგვევ -ევ აწმყოს ფორმებშიც გვხვდება: ხჷწსყ-ევ, ხწსყ-ევ, წსყ-ევ; ხჷწჷ-ევ, ხწჷ-ევ, წჷ-ევ და სხვა.

ვფიქრობთ, რომ -ევ<*-ეჷ ე-ს მასიმილირებელი გავლენით. სვანურში ამგვარი გადასვლის არაერთი მაგალითი დასტურდება. შდრ., პირველ რიგში, თავად ჩვენთვის საინტერესო ზმნათა ნამყოფ დროის მიმღეობები: ბქ. ნა/წ-სყ-ეჷ, ბზ. ნა-სყ-აჷ, ლნტ. ნა-სყ-აჷ — ლშხ. ნა-სყ-ევ; ლნტ. ნა-ჷ-აჷ — ლაშხ. ნა-ჷ-ევ, ბქ. (ბერ.) ნა-შგ-ეჷ,

ბზ. ნა-შგ-ათ — ლშხ. ნა-შგ-ეე; შდრ. ასევე: ბზ. დერხტ, დერხტლა, ბქ. დერხტლა, ერხტლა, ლშხ. დერხტლა, ტერხტლა, ლნტ. ტერხტლა „ვერხვი“ < სქ. *ტერხტ- (შდრ.: ქართ. ვერხვი), ბზ. ფიტერ, ფიტერ, ფიორ „კლდის ნადირი (ჯიხვი, არჩვი)“ — ბქ. (პალმაიტისი, გუჯეჯია-ნი) ფიფერ და სხვ.

-**ეტ** სუფიქსი, რომელიც ბალსქვემოურში უხმოვნო ძირიან ზმნათა უწყვეტლის ორთა ფორმაში ვლინდება, ძველ ქართულში უწყვეტლის პირველ და მეორე პირთა ფორმებში დადასტურებული -**ეტ** სუფიქსის შესატყვისია (შდრ.: ვ-კლ-ავ — ვ-კლ-ევ-დ). რაც შეეხება ბალსქვემოურის უწყვეტლის ხუთთა ფორმაში გამოვლენილ -**ოტ** მორფემას, ის, სავარაუდოდ, მეტათეზისით უნდა იყოს მიღებული მორფემათა მიჯნაზე წარმოქმნილი -**ტი** ბგერათმომდევრობისაგან, სადაც -**ტი** ამოსავალი *-**ატ** სუფიქსის უხმოვნო ვარიანტს წარმოადგენს, **ო** კი — -იდ მავრცობის ხმოვანს (შდრ. კლ-ავ-ს — კლ-ვიდ-ა). ბალსქვემოურში -**ეტ** (>-ეე) უწყვეტლის ხუთთა ფორმაზე უნდა გავრცელებულიყო (შდრ. ხევს. ვ-მალ-ევ-დ-ი — მალ-ევ-დ-ა), ხოლო ლენტეხურში — ასევე აწმყოშიც (შდრ. იმერ. მრ. რიცხვის მესამე პირის ფორმები: მალ-ევ-ენ). მოგვიანებით -**ეე** (<-ეტ) თავად იქნა განდევნილი აწმყოდან -**ი** (< სქ *-ი) მწკრივის ნიშნის მიერ.

მარიამ კიკონიშვილი, ნინო ჭუმბურიძე

პიროვნული სახელები მე-19 საუკუნის თავად-აზნაურთა სიების მიხედვით

ქართველ თავად-აზნაურთა საოჯახო სიები უნიკალურ ცნობებს შეიცავს ამ სოციალური ფენის წარმომადგენელთა ვინაობის, ოჯახების სტრუქტურის, ნათესაური ურთიერთობის, პიროვნული სახელებისა და გვარების შესახებ. ამდენად, ეს სიები მეტად საყურადღებო მასალას წარმოადგენს ისტორიკოსების, სოციოლოგების, დემოგრაფებისა და ონომასტიკოსებისათვის. ამ დოკუმენტების მიხედვით კარ-

გად ჩანს, რომელი პიროვნული სახელი იყო გავრცელებული ამ დროს ჩვენს ქვეყანაში, როგორ ვრცელდებოდა ახლადშემოსული სახელები და როგორი იყო ამ მხრივ სხვა ქვეყნების გავლენა.

ბევრი სახელი, რომლებიც მე-19 საუკუნეში პოპულარობით სარგებლობდა, დღეს იშვიათად გვხვდება ან საერთოდ მივიწყებულია. ასეთია როგორც საკუთრივ ქართული, ისე სხვა ენებიდან შემოსული სახელები: საჩინო, ქაიხოსრო, ზაქარია, იასე, ლუარსაბ, სოლომონ, სიმონ, გრიგოლ, ელიზბარ, ანტონ, მაქსიმე, ალათი, მართა, მელანია, გულქანი, კეკელა, მზეხა, პელაგია, ტასია, სოფიო, ფოტინე და სხვ.

ქართველ თავად-აზნაურთა სიებიდან ჩანს, რომ მე-19 საუკუნეში საქართველოში ვრცელდება რუსული ან რუსული წარმოქმის შესაბამისად სახეცვლილი ანთროპონიმები: ნადეჟდა, ლუბა, ფეოდორა, მატრონა, ანუსია, ეკატერინა, ნიკოლაი და სხვ.

ამავე დროს აშკარაა სხვა ქვეყნის კულტურათა გავლენა და ჩანს ამ მხრივ განსხვავებული ტენდენციები საქართველოს კუთხეებს შორის. როგორც ცნობილია, დასავლეთ საქართველოს უფრო მეტად დასავლეთის ქრისტიანულ ქვეყნებთან ჰქონდა პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული კავშირი, აღმოსავლეთ საქართველო კი აღმოსავლეთის ქვეყნების გავლენას განიცდიდა. შესაბამისად, ანთროპონიმთაგან ზოგი მხოლოდ დასავლეთ საქართველოში იყო გავრცელებული, აღმოსავლეთ საქართველოში კი ნაკლებად გვხვდებოდა და — პირიქით. ეს ჩანს ჩვენ მიერ შესწავლილი დოკუმენტებიდანაც. იმერეთისა და გურიის თავად-აზნაურთა სახელებში გვხვდება ბერძნული სახელები: იულონ, სოკრატ, კესარია, ფეოდოსია, ფოტინე, რომლებიც აღმოსავლეთ საქართველოს თავად-აზნაურთა წრეში ნაკლებად არის გავრცელებული ან სულ არ გვხვდება. ქართლ-კახეთში კი ხშირია აღმოსავლეთის ქვეყნებში გავრცელებული სახელები: ბარამ, ბარძიმ, გივი, ზაალ, ჯიმშერ, ხორეშან, გაიანე... გვხვდება ისეთი სახელები, როგორებიცაა: ფაროჯუმ-ბეკ, ჰასან-ბეკ, მამად-სადურ-ბეკ, ჯალალ-ბეკ-მირზა, მამიკონ, ხანუმჯან, შუშანა, მარზია-ხანუმ, საკინა-ხანუმ, სეიდან-ხანუმ და სხვ. სამეგრელოსთან სიახლოვისა და მჭიდრო კავშირის გამო გურიისა და იმერეთის თავად-აზნაურთა სახე-

ლებში გვხვდება ისეთი სახელები, როგორებიცაა: უტუ, ჯეგესია, ჯოლორია...

საყურადღებოა, რომ პიროვნულ სახელებში ასახულია ამა თუ იმ დიალექტისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური თავისებურებანი: ბებიეთვალი, სელინოზი (შდრ. სირინოზი), ბარბალე...

საყურადღებოა აგრეთვე, რომ ამ დოკუმენტებში შემორჩენილია ზოგი სახელი, რომლებიც მხოლოდ აქ არის დაცული და სხვა წყაროებით ცნობილი არ ყოფილა: აგია, გეგენა, მაქსიმენი...

მაკა ლაბარტყავა

მოზარდთა ენობრივი თავისებურებებისათვის

დღევანდელმა ყოფამ — საქართველოს გადასვლამ საბაზრო ეკონომიკაზე და მისმა ჩართვამ მსოფლიო ინტეგრაციის ფერხულში, აგრეთვე — ტექნიკურ-ურბანისტულმა პროცესებმა, ბუნებრივია, მნიშვნელოვნად იმოქმედა მოზარდთა ფსიქიკაზეც (შესაბამისად — მეტყველებაზეც).

მოზარდები გამოირჩევიან „თავისუფალი“ ლექსიკით, გატაცებული არიან უცხო სიტყვებით, ჟარგონებითა თუ სკაბრეზული გამოთქმებით. ყოველივე ეს ნათლად აისახება ლ. ბულაძის, ა. მორჩილაძისა და მ. კორძაია-სამადაშვილის ნაწერებში („აუ, პროსტა, ტვინი გამიბურღა, ცოლად წამომყევით და როგორც იცის ხოლმე, საყვარლად, შეჩემა, როდემდე ვიართ ასე სირებივითო“; „რა გვიქნა დედააფეთქებულმა შაპ-აბასმა!“; „სუ მკილია ეს გამოსირებული დემური, მივახტები ეხლა ამ ნინჩოს და აგერ დამასკედეს ყველაო“; „ყველა გოგო ერთ პონტში ბაზრობსო, ესეც გაიფიქრა“; „ერთხელ ბათუმში გნახე და მაგრა დამევასე“; „ამ სიმღერაზე პროსტომც ვეცემი“; „ბოიფრენდი თუ გყავს“...).

საინტერესოა ჩანს მოზარდთა მიერ ამა თუ იმ უბნისა თუ ობიექტებისათვის შერჩმეული სახელწოდებანიც (ვარკეთილი —

„უსახური უბანი“, ვაკე-საბურთალოს გადამკვეთი გზა — „მახინჯი შარა“, აფრიკა — „გადასაკარგავი“, რვასართულიანი სახლები — „ასანთის კოლოფები“ და სხვ.).

თ ა მ ა რ ლ ო მ თ ა ძ ე

ენობრივი პოლიტიკის საკითხებისათვის თანამედროვე გალიციაში

გალიცია ესპანეთის რეგიონია, რომელიც იბერიის ნახევარკუნძულის ჩრდილოდასავლეთით მდებარეობს. მას ჩრდილოეთით კანტაბრიის ზღვა აკრავს, დასავლეთით — ატლანტიკის ოკეანე, სამხრეთით პორტუგალია ესაზღვრება, აღმოსავლეთით კი — ესპანეთის სხვა რეგიონები: ასტურიასი, ლეონი და ზამორა. გალიცია 4 პროვინციისაგან შედგება: კორუნა, ლუგო, ოურენსი და პონტევედრა. 2004 წლის იანვრის აღრიცხვით, გალიციის მოსახლეობა 2.750.985-ს ანუ, მთელი ესპანეთის მოსახლეობის 6,5%-ს უტოლდება.

დღესდღეობით მთელ მსოფლიოში დაახლოებით 3-დან 4 მილიონ ადამიანამდე ლაპარაკობს გალიციურ ენაზე (რა თქმა უნდა, მიგრირებული მოსახლეობის ჩათვლით). მიუხედავად იმისა, რომ გალიცია ცხრაასი წელია ესპანეთის სამეფოს შემადგენლობაშია, გალიციურ ენას საერთო ფესვები და განვითარების ადრეული ეტაპი აკავშირებს არა კასტილიურ ესპანურთან, არამედ პორტუგალიურთან. ამ ენას ინგლისურად ზოგჯერ გალიციურ-პორტუგალიურსაც უწოდებენ.

გალიციასა და გალიციურ ენას სოციალურად, ლინგვისტურად და ისტორიულად უჭირავს „გარდამავალი ზონა“ პორტუგალიურსა და კასტილიურს შორის. გალიციის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში გალიციური ხან ოფიციალური სტატუსის მქონე ენა იყო, ხან პორტუგალიურთან და კასტილიურთან ერთად გამოიყენებოდა, ხანაც მთლიანად იდევნებოდა.

მას შემდეგ, რაც გალიციამ თვითმმართველობის უფლება მოიპოვა 1970-იანი წლების ბოლოს, გალიციის მთავრობამ (ხუნტამ) წამოიწყო ინსტიტუციონალური მხარდაჭერისა და ენის ხელშეწყობის პოლიტიკა. ნორმალიზაციის პროცესის მიზანი იყო, ხელახლა დაემკვიდრებინა გალიციური, როგორც ეთნიკური იდენტობის უპირველესი სიმბოლო, რითაც ეს რეგიონი განირჩეოდა დანარჩენი ესპანეთისაგან.

თანამედროვე გალიციის ენობრივი პოლიტიკის დაგეგმარება ძირითადად 1978 წლიდან იწყება. 1978 წლის ესპანეთის კონსტიტუციამ კასტილიური სახელმწიფოს ოფიციალურ ენად გამოაცხადა, მაგრამ მან ასევე დაუშვა, რომ კატალონიური, ბასკური და გალიციური თანაოფიციალური ენები ყოფილიყვნენ თავიანთ შესაბამის რეგიონებში.

ესპანეთის კონსტიტუციის მე-3 მუხლი ამგვარად ცნობს მათ ოფიციალურ სტატუსს:

3.1. კასტილიური არის სახელმწიფოს ოფიციალური ესპანური ენა. ყველა ესპანელის მოვალეობაა იცოდეს იგი და ყველა ესპანელს აქვს მისი გამოყენების უფლება.

3.2. ესპანეთის სხვა ენები ასევე იქნება ოფიციალური თავიანთ შესაბამის თვითმმართველ საზოგადოებებში, მათი სტატუსის შესატყვისად.

3.3. ესპანეთის ენობრივი სიმდიდრე და მრავალფეროვნება ის კულტურული მემკვიდრეობაა, რომელიც იქნება განსაკუთრებული პატივისცემისა და დაცვის ობიექტი/საგანი (ესპანეთის კონსტიტუცია — 1978 [http:// www. Constitucion.es/constitucion/index.html](http://www.Constitucion.es/constitucion/index.html)).

შესაბამისად, 1978 წელს გალიციის კონსტიტუციის რატიფიცირებას სწრაფად მოჰყვა ავტონომიის სტატუსის მიღება და ავტონომიური მთავრობის (ხუნტის) შექმნა. აქედან მოყოლებული, გალიციური იქცა ენად, რომელიც გამოიყენებოდა რეგიონის პოლიტიკურ დისკურსში.

გალიციის ავტონომიის კანონმდებლობის პრეამბულის მე-5 მუხლი ნათლად განსაზღვრავს რეგიონის ენობრივ მისწრაფებებს:

ა. გალიციური არის გალიციის ავტოქთონური ენა.

ბ. გალიციური და კასტილიური წარმოადგენს გალიციის ოფიციალურ ენებს და ყველას აქვს მათი შესწავლისა და გამოყენების უფლება,

გ. გალიციის ხელისუფლება უზრუნველყოფს ორივე ენის ნორმალურ და ოფიციალურ გამოყენებას და ხელს შეუწყობს გალიციურის გამოყენებას საზოგადოებრივი/საჯარო ცხოვრების ყველა სფეროში კულტურის, ხელოვნებისა და ინფორმაციული სისტემების საშუალებით და ასევე, მიმართავს ყველა აუცილებელ საშუალებას მისი შესწავლის ხელშეწყობისათვის.

დ. ენის გამო ვინმეს დისკრიმინაცია დაუშვებელია (გალიციის ხუნტა, 1989).

მთავარი რეგულაცია, რომელიც არეგულირებს გალიციურის გამოყენებას განათლების სისტემაში, არის გალიციის ენობრივი ნორმალიზაციის კანონი, რატიფიცირებული 1983 წელს. ამ კანონის მიზანი იყო განევითარებინა თანაოფიციალური ენის სტატუსის იდეა მოსახლეობის წახალისების გზით, მიეღოთ გალიციური როგორც სრულფასოვანი ენობრივი არჩევანი სხვადასხვა ფუნქციით გამოსაყენებლად, როგორცაა ადმინისტრაციული სექტორი, განათლების სისტემა და მედია.

გალიციური ენის განათლების სისტემაში გამოყენების შესახებ

მუხლი 12.1. გალიციური, როგორც გალიციის ავტოქტონური ენა, ამავდროულად არის განათლების სისტემის ოფიციალური ენა ყველა დონეზე.

მუხლი 13. ბავშვებს აქვთ უფლება მიიღონ სკოლამდელი და დაწყებითი განათლება მშობლიურ ენაზე. გალიციის მთავრობა გადაწყვეტს, თუ რა ზომების მიღებაა საჭირო ამ უფლების უზრუნველსაყოფად.

მუხლი 14.1. გალიციური ენის შესწავლა სავალდებულოა განათლების ნებისმიერ არასაუნივერსიტეტო დონეზე. ამ უფლების

ეფექტური გამოყენება გარანტირებული იქნება ყველა საჯარო და კერძო დაწესებულებაში.

1990-იანი წლების ყველა სხვა დადგენილების/განკარგულების კულმინაცია გახლავთ დადგენილება (247/1995), რომელიც მიიღეს პირველდაწყებითი, სკოლამდელი, დაწყებითი, საშუალო და უნივერსიტეტამდელი საგანმანათლებლო კურიკულუმის/სასწავლო გეგმის შესახებ.

1. სკოლამდელ დონეზე და დაწყებითი სკოლის პირველ წლებში მასწავლებელი გაკვეთილზე გამოიყენებს მოსწავლეთა უმრავლესობის მშობლიურ ენას, გაითვალისწინებს რა მათი ადგილობრივი გარემოს დომინანტურ ენას და დარწმუნდება რა, რომ ისინი იძენენ ზეპირ და წერილობით უნარ-ჩვევებს გალიციის სხვა ოფიციალურ ენაში შესაბამისი დონის ფარგლებში.

2. საშუალო განათლების დონეზე სოციალურ მეცნიერებათა (გეოგრაფია და ისტორია) და საბუნებისმეტყველო საგნები უნდა ისწავლებოდეს გალიციურ ენაზე.

3. არჩევითი საგნებიდან გარემოსდაცვითი და სამედიცინო საგნები უნდა ისწავლებოდეს გალიციურად, ისევე როგორც ყველა ინდივიდუალური სკოლის მიერ შეთავაზებული სხვა არჩევითი საგნები (www.cig-ensino.com/descargas/00455.pdf).

რაც შეეხება მედიას, მე-4 დებულების მე-18 მუხლის მიზანი იყო, წაეჭეზებინა გალიციურის გამოყენება ადგილობრივ სატელევიზიო და რადიოარხებზე და ასევე ადგილობრივ გაზეთებში:

მუხლი 18. გალიციური იქნება რადიოს, ტელევიზიისა და იმ სხვა საჯარო კომუნიკაციის საშუალებების ყოველდღიური ენა, რომლებიც პასუხისმგებელია ადმინისტრაციის წინაშე თვითმმართველი საზოგადოების საქმიანი ინტერესების გათვალისწინებით.

დაბოლოს, მე-2 დებულება განსაზღვრავს კანონმდებლობას, რომელიც არეგულირებს ენის გამოყენებას სამთავრობო დაწესებულებების მიერ საზოგადოებასთან ურთიერთობაში.

მუხლი 6.1. მოქალაქეებს აქვთ უფლება, მოითხოვონ გალიციურის გამოყენება როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი კომუნიკაცი-

ისას საჯარო სამსახურებთან თვითმმართველი საზოგადოების ფარგლებში.

გალიციური ენის ლინგვისტური ნორმალიზაციის გენერალური გეგმის რატიფიცირება მოხდა 2004 წლის სექტემბერში და გასაჯაროვდა 2005 წლის 22 იანვარს. ეს ბოლოდროინდელი კანონმდებლობა გვაუწყებს, რომ „მთლიანობაში, ამ ნორმალიზაციის გეგმის მიზანია, გაატაროს მთელი რიგი ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს გალიციურ ენაზე მოლაპარაკეთა რაოდენობის ზრდას, გააღრმავებს ენისადმი პატივისცემას და წაახალისებს ადამიანებს, ენა გამოიყენონ ბუნებრივად და შეუზღუდავად. გალიციური, გალიციის ავტოქთონური ენა, როგორც ეს განსაზღვრულია ავტონომიის კონსტიტუციითა და კანონმდებლობით, არ უნდა გამოიყენებოდეს არც როგორც პოლიტიკური იარაღი და არც ინსტრუმენტი პოლიტიკური მისწრაფებების/მიკერძოების მხარდასაჭერად. ჩვენი ენა ჩვენი იდენტობის უმთავრესი საყრდენი ღერძია, გალიციელი ხალხის გული და სული და ჩვენ ყველამ ერთად უნდა ვიმუშაოთ ერთი მიზნის მისაღწევად. გალიციური ენის დაცვა უაღრესად სერიოზული მოვალეობაა და უნდა განხორციელდეს ყოველგვარი სიყალბისა და დემაგოგიის სამარცხვინო მცდელობების გარეშე“ ((PNL) 2005: 9).

ქეთევან მარგიანი-სუბარი

სვანური ლიჭრილიჭრენი („მიკერება, მიბმა, მიერთება“) და ქართული კერვა ლექსემების ურთიერთმიმართებისათვის

„სვანურ ლექსიკონში“ ხ-ა-ჭრ-ი/ხ-ა-ჭრ-ენ-ი განმარტებულია როგორც „მი¹აბამს, აკერებს“, ლი-ჭრ-ენ-ი — „გადა²ბმა, მიმატება, მიმენება“.

ქ. ლომთათიძე ქართული **კერავს** ზმნის ეტიმოლოგიაზე მსჯელობისას აღნიშნავს, რომ ამ სიტყვის ამოსავალი მნიშვნელობა უნდა

იყოს „აერთებს ერთმანეთთან“ და ამდენადვე უკავშირდებოდეს **-ები**-**იბ** სუფიქსით გართულებულ **კრებ-||კრიბ-** ფუძის მნიშვნელობას. მკვლევარი აქვე აღნიშნავს, რომ „კერვის ამავე ამოსავალ მნიშვნელობასთან დაკავშირებული ჩანს ხევსურულში „ძაფის“ სახელწოდება „ნაჭერი“; არნ. ჩიქობავას აზრით, **ნა-** პრეფიქსი ნამყოს მიმღობის მაწარმოებელი არ უნდა ყოფილიყო, ამიტომაც იგი თავისუფლად მონაცვლეობს **სა-** პრეფიქსთან, ამდენადვე **ნა-ჭერ-**ი (IIIსა-**ჭერ-**ი) უნდა აღნიშნავდეს კერვის, ე. ი. შეერთების, შეკვრა-შეკავშირების საშუალებას“ (არნოლდ ჩიქობავას დაბადების 85 წლისთავისადმი მიძღვნილი XXXIX სამეცნიერო სესიის თეზისები, თბილისი, 1983).

სამწუხაროდ, ქ. ლომთათიძის თეზისებში სვანური მასალა მოხმობილი არ არის, მაგრამ, მისი მოსაზრების გათვალისწინებით, დასაშვებად მიგვაჩნია, რომ სვანური **ლიჭრი/ე** სწორედ **კერ-** ძირს უნდა უკავშირდებოდეს. სემანტიკასთან ერთად, ამის თქმის უფლებას გვაძლევს ფუძისეული ხმოვნის იმგვარი ტრანსფორმაცია (ლა-ხ-**ჭარ** „მიაბა, მიაკერ“, ხ-ა-**ჭარ-**და), რომელიც ლოგიკურად ექვემდებარება მ. ქალდანის მიერ აღმოჩენილ უკანა მიმართულების უმლაუტის წესს: ნამყო უსრულში ისტორიულად მოსალოდნელ **-ა** სუფიქსს თუ აღვადგენთ (**ა-ჭერ-**ა), უნდა მიგველო ***ა-ჭარ**, რომელსაც მოგვიანებით დაერთო **-და** (1-ელ და მე-2 პირში), **-დას** (მე-3 პირში) სუფიქსი; ბალსქვემოურში ნამყო უსრულის სპეციფიკური სუფიქსის გამო, ცხადია, ფუძე შეკუმშულია: **ა-ჭრ-**იჟ; რაც შეეხება აწმყოს, ეს ზმნა **-ი** სუფიქსიანია, შესაბამისად, ფუძე აქაც რედუცირებულია (**ა-ჭრ-**ი „აბამს, აკერებს“).

სპეციალურ ლიტერატურაში (მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი, 200-2003) **ლიჭრი/ლიჭრენი** სთვის აღადგენენ საერთო ქართველურ ფუძეს ***წარ** („მიბმა, შეკვრა, დაკავშირება“), რაც დამაჯერებელია და ფონეტიკურად წინააღმდეგობას არ შეიცავს ისტორიულად მოსალოდნელ ფონეტიკურ პროცესებთან, მაგრამ, მ. ჩუხუას მიერ გაზიარებული ფონემათმესატყვისობების მიხედვით, საერთოქართველურ **კ-**საც შეიძლებოდა მოეცა სვანურში **ჭ** (პალატალური ხმოვნის წინ); ხოლო სემანტიკურად, ვფიქრობთ, ეს უკანასკნელი (კერვა) დგას უფრო ახლოს სვანურ საა-

ნალიზო ერთეულთან, ვიდრე წარ/წერ ძირის მქონე შესაბამისი ლექსემები: **წერ**-ი „მომკილი სვილის ძნა“ (მოხ., ქსნის ხეობ., რაჭ.), **წერ**-ილ-ა „მეკრული ძნა (ხევს.)“, **წერ**-ელ-ი „ყანის **ნაკრეფი შეკონვილი**“ (საბა)... ამდენად, ვფიქრობთ, არსებული ეტიმოლოგიის გვერდით, ჩვენელი ანალიზიც საყურადღებოა: ა-**ჭრ**-ი (აბამს, აკერებს) < *ა-**ჭერ**-ი < *ა-**კერ**-ი, ა-**ჭარ**-და (აბამდა, აკერებდა) < *ა-**ჭერ**-ა < *ა-**კერ**-ა.

ნ ა ნ ა მ ა ჯ ა ვ ა რ ი ა ნ ი

მადინამიკურებელი (გარდაქცევითობის) -ნა სუფიქსის წარმომავლობისათვის აფხაზურში

აფხაზურსა და აბაზურში სახელის ფუძიდან ნაწარმოებ ზმნათათვის დინამიკურობის მინიჭების ერთ-ერთი საშუალებაა -**ნა** სუფიქსის გამოყენება.

აუკვ „ადამიანი“, დგ-ტყა-ზ-ოფტ < დგ-ტყა-ზ-ტყეფტ „ადამიანდება“, ახაწა „კაცი“, დგ-ხაწა-ხე-ფტ „დაკაცდა“... ეს სუფიქსი სახელების გარდა, თავიანთი ბუნებით სტატიკურ ფუძეებსაც ერთვის: ილგ-ზოფტ < ი-ლგ-გ-ზა-ტყეფტ „აკლდება“, ი-ლ-თაზ-ზოფტ<ი-ლ-თაზ-ზა-ტყეფტ „უნდება“, დ-ა-კ-ზოფტ < დ-ა-კ-ზა-ტყეფტ „იქნება“...

მოხსენებაში გამოთქმულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ აღნიშნული -**ნა** სუფიქსის ამოსავალი შესაძლოა იყოს **ანგ** „თავი“ არსებითი სახელი მისი განზოგადებული მნიშვნელობით.

-ყე/ -ყენ თანდებულის ზოგიერთი ფუნქცია ფერეიდნულში

-ყენ/-ყე/ -ყ თანდებული **-კენ** თანდებულის ფონეტიკური ნაირსახეობაა; ქართული ენის დიალექტებში გამოხატავს მიმართულე-ბას გარკვეული პუნქტისაკენ.

-ყენ/-ყე/ -ყ თანდებული ფერეიდნულში გამოიყენება გამოვლითი ფუნქციის გამოსახატავადაც (არნ. ჩიქობავა); დაერთვის უპირატესად მიცემითი ბრუნვის ფორმას, გვხვდება ნათესაობითთანაც: ამოიღე **ჯიბესა-ყე** ფული „ამოვიღე ჯიბიდან ფული“; ჩამოიდა **ცხენსა-ყენა** „ჩამოვიდა ცხენიდან“... **ემის-ყე** ანქით შიში აღარა აქო „ამიდან/აქედან მანდეთ შიში აღარ აქვსო“ (ბ. ჯორბენაძე, 1989). „იგი თავისუფლად გამოხატავს მიმართულების საწყის პუნქტსაც (-იდან) და მიმართულებას გარკვეული პუნქტისაკენ(-კენ), მაგ., ერთი ქართველი **თბილისსაყე** ჩამოსულაო... წავლენ **სოფელსაყე** (დ. ჩხუბიანიშვილი).

ფერეიდნულში, ქართული ენის სხვა დიალექტებთან შედარებით, ამ თანდებულის გამოყენების არე საგრძნობლად ჩანს გაფართოებული.

-ყე თანდებულიანი მასალის ანალიზისას ყურადღებას იქცევს შემდეგი ტიპის კონსტრუქციები:

1. **-ყე** თანდებული მონაწილეობს შედარებითი ხარისხის წარმოებაში, მაგ., „ბერ დედაკაცი, მოჰსენ დედაკაცი, **ჩემ-ყე** მობერო იყო ერთ თალაქადა“ (იკე XXXIV, 2000). **ჩემ-ყე** (ჩემ-გან/ჩემზე) მობერო.

ჩვენი ვარაუდით, ზემომოყვანილი კონსტრუქცია სპარსული ენის გავლენით ჩანს გაჩენილი. შედარებითი ხარისხი სპარსულში იწარმოება **az** წინდებულის მეშვეობით, რომელიც ქართულში **-გან** თანდებულის მნიშვნელობისაა.

2. „ეშინია“ ზმნის მიერ მართული სახელი დაირთავს **-ყე** თანდებულს. მაგ.: „ბავშვები, ეს ბატარა გოგოები, ჩემთან აღარ მოიდლობიან, ფთხებოდეს **ჩემ-ყენ**, ეშინოდაყე“ (იკე XXIII, 1985). ანალოგიუ-

რი წარმოება გვხვდება სპარსულშიც, როცა „ემინია“ ზმნა სახელს მხოლოდ **az (-გან)** წინდებულის მეშვეობით უკავშირდება.

საშუალო ქართულის ლიტერატურული ძეგლების ენაში მრავლად გვხვდება გაანალიზებული კონსტრუქციები, რომლებიც, აგრეთვე, სპარსული ენის გავლენით აიხსნება.

მედეა საღლიანი

სივრცული ლოკალიზაციისა და მყოფობა-მქონებლობის აღმნიშვნელ ზმნათა ურთიერთმიმართებისათვის სვანურში

მყოფობის, სივრცული ლოკაციისა და მქონებლობის (*verba habendi*) სემანტიკის გამომხატველ ზმნათა ლექსიკურ-სემანტიკური მოდელის ურთიერთკავშირს, როგორც ცნობილია, სამეცნიერო ლიტერატურაში განხილული თვალსაზრისებიც ადასტურებენ და მას ენობრივი უნივერსალიების კუთხითაც განიხილავენ. ამ სემანტიკური მოდელის ურთიერთმიმართების საინტერესო სურათი კი ძველი ქართულის სტატიკური და საშუალო გვარის ზმნების საქცეო სისტემის მონაცემთა მიხედვით იკვეთება (მ. სუხიშვილი). ვფიქრობთ, სივრცული ლოკაციისა და „მყოფობა-მქონებლობის“ მნიშვნელობათა მიმართების არანაკლებ საინტერესო სურათი ვლინდება სვანური ენის დიალექტ-კილოკავებშიც.

კვლევის შედეგად გაირკვა, რომ სივრცული ლოკაციის აღმნიშვნელი სემანტიკური ველის შიგნით სვანურში, თანამედროვე მეტყველების მიხედვით, რელევანტურია დაპირისპირება როგორც *ვინ ჯგუფის* (*პიროვნების, ადამიანის*) სახელებში, ისე *რა ჯგუფის* (*სულიერი და უსულო*) სახელებს შორის.

ქონა-ყოლის აღმნიშვნელი ზმნები კი, რომლებიც ძალზე ხშირად მდებარეობის აღმნიშვნელ ზმნებს ენაცვლებიან, ნაწილდება სულიერსა და უსულო საგნებს (*resp.* ობიექტებს) შორის, ანუ გამოხატავენ დაპირისპირებას ცოცხალსა და არაცოცხალს შორის, თუმცა გამონაკლისები აქაც იჩენს თავს, კერძოდ, **ხორი** „ჰყავს, უვის“ და **ხაყა** „ჰყავს“

ზმნები ზოგ დიალექტში სულიერის პარალელურად არაცოცხალ ობიექტებსაც მიემართება, რაც, ჩვენი აზრით, შედარებით ახალი მოვლენა უნდა იყოს სვანურში.

როგორც მრავალფეროვან ემპირიულ მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, სვანური ენის კილო-კილოკავებში ამა თუ იმ ობიექტის მდებარეობის აღმნიშვნელ (**ხწგ** „უდგას“, **ხწზ** „უძევს“) პრელიკატებს „მქონებლობის“ აღმნიშვნელი ძირითადი ზმნები (**ხულჟა** „აქვს“, **ხორი** „ჰყავს („უვის“)“, **ხაყა** „ჰყავს“) ენაცვლება, რაც, ვფიქრობთ, უძველეს ვითარებას ასახავს. ამის თქმის საფუძველს კი გვაძლევს საენათმეცნიერო ლიტერატურაში ჯერ კიდევ 1954 წელს გ. დეეტერსის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ **verba habendi**-ს რიგის ჰყავს და აქ უს ზმნებს ძველ ქართულშივე ენაცვლება სინონიმთა ფართო წყება. კერძოდ, ძველ ქართულში „ქონა-ყოლის“ მნიშვნელობით გამოიყენება სტატიკური სემანტიკის მქონე (*დგას, წევს, ზის, ძეს, აბია* და ა. შ.) ზმნათა ე. წ. „საზედაოსა“ და სასხვისო ქცევის ფორმები: *მადგს, მიდგს, მიც (*მიძს), მაბს / მიბს, მივის, მისხენან* და სხვ. უნდა ითქვას, რომ ნაწილობრივ ძველი ქართულისებური ვითარება დაჩნდება სვანურშიც.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ **ხულჟა** „აქვს“ უსულო საგნის (ანუ ნივთის) მქონებლობას გამოხატავს, **ხაყა** „ჰყავს“ კი მყოფობა-მქონებლობას. რაც შეეხება **ხორი** „ჰყავს („უვის“)“ მაქცევრიან (მარკირებულ) ზმნას, მისი სემანტიკური განაწილება სვანური ენის კილო-კილოკავთა მიხედვით შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

ბალსზემოურში **ხორი** „ჰყავს („უვის“)“ მიემართება როგორც სულიერს (**გეზალ ხორი** „შვილი ჰყავს“, **ფირჟ ხორი** „ძროხა ჰყავს...“), ისე უსულოსაც (**დიპარ ხორი** „პური აქვს“, **ლერეჟჟ ხორი** „ტანსაცმელი აქვს...“), ბალსქვემოურში კი მხოლოდ სულიერს მიემართება (**გეზალ ხორი** „შვილი ჰყავს“, **ჟეთხჟმალ ხორი** „საქონელი ჰყავს...“), ლენტეხურში, სადაც მისი გამოყენების შემთხვევები იშვიათობას წარმოადგენს, სულიერსაც (**ხოზა დენა ხორი** „კარგი გოგო ჰყავს“) მიემართება და უსულოსაც (**წიკანტარ ხორი ვადისა** „ნაწილაკები აქვს („უვის“) მუცელში“). ჩოლურულში აღნიშნული ზმნის სემანტიკური შესაძლებლობანი საკმაოდ შეზღუდულია, გამოიყენება მხოლოდ ზოგიერთი მწერის „*მყოფობის*“ გამოსახატავად (ე. ი. რელიქტის სახით არის შემორჩენილი). ლაშხურში კი მისი ხმარების შემთხვევები არც ტექსტებში 52

და არც თანამედროვე მეტყველებაში არ დასტურდება და თითქმის ყველგან (სულიერთანაც და უსულოსთანაც) ენაცვლება **ხაყა** „ჰყავს“ ზმნა. იგივე ზმნა **ხორი** „ჰყავს“ ზმნას ზშირად ენაცვლება სვანური ენის სხვა დიალექტებშიც. ერთადერთი გამონაკლისია ბალსქვემოური, სადაც სულიერის ყოლის მნიშვნელობით **ხორი** „ჰყავს“ ფორმა გაავრცელებული და **ხაყა** „ჰყავს“ სხვა კონტექსტში გამოიყენება, კერძოდ, როცა საუბარია რა ჯგუფის სახელების (მაგ.: **მანქანა ხაყა** „მანქანა ჰყავს“, **ვანარ ამეჩუ ხაყა** „ხარები აქ ჰყავს“, **უეთხჷმალ ლახჷს ხაყა** „საქონელი მთაში ჰყავს“ და ა. შ.) ქონა-ყოლაზე.

სულიერება-უსულობის მიხედვით არსებობისა და ქონა-ყოლის აღმნიშვნელ ზმნათა განაწილება სვანურში, სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, „ძლიერი ტენდენციის ხასიათს ატარებს და არა დასრულებული ენობრივი ფაქტისა“ (ნ. ლოლაძე), რასაც მრავალფეროვანი მასალის ანალიზიც ადასტურებს, თუმცა ამჯერად ჩვენი ნაშრომის ძირითადი მიზანი სივრცული ლოკალიზაციის გამომხატველი ზმნების ანალიზი იყო სვანურის ყველა დიალექტისა და ზოგი კილოკავის მონაცემთა გათვალისწინებით¹.

მედია სალიანი, ნატო შავრეშიანი

რედუბლიკაცია და სუფიქსაცია სვანურში (ფონოსემანტიკური მასალის საფუძველზე)

სვანური ფონოსემანტიკური ლექსიკის შესახებ მსჯელობა ამა თუ იმ სახით წარმოდგენილია ცალკეულ ენათმეცნიერულ ნაშრომებში, თუმცა საკითხი საფუძვლიანად დღემდე არ არის შესწავლილი.

ამჯერად ჩვენი ნაშრომის ძირითადი მიზანია ფონოსემანტიკური ლექსიკის, კერძოდ, ხმაბაძვითი და გარეგნობის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულების აღწერა და ამ ლექსიკურ ერთეულთა სტრუქ-

¹ აღნიშნულ საკითხზე მუშაობის გაგრძელება სამომავლოდ ივარაუდება.

ტურული მოდელების კვლევა სინქრონიული და დიაქრონიული ასპექტებით სვანური ენის დიალექტ-კილოკავთა მიხედვით.

სვანური ხმაბაძვითი ლექსიკის შედარებითი შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ მათი გამოყენება საკმაო ხშირია **უსუფიქსოდ — მარტივი** (ე. წ. **შიშველი**) **ფუძეებით, ფუძის გაორკეცებითა და აფიქსაციით.**

სვანურში გამოკვეთილ ბგერწერით ყალიბებს ქმნიან **ი / უ / გ** ხმოვნები. ფონოსემანტიკურ ექსპრესიულ ფუძეში შეიძლება იყოს ან ერთი (მაგ.: **სგლ** „სისინი“, **შგლ** „შიშინი“, **სტგლ** „გამაყრუებელი ხმაური“, **ბღგლ** „ბღავილი“ და ა. შ.), ან ორი ხმოვანი (მაგ.: **კგრკგნ** „კისკისი“, **ტგრტგნ** „რატრათი, ლაქლაქი, ყბედობა“, **ფგრფგნ** „რატრათი, ჩიფჩიფი“ და სხვ.). ერთზე მეტხმოვნიანი ძირები, უმეტეს შემთხვევაში, რედუბლიკაციით არის მიღებული.

ჩვენი დაკვირვებით, სვანურში გამოვლინდა რედუბლიკაციის რამდენიმე სახე:

1. **ხმოვნის შეუცვლელად რედუბლიცირებული ფუძე** (ანუ მარტივი გაორკეცება); 2. **ხმოვნის მონაცვლეობით რედუბლიცირებული ფუძე**; 3. **თანხმოვნის შეუცვლელად რედუბლიცირებული ფუძე**; 4. **თანხმოვნის მონაცვლეობით რედუბლიცირებული ფუძე.**

1. მასალის ანალიზმა აჩვენა, რომ სვანურში **ე** ხმოვნის გარდა თითქმის ყველა ხმოვნის (**ა, ი, ო, უ, გ**) შემცვლელი ფუძე ორმაგდება:

ა-ხმოვნიანი: ლი-**ლაპ-ლაპ-ი** (ლშხ., ჩოლ.) „ყბედობა“, ლი-**ფან-ფანლ-ი** (ჩოლ.) „კანკალი, ფამფალი“, ლი-**ყუარ-ყუნცი-ი** (ჩოლ.) „ბრწყინვა“, ლი-**ხუარ-ხუაც-ი** (ლნტ.) „დუდილი (ძლიერი)“...

ი-ხმოვნიანი: ბი**ტ-ბიტ** (ჩოლ.) „ბრუციანის აცა-ბაცა, მოღრეცილი სიარული“, გლი**ჯ-გლიჯ** (ზს., ქს.) „უხეშად სიარული; მიორტყმამორტყმის ხმა“, ზი**პ-ზიპ** (ბქ.) „მსუქანი ადამიანის მძიმე სიარული“, ხუ**რიგ-ხურიგ** (ბქ., ჩოლ.) „შაქრის ჭამის დროს გამოცემული ხმა“ ...

ო-ხმოვნიანი: ლი-**როხ-როხ-ი** (ჩოლ.) „ღორის ხმაურობა, ჭყივილი“, ლი-**შოქ-შოქ-ი** (ჩოლ.) „დედაკაცის ბევრი და ხმამაღალი ლაპარაკი“ ...

უ-ხმოვნიანი: ბუ**გუ-ბუგუ** (ჩოლ.) „დაბეჭვა (ვაშლისა) უკბილოს შესაჭმელად“, შუ**ლ-შულ** (ბზ., ლშხ., ჩოლ.), შუ**ლ-შულ** (ბქ., ლნტ.) „ფვივნა“, ჭუ**ლ-ჭულ** (ბზ., ლშხ., ჩოლ.), ჭუ**ლ-ჭულ** (ბქ., ლნტ.)

„წული (ქარისა)“, **ზურზუნ** (ლნტ.) „ზუზუნი“, **კურკუნ** (ბზ., ლმზ., ჩოლ.), **კურკუნ** (ბქ., ლნტ.) „კრუსუნი“, **ცურცუნ** (ბქ.) „ჩურჩული“ ...

გ-ხმოვნინანი: **ბგრბგნ** (ბქ., ჩოლ.) „ენაბრველი მამაკაცის ლაპარაკი“, **ზგრზგნ** (ბქ.) „ზუზუნი; ბუზლუნი“, **თგრტგნ** (ბზ.) **თგრტგნ** (ბქ.) „ჭიხვინი, ხვიხვინი“, **კგლბგნ||კგრპგნ** (ბქ.) „წყლაპუნი“, **ბგც-ბგც** (ლზმ.) „ჩიფჩიფი“, **ყუტ-ყუტ** (ლმზ.) „ბასი“, **შგლ-შგლ** „გაბმული შრიალი“ ...

2. სვანურში სხვადასხვა ხმოვნის (ი ~ ა, ი ~ უ - ი ~ უ, ა ~ უ, ა ~ ი, ი ~ უ, ი ~ გ, გ ~ ნ) მონაცვლეობით რედუბლიცირებული ნმბაძ-ვითი ფუძეების რამდენიმე სტრუქტურული მოდელი გამოიკვეთა, რომელთაგან ყველაზე უფრო გავრცელებული აღმოჩნდა ი ~ ა ხმოვან-მონაცვლეობით რედუბლიცირებული ფუძეები.

რედუბლიცირებულ ფუძეთა უმეტესი ნაწილი კავშირის გარეშეა წარმოდგენილი, თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც მაერთებელი ი კავშირით რედუბლიცირებული ფუძეებიც ვლინდება და, ასევე, ხშირია **მა-** მარცვლის ჩართვა ფუძის გაორკეცებისას, რომელიც, ვ. თოფურიას ვარაუდით, საწარმოებელი თავსართი შეიძლება იყოს.

ხმოვანუცვლელ და ხმოვანმონაცვლელ რედუბლიცირებულ ყალიბებს შორის სემანტიკური სხვაობაც ხელშესახებია, თუმცა ამჯერად საკითხის კვლევას სხვა მიმართულებით წარგმართავთ¹.

3. სვანურში თანხმოვნის შეუცვლელად რედუბლიცირებული ფუძეები წარმოდგენილია სხვადასხვა სახის სტრუქტურული მოდელებით: 1. **CVC - CVC**; 2. **CCVC - CCVC**; 3. **CCVC - CCVC**; 4. **CVCC - CVCC**; 5. **CCVCC - CCVCC**; 6. **CVCV - CVCV**...

აღნიშნულ სტრუქტურულ მოდელებში, როგორც მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, არ ფიგურირებს სონორები, გაორკეცებული ფუძეების ორივე თანხმოვნითი სემენტი (ანლაუტ-აუსლაუტში) კი იდენტურია. დასტურდება ისეთი მოდელებიც, სადაც გაორკეცებული ფუძეების ანლაუტში ორი ან სამი თანხმოვანია წარმოდგენილი და, ასევე, შეგვხვდა ისეთი რედუბლიცირებული ფუძეებიც, რომელთაშიც აუსლაუტში ჰარმონიული კომპლექსები ფიგურირებენ.

¹ ივარაუდება საკითხზე მუშაობის გაგრძელება.

4. სვანურში სხვადასხვა თანხმოვნის (რ ~ ნ, ნ ~ ლ, რ ~ ლ, ს ~ ბ, უ ~ ბ, შ ~ ბ, ხ ~ ბ...) მონაცვლეობით რედუბლიცირებული ხმაბაძვითი ფუძეების რამდენიმე სტრუქტურული მოდელი გამოიკვეთა, რომელთაგან ყველაზე უფრო გავრცელებულია სონორთა მონაცვლეობით რედუბლიცირებული ფუძეები.

ხშირ შემთხვევაში გაურკვეველია ესა თუ ის ფუძე რედუბლიკაციის გზით არის მიღებული, თუ სუფიქსაციის.

იმისათვის, რომ გაირკვეს, რედუბლიკაციასთან გვაქვს საქმე თუ სუფიქსაციასთან, აუცილებელია საწყისი, თავდაპირველი (ე. წ. შიშველი) ფუძეების ჩვენება. ხშირად ამ ფუძეების, ანუ, როგორც არნ. ჩიქობავა უწოდებდა, „პირველადი მასდარების“ გამოვლენა არ ხერხდება, რაც გვავარაუდებინებს, რომ ზოგი ფორმა ხმარებიდანაა გასული, ზოგიც შესაძლოა საერთოდ არ იყოს წარმოქმნილი, თუმცა საქმის ნამდვილი ვითარების გასარკვევად შესაძლებელია სავარაუდო ფუძეების ხელოვნურად აღდგენა, რაც მთლიანი ქრონოლოგიური სურათის წარმოდგენის საშუალებას იძლევა.

ნ ა ტ ა ლ ი ა ს ე ბ ი ს კ ვ ე რ ა ძ ე

მოსაუბრის სამეტყველო ეტიკეტის ასახვა ანდაზებში (ქართული და რუსული ანდაზების შეპირისპირებით მასალაზე)

ენის შესწავლის პრაგმატიკულმა ასპექტმა უკანასკნელ ხანს ენათმეცნიერულ კვლევათა მთელი სფერო შექმნა, რომელსაც პრაგმალინგვისტიკა ეწოდება

პრაგმატიკა კომუნიკაციის რეალურ პროცესს სწავლობს. შესაბამისად, მისი ძირითადი „ცდის ობიექტი“ მეტყველების პროცესი, მეტყველების აქტი, კონტექსტია. კონტექსტის შემადგენელ ნაწილად გამოყოფენ მეტყველ სუბიექტს, მეტყველ ობიექტს, მათი ცოდნისა

და შეხედულებების, მათი მრწამსის, ფონური ცოდნის, მენტალიტეტის „ნაკრებს“, სოციოკულტურულ სიტუაციას.

ზეპირსიტყვიერების თითქმის ყველა ქანრის ნაწარმოებში გვხვდება ენისა და მეტყველების შესახებ გამოთქმული მოსაზრებები, კომუნიკაციის მონაწილეთათვის განკუთვნილი რჩევები და ა. შ. ამ თვალსაზრისით საინტერესო ჩანს ქართული და რუსული ანდაზები. მათში კარგადაა ასახული მოსაუბრის სამეტყველო ეტიკეტი.

მოსაუბრისთვის განკუთვნილი წესები აზრობრივად მრავალფეროვანი ანდაზებით წარმოგვიდგება. საუბარი აგებულია იმის გათვალისწინებით, რომ სიტყვას სიფრთხილით უნდა მოვეყვიდეთ. მოლაპარაკე უნდა ეცადოს, რომ სიტყვის თქმისას არ აჩქარდეს, საუბრის დრო, თემა, მსმენელი და საუბრის წარმართვის ფორმა სწორად შეაჩიოს.

ქართულ და რუსულ პარემიათა შესწავლა პრაგმატიკული თვალსაზრისით ცალკეული ენობრივი კოლექტივის მსოფლხედვის, ეროვნული ხასიათის გამოვლენას შეუწყობს ხელს. ამ ცოდნის გათვალისწინება კი სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელთა შორის წარმატებული კომუნიკაციის წინაპირობაა.

თეა ტეტელოშვილი

სახელთა ორმაგი ტრანსლაციის მექანიზმი ქართულში

სახელთა ორმაგი ტრანსლაციის კვლევისათვის მივმართეთ თანამედროვე ქართული პროზის, პოეზიის, პრესისა და ელექტრონული კორპუსის მასალას. მაგალითების ანალიზმა გვიჩვენა, რომ სახელთა მრავალჯერადი ტრანსლაციისთვის გამოიყენება როგორც მორფოლოგიური, ისე სინტაქსური საშუალებები. ორივე შემთხვევაში არსებითია სიტყვის კლასის ცვლილება, რაც უშუალოდ უკავშირდება ენობრივი ერთეულის ძირითადი ფუნქციური როლისა და მახასიათებლ-

ბის შეცვლას. მორფოლოგიური გზით სიტყვის ტრანსლირება ენობრივ ერთეულზე ტრანსლატივების დართვით ხორციელდება, სინტაქსური ტრანსლაციის საფუძველი კი წინადადების სტრუქტურულ მოდელში ამ ერთეულის მიერ დაკავებული ადგილია. რამდენადაც მორფოლოგიური ტრანსლაცია მატრანსლირებელი ელემენტების მონაწილეობით ხორციელდება, იგი საბოლოო, სინტაქსური ტრანსლაცია — პოზიციური, მაგ., ეს **სიმწვანე** მამშვიდებს და მახარებს (სიმწვანე-ე (სუბსტ.) ← მწვანე (ადიექტ.); მორფოლოგიური ტრანსლაცია); **მალალმა** ხელი დამიქნია (მალალი (ადიექტ.) გასუბსტანტივდა სინტაქსური მექანიზმის მეშვეობით).

ორმაგი ტრანსლაციის შემთხვევაში საწყის და საბოლოო ეტაპებზე სიტყვის კლასი შეიძლება ერთი და იგივე იყოს ან ყველა ეტაპზე განსხვავებული კლასის სიტყვა მივიღოთ. პირველი ტიპის შემთხვევების ძირითადი მიზეზი სემანტიკურად განსხვავებული ერთეულების წარმოება უნდა იყოს: **შავი** (ადიექტ.) ა-შავ-ებ-ს (ზმნა) → გა-შავ-ებ-ული-ი (ადიექტ.); **აქაურობა** (სუბსტ.) ← აქაური (ადიექტ.) + ობა (ტრანსლატივი) ← აქა (ზმნიზედა) + ურ (ტრანსლატივი).

ერთი და იმავე სიტყვის რამდენიმეჯერადი ტრანსლაცია ხორციელდება როგორც მორფოლოგიური, ისე სინტაქსური მექანიზმის გავლენით. მნიშვნელოვანია, რომ მორფოლოგიურად სიტყვის ორმაგი ტრანსლირებისას ერთ სიტყვაფორმაში თავს იყრის ტრანსლაციის ტიპების (სუბსტანტივაცია, ადიექტივაცია...) შესაბამისი ტრანსლატივები. რამდენიმეჯერადი ტრანსლირების დროს სინტაქსური ტრანსლაცია არის ამა თუ იმ ერთეულის მორფოლოგიური ტრანსლაციის შემდგომი და საბოლოო ეტაპი: „რად მინდა მივსწვდე **მიუწვდომელს**, ვრცელს და **უსაზღვროს**?“ (გ. ტაბიძე); „სთქვი **ნადვლიანი** ძველი ქართლივით“... (გ. ლეონიძე).

თედო უთურგაიძე

ბ-/ (resp. ბ-/) პრეფიქსი ი-პრეფიქსიან პასივებში

1. ხანმეტ და ჰემეტ პერიოდებში პასივის ი-პრეფიქსს სამსავე პირში წინ უძლოდა /ხ-/ ხანმეტ პერიოდში (**ხიყო**), /ჰ-/ — ჰემეტ პერიოდში (**ჰიყო**).

სამეცნიერო ლიტერატურაში ეს პრეფიქსები მიჩნეულია ენიან პასივთა და სათავისო ქცევის I სერიის ფორმათა ანალოგიით გაჩენილად. ეს ფორმები მესამე პირის ობიექტებს ამ პრეფიქსებით გამოხატავდნენ (ა. შანიძე, ი. იმნაიშვილი). ანალოგიის საფუძველზე მითითება ამ ნაშრომებში არ არის.

2. ორპირიან აქტივთა პირდაპირი ობიექტის სიმრავლე {-ენ} სუფიქსით გამოხატებოდა სამსავე პირში. ეს ნიშანი პირდ. ობიექტს სუბიექტად მოქცევის შემდეგაც გადასდევდა ინიან პასივში.

აქტივი	კონვ. პასივი
I მ-ყვ- ნ -ა ჩუენ	ხ-უ-ი-ყვ-ენ-თ (ხყვენთ) ჩუენ
II გ-ყვ- ნ -ა თქუენ	ხ-ი-ყვ-ენ-თ თქუენ
III ყვ- ნ -ა იგინი	ხ-ი-ყვ-ნ-ეს იგინი

უთუოდ გასაზიარებელია თვალსაზრისი, რომ ისტორიულად პირდაპირ ობიექტს III პირშიც, როგორც I და II პირებში, საერთო ნიშანი უნდა ჰქონოდა ირიბ ობიექტთან. ეს ვითარება სავარაუდებელია ძველი ქართულის წინა პერიოდის II სერიის ფორმებშიც, რაზეც მიგვითითებენ I სერიის ფორმები და აქა-იქ შემორჩენილი II სერიის ფორმები, როგორცაა: აღ**ხ**იპყრა, მო**ხ**ილო, **ხ**იცნა, რომლებიც ზ. სარჯველაძემ გამოავლინა. ეს ყვნა ფორმის ადგილზე გავარაუდებინებს ხ-ყვ-ნ-ა ფორმას.

შემოთ განხილულ ფორმათა მიხედვით კარგად ჩანს, რომ, გარდა სიმრავლის ნიშნისა, პირდაპირი ობიექტი პასივად მოქცეულ ზმნაში, როგორც სუბიექტი, მესამე პირში **/ხ-/** პრეფიქსსაც გადმოიყოლებდა, ამავე დროს სუბიექტობის ნიშნსაც იჩენდა: **ხ-ყვ-ნ-ა** (მან **იგინი**): **ხ-ი-ყვ-ნ-ეს** (იგინი). **/ხ-/** პრეფიქსის აქტივიდან პასივში

გადმოსვლა ხდებოდა მხოლოდითი რიცხვის ფორმაშიც: **ხ-ყ-ო** (მან **იგი**): **ხ-ი-ყ-ო** (იგი).

რაც შეეხება II პირის **ხ**-ი-ყავ ფორმას პასივში, **ხ**- აქ სისტემის მოთხოვნით ზის: გ-ყ-ო ფორმის პასივად მოქცევისას O_2^d -ს პასივში ჩაენაცვლა S_2 , შესაბამისად გაფორმდა II პირის ფორმა პასივში **ხ**-პრეფიქსით: ხ-ი-ყავ (შენ), **ხ-ი-ყვ-ენ-თ** (თქვენ).

I პირში კი საქმე გვაქვს ანალოგიასთან პარადიგმის ფარგლებში: II და III პირების ანალოგიით /ხ-/ გაჩნდა I პირშიც: მ-ყ-ო (მან **მე**): ვ-ი-ყავ (მე), ანალოგიის საფუძველზე *ვ-ხ-იყავ > ხუ-ი-ყავ (ხუყავ).

ჰემეტ ფორმებში /ხ-/ს ადგილზე ზის /ჰ-/ს. ამ პრეფიქსებს პირთა მიხედვით განსხვავებული ფუნქციები ეძლევა: ისინი კანონიკურია II და III პირებში. პლენასტურია I პირში.

მედია ლლონტი

ქართული სიტყვის საღვთისმეტყველო ასპექტები (მოყვასი, მეგობარი და ამხანაგი)

ქართული **მოყვასი**, **მეგობარი** და **ამხანაგი**, თავიანთი გამაერთიანებელი, გადამკვეთი სემანტიკური კომპონენტებით „მოყვარე“, „ახლობელი“, მკვეთრად გამოხატული სინონიმებია. ამასთან, სამივე განეკუთვნებოდა ქრისტიანულ ინსტიტუციას, რომელიც ზნეობრიობასა და მაღალ სულიერებას გვიქადაგებდა და, აქედან გამომდინარე, არაერთ ვალდებულებას გვაკისრებდა როგორც ღვთის, ისე მოყვასის (კაცთა) წინაშე.

მოყვასი: შეიძლება ითქვას, ღღისათვის თვალდახელშუაა გამჭრალი მადლიანი ქართული სიტყვა **მოყვასი**, მისი ნამდვილი მნიშვნელობა და დანიშნულება. ძვ. ქართ. **მოყუასი** არის **ყუარ-** ფუძით ნაწარმოები ზმნური სახელი, შდრ.: ძვ. ქართ. **ყუარ-**ება, **მო-ყუარ-**ება, **მო-ყუარ-**ეობა, **სი-ყუარ-**ულ-ი „სიყვარული; მოწყალება“; **მო-**

ყუარ-ულ-ი „მოყვარული“ და **მო-ყუა-**ს-ი „მეგობარი; მახლობელი; სასულიერო პირი“ (ი.აბულაძე), ამხანაგი“ (სულხან-საბა); „მოყვარე“ (დ. ჩუბინაშვილი), ასევე „მომე, მახლობელი, ამხანაგი“ (ქეგელი), გურულში **მოყვასი** „ალერსიანი, მოსიყვარულე ადამიანია“. თუმცა **მოყვასი** მართლმორწმუნე ქრისტიანისთვის ასევე იყო უცხო-ტომელი და თვით მტერიც კი (იხ.: ლევიტელთა 19, 13-34; ლუკა 10, 30-35 და სხვა). მაგრამ ცოდვისმიერმა ცხოვრების წესმა დაავიწროვა **მოყვასის** ეს მაღლიანი მნიშვნელობა და მხოლოდ თვისტომის, ახლობლის, სანათესაოს აღმნიშვნელად დარჩა.

როგორც ჩანს, ქართულში ამავე მიზეზით იტვირთა „ნათესავე-ბისა და დანათესავების“ მნიშვნელობა **ყუარ-** ფუძით ნაწარმოებმა ზემოხსენებულმა სიტყვებმა — **მოყვარე, მოყვრები, მოყვრობა, და-მოყვრება**.

მეგობარი: დადგენილია, რომ ქართული სტუმარმასპინძლობისა და სუფრის (ტრაპეზის) მრავალსაუკუნოვანი ინსტიტუტი ქრისტიანული შინაარსისა და დანიშნულების შემცველია, რაზეც მეტყველებს, ერთი მხრივ, სტუმრის ღვთის წყალობად აღიარება („სტუმარი ღვთისაა!“), თანამეინახეობის მაღალზნებრივი ტრადიცია („დღეს სტუმარია ეგ ჩემი!.. მითაც მე ვერ ვუღალატებ...“), თამადის, ანუ პურისუფლის, მშვიდობისმყოფელი ფუნქციები, სადღეგრძელოების ლიტურგიული თანმიმდევრობა, მეორე მხრივ, განსაკუთრებულად ფაქიზი, ღრმადსულიერი დამოკიდებულება ჭამა-სმის მიმართ.

საერთო ტრაპეზის გაზიარება წმიდა წერილში განსაკუთრებული საღვთისმეტყველო შინაარსითა და დანიშნულებით იმოსება. ფსალმუნებში ხშირად ესმება ხაზი იმას, თუ ვისთან ჭამ, ვისთან იზიარებ ტრაპეზს ან ვისთან არ უნდა გაიზიარო ტრაპეზი: „**ხოლო შენ, კაცო, მოყუასო ჩემო, წინამძღურო ჩემო და მეცნიერო ჩემო, რომელმან ერთბამად შენდა და ჩემდა დაატკბენ ჭამადნი, რამეთუ ვიდოდეთ ჩუენ ერთობით სანლსა ღმრთისასა...**“ (ფსალმუნი 54, 14-15); „**რომელი აპპარტავან იყო თუალითა და უძღებ გულითა, მის თანა არა ვჭამი...**“ (ფსალმუნი 100, 5; შდრ. ფსალმუნი 40, 10).

სწორედ ამ მხრივაც საყურადღებო **გობ-** ფუძით ნაწარმოები ქართული სიტყვა **მე-გობ-არ-ი**, რომელიც გვკარნახობს, რომ საერთო საოჯახო ტრაპეზის გასაზიარებლად მოწვეული სტუმარი უწინარესად არის ის ღირსეული და პატივსაცემი ადამიანი, რომელიც მასპინძლებთან ერთად **საერთო გობიდან** გაიზიარებს ტრაპეზს (ბესარიონ ჯორბენაძე). იგულისხმება სტუმარმასპინძლობისა და, საზოგადოდ, კაცთა შორის კეთილი დამოკიდებულების გამომხატველი უძველესი ტრადიცია: ვისთან ერთადაც საერთო **გობიდან** პური ამომიწია, იგი ჩემი **მეგობარია!**

თამამად შეიძლება ითქვას, რომ **საერთო გობი**, თავისი საკრალური ფუნქციით, ეთანაბრება იმ **საერთო ზიარების ჭურჭელს**, რომლითაც და რომლიდანაც მაზიერებელი მრევლი ქრისტეს მაცხოვრებელ ხორცსა და სისხლს იღებს. ამ მხრივ უაღრესად საგულისხმოა ის, რომ ზიარების წმიდა საეკლესიო საიდუმლო უფალმა იესო ქრისტემ დაგვიწესა დიდ ხუთშაბათს — თავის რჩეულ მოწაფეებთან საპასეჟო **ტრაპეზის გაზიარების უამს**. წმიდა იოანეს სახარების მეექვსე თავში (6,51-55) უფალი მრავალგზის იმეორებს, რომ იგია ზეციური პური — ჭეშმარიტი საზრდო, ურომლისოდაც ვერა კაცი ვერ ცხონდება.

ყოველივე აქედან გამომდინარე, გასაგები ხდება, თუ რამ განაპირობა ესოდენ მყარი მეგობრობის ინსტიტუტის დამკვიდრება ქართულ ისტორიულ სინამდვილეში: როგორც დიდ ხუთშაბათს საპასეჟო ტრაპეზზე ქრისტეს რჩეული მოწაფეები ღირსნი გახდნენ, საერთო საზიარო-სატრაპეზო ჭურჭლით ერთობლივად მიეღოთ ქრისტესგან მისი მაცხოვრებელი **ვორცი** და პატიოსანი **სისხლი**, და მრავალმოწყალე უფალმა ისინი ამის გამო აღიარა თავის **მეგობრებად**, მსგავსადვე — საერთო ტრაპეზზე მასპინძლებთან ერთად „პური არსობისას“ **საერთო გობიდან** გამზიარებელსაც თავის **მეგობრად** აღიარებს **ოჯახი, ვითარცა მცირე ეკლესია** (წმიდა იოანე ოქროპირი).

მამასადამე, არსობრივად, იგივეობრივი იყო **მოყვასისა** და **მეგობრის**, **მოყვასობისა** და **მეგობრობის** ქრისტესმიერი შინაარსიც და დანიშნულებაც: **ქრისტეს რჯულის** ღირსეულად აღსრულებასთან ერთად, **ტრაპეზის** ღირსეულად **გაზიარებაც** შეიქნა იმის წინაპირო-

ბა და მიზეზი, რომ ჩვენმა წინაპარმა ესოდენი პატივით შემოსა **მეგობარი** და **მეგობრობა**, რაც უწინარესად სულიერ მეგობარსა და მეგობრობას გულისხმობს, შდრ.: „**მეგობარი** — ფსალმუნი 37, 12 — ესე არს მიწყვიც გაუყარი სათანადო მოყვასი, მარადის მას თანა მყოფი“ (სულხან-საბა); „**მეგობარი** — მოყვასი, მოყვარე შესაკუთრებული ვისიმე უზაკველითა და ვასხებულთა [ურთიერთის მიმართ ვალდებული — მ. ლ.] სიყვარულითა ან თანაზიარი ჭირისა და ლხინისა; **მეგობრება** — მოყვრობა“ (დ. ჩუბინაშვილი).

ამხანაგი: სულხან-საბა ორბელიანი „სიბრძნე სიცრუისაში“ საგანგებოდ ასხამს ხოტბას **ამხანაგს**, მის მოვალეობებს, რაც ეთანაბრება **მოყვასობისა** და **მეგობრობის** რუსთველურ იდეალს.

სამწუხაროდ, წინა საუკუნეში კომუნისტურმა თუ სოციალისტურმა ყოფამ დააზიანა სიტყვა **ამხანაგის** ძველი, პირვანდელი მნიშვნელობა და ერთი ფუნქცია დაუტოვა: მას მხოლოდ ნომენკლატურის ან მუშა-მოსამსახურეთა და პარტიულ მუშაკთა მიმართვისას იყენებდნენ (ამხანაგო მოსამართლე! ამხანაგო ბრიგადირო!..). უკანასკნელ ხანს ამ სიტყვამ უფრო „ბიზნეს-პარტნიორობის“ — **ამხანაგობების** და სხვა მსგავსი სოციალური მნიშვნელობა შეიძინა: **ამხანაგი** არის ადამიანი, რომელთანაც გარკვეული საქმე მაკავშირებს, შდრ.: **ამხანაგი** სპარს. — „მომე, მოყვარე; მონაწილე“ (დ. ჩუბინაშვილი).

დღეისათვის კი **მოყვასი** და **მოყვასობა**, **მეგობარი** და **მეგობრობა**, **ამხანაგი** და **ამხანაგობა**, მათი საინსტიტუციო სემანტიკის გათვალისწინებით, შემდეგნაირადაა გადანაწილებული: **ამხანაგს** შემოედარცვა თითქმის საუკუნოვანი „სამარცხინო“ სამოსი, ხოლო **ამხანაგობამ** შეინარჩუნა სოციალური ინსტიტუტის საფეხური; **მეგობრობა** სულიერ-ზნეობრივი ინსტიტუტის კუთვნილებად დარჩა; **მოყვასობის** ინსტიტუტი კი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის აღორძინებასთან ერთად აღდგა, ვითარცა უზენაესი, ღვთაებრივ რანგში ამაღლებული ქრისტიანული ინსტიტუცია.

ნატო შავრეშიანი, ლელა გიგლემიანი

გომნე || გომდნ ნაწილაკისათვის სვანურში

გომნე || გომნი (ბზ., ლშხ., ჩოლ.) **გონდი** (ლნტ.) || **გომდნ || გომდნა** (ჩოლ.) „აბა, თუ; ნახე, თუ...“ ექსპრესიული (ნიშნისმოგებიით) ნაწილაკია, რომელიც ამავე დროს გარკვეულწილად შეიცავს ბრძანებით სემანტიკას და გამოხატავს მთქმელის ვარაუდს — შესრულდება თუ არა ზმნით გამოხატული მოქმედება:

მიჩა დტრედს **გომნე** ანტგხას ლამშუარ (ლშხ.) „თავის დროზე აბა, თუ დააბრუნოს სამუშაო იარაღები“.

ეჭკალი სურნელ ლი, **გონდი** ლეთნშუ მად ათაგენან შუკტს (ლნტ.) „ისეთი სულელია, აბა, თუ ღამით არ გასდგომოდა გზას“.

გომნე ენმეჯრას ლიგნალ ი ლიჯედ (ჩოლ.) „აბა, თუ გაიგოს ადგომა და წამოსვლა“.

ხშირად კონტექსტით ირკვევა, რომ მთქმელი დარწმუნებულია ზმნით გამოხატული მოქმედების შეუსრულებლობაში:

ეჩქა დნდშექელიანს ხოქტა „მი როქ ოდრი ეჯიართე, **გომნი** ლოხმეში“ (ბზ. პროზ.31) „მამინ დადშექელიანს უთქვამს „მე წავალო მათთან, აბა თუ ვიმუშავებო“.

დემ ლოქ დერ ხოჯრაჟის ეჯის, **გომნე** ლოქ ლეჯგრალდ დო ოხჯეს (ლშხ.) „ხომ არ უჯერებთო მას, აბა, თუ სახვეწარი არ გაუხდეთო“.

აღნიშნული ნაწილაკი ბალსქვემოურში არ დასტურდება, ხოლო ჩოლურულში რამდენიმე ფონეტიკური ნაირსახეობით (**გომნე || გომდნ || გომდნა**) გვხვდება, დანარჩენ დიალექტებში კი — თითო ვარიანტით (**გომნე** ბზ., ლშხ. **გონდი** ლნტ.):.

ათხე აჩანდ მერმე მუხტბე: „დალო როქ, ათხე **გომნე** ამჟი ჰპრიდ ანტხენი“ (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ. I. 111) „ახლა წავიდა მეორე ძმა „აბაო, ახლა ასე ცარიელი თუ დაბრუნდება“.

გონდი ანკედის ი ადაკუარას (ლნტ.) „აბა, თუ აილოს და გადააგდოს“.

გომდნ ასლაკან ი ოხენდნ გუმგუტე ნაქაჩ მეგამ (ჩოლ.) „აბა, თუ მიეგნო და მოეტანა ჩვენი გაჩეხილი მორები“.

ეჯჟი ხექალალდა, **გომდნა** ლიყერ მრმ ხაკუდნ (ჩოლ.) „ისე ეპარებოდა, ნახე, თუ დარტყმა არ სდომოდა“.

მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება, აგრეთვე, საანალიზო ნაწილაკის როგორც სტრუქტურულ-სემანტიკური, ისე ეტიმოლოგიური ანალიზი.

ვაჟა შენგელია

ჩერქეზულ ანთროპონიმთა ქართულად გადმოცემის საკითხები. პირთა სახელები. I

ჩერქეზულ (ადიდურ და ყაბარდოულ) სალიტერატურო ენათა ფონოლოგიური სისტემა (როგორც ვოკალიზმი, ისე კონსონანტიზმი) ქართულისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებულია, რაც, ბუნებრივია, გათვალისწინებული უნდა იყოს ანთროპონიმთა გადმოცემის დროს. მოხსენება ამჟერად მხოლოდ პირთა სახელებს ეძღვნება, კერძოდ, ხმოვანთა ტრანსლიტერაციას ამ სახელებში.

ჩერქეზულ ენებში, ქართულის, ხუთხმოვნიანი ვოკალიზმისაგან განსხვავებით, სამი მარტივი ხმოვანი ფონემაა, რომელთათვის რელევანტურია მხოლოდ ღიაობის ნიშანი: **ა** (a) ყველაზე ღია ხმოვანია, **გ** (ы) — ყველაზე ვიწრო, **ჟ** (э) — საშუალო ღიაობისა. ორი უკანასკნელის ფონეტიკური რეალიზაცია, პირველისაგან განსხვავებით, მათ წინა თანხმოვანზე დამოკიდებული (ნ. ტრუბეცკოი).

თქმულის შესაბამისად, **ა** (ა) სიტყვის თავიდანშიც და ინტერკონსონანტურ პოზიციაშიც (სახელის ბოლოკიდურში ის არ გვხვდება) უნდა გადმოიცეს **ა**-თი (მაგ., **Анху** — ახეხვი, **Дадэ** — დადე).

ჩერქეზული გამოთქმის შესაბამისად, **ჟ** (э) ლაბიალიზებული თანხმოვნის მომდევნო პოზიციაში უნდა გადმოიცეს როგორც **ო** (მაგ., **Хуэт** — ხოთ-ი), არალაბიალიზებული თანხმოვნის მომდევნო პოზიციაში — როგორც **ე** (მაგ., **Сэт** — სეთ-ი), არალაბიალიზებული ლარინგალური თანხმოვნის შემდეგ — როგორც **ა** (მაგ., **Хьэкуцэ** —

ჰაქტუცა), ასევე — სახელის აბსოლუტურ ბოლოში არალაბიალიზებული თანხმონის მომდევნოდ (მაგ., Борз — ბორა).

ხმოვანი **ხ** (გ) ლაბიალიზებული თანხმონების შემდეგ უნდა გადმოიცეს როგორც **უ** (მაგ., Гуызэ — გუზა), სხვა პოზიციებში — როგორც **ი** (მაგ., Борз — ბორა).

ანალიზისას მასალად გამოვიყენეთ ჯ. კოკოვის წიგნში „ჩერქეზული (ადიღური) ანთროპონიმის საკითხები“ წარმოდგენილი პირთა სახელების ლექსიკონი. განხილული პირთა სახელებისაგან ნაწილი წარმოშობით ჩერქეზულია, ნაწილი — სხვა ენათაგან ნასესხები. ეს უკანასკნელი, როგორც წესი, ჩერქეზულ ენებში ადაპტირებულია ამ ენათა ფონოტაქტიკის შესაბამისად, ამიტომ ამ ეტაპზე საკუთარი-სა და ნასესხების გარჩევა არ არის აუცილებელი.

მ ა ნ ა ნ ა ჩ ა ჩ ა ნ ი ძ ე

დეფინაციათა ტავტოლოგიურობის შეფასებისათვის განმარტებით ლექსიკონში

ლექსიკურ მნიშვნელობათა განმარტებისას ტავტოლოგიის საკითხი ყოველთვის აქტუალურია. სწორედ ამ აქტუალურობის დინამიკასა და რავგარობას აფუძნება ლექსიკოგრაფიის ისტორიის გარკვეული ეტაპები.

ტავტოლოგია, როგორც მოვლენა, მრავალმხრივი ყურადღების საგანია ლოგიკოსებისთვის, ლინგვისტებისათვის და ა. შ. ლექსიკოგრაფებისთვის საკითხი ეხება, უპირველესად, ლექსიკონის მარცხენა და მარჯვენა ნაწილებს. იმგვარი დამოკიდებულება, რომ ტავტოლოგიურ განმარტებებს არ აქვს შემეცნებითი ღირებულება და არ წარმოადგენს სიტყვათა ლექსიკური მნიშვნელობის ანალიზის საშუალებას, ფაქტობრივად, ტავტოლოგიის განიხილავს, როგორც ხარვეზს. ბუნებრივია, რომ განმარტებითი ლექსიკონების შემდგენელთა

ძალისხმევა ყოველთვის მიმართული იყო ამ ხარვეზის აღმოფხვრისაკენ, სემანტიკურ დეფინიციათა შემეცნებითი დონის ამალღებისაკენ. თუმცა ამ ძალისხმევის შედეგები სხვადასხვაგვარად ფასდება. უდავოა მხოლოდ ის, რომ ცოდნის თანამედროვე ეტაპზე ტავტოლოგიის საკითხი ყოველმხრივ და ღრმა განხილვას საჭიროებს.

ყველაზე ფართო სფერო სალიტერატურო ენის განმარტებით ლექსიკონებში ტავტოლოგიურ დეფინიციათა გავრცელებისა — ეს არის ანალოგიური შინაარსის მქონე სიტყვათა სფერო: აბსტრაქტული არსებითი სახელები, ზმნები, ზედსართავი სახელები. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის განმარტებითი ლექსიკონების ანალიზი მოწმობს, რომ სალექსიკონო განსაზღვრებათა დიდი უმრავლესობა კონსტრუქციულია და არ არის ტავტოლოგიური.

მერაბ ჩუხუა

ბგერათშეერთების წესები სვანურში (ხმოვნები)

სვანურში, როგორც სხვა ქართველურ ენებში, ძირეული მასალა გაუტრბის ხმოვანი + ხმოვანი (V+V) თანმიმდევრობებს. თუმცა, მიუხედავად ამისა, ამ ენის ძირის სტრუქტურაში მაინც გამოჩნდება გარკვეული ხმოვანთკომპლექსები, რომლებიც უმთავრესად წარმოდგენილი არიან ე. წ. პერიფერიულ ლექსიკაში. ესენია:

პი: ბპიგემ „არაფერი, ვერაფერი“

აუ: აუდაუშ „ნაჩქარევად“

ია || იპ: ხიად — „სიხარული“; ყია „ყელი“; ასაბიპ || ასაბი (← ქართ. ასაბია) „ჭირისუფალი“, ბზ. ხიპრ, ბქ. ხიპრ, „კინაღამ“;

უა: შუა „დარდი, საფიქალი“; ლნტ. წუარ „წველი“, მაგრამ სხვა დიალექტებში — წუი || წიუ.

ეს არის და ეს. სხვა თანმიმდევრობები თანამედროვე სვანურ დიალექტებში არ ჩანს. ბუნებრივია, ისმის კითხვა: დღევანდელი ვითარება ასახავს უძველეს სურათს თუ ის სვანურის დამოუკიდებელი განვითარების პერიოდში საკუთრივ სვანურ მონაცემად განვითარდა? — ქართველური მასალა, როგორც ქართული (ძველი ქართული სამწერლო ენიდან მოყოლებული დღემდე), ისე მეგრულ-ლაზური, მხარს უჭერს დებულებას, რომელიც ამტკიცებს, რომ საერთოქართველურ ფუძენაში ხმოვანთკომპლექსები ერთი ძირის ფარგლებში დამახასიათებელი არ უნდა ყოფილიყო (თ. უთურგაიძე).

საერთოქართველური წარმომავლობის ძირ-ფუძეებში დაჩნდება ორადორი მაგალითი, სადაც **ია** თანმიმდევრობა ვლინდება: 1. ს.-ქართვ. ***ხიალ-** „სიხარული, მხიარულება“, შდრ. ქართ. მ-**ხიარ-**ული ← *მ- **ხიალ-**ურ-ი, ზან. (მეგრ.) **ხიოლ-**ი „სიხარული“, სვან. **ხიად** — „სიხარული“; 2. ს.-ქართვ. ***ზიარ-** „ზიარი, ზიარება“, **ზიორ-**უ-ა „გაბზარვა“, სვან.—.

გამოდის, რომ ორი მაგალითიდან სამსავე ქართველურ დიალექტში მხოლოდ ერთი ***ხიალ-** სახეობა დასტურდება; და ეს უკანასკნელიც გარკვეული ფონეტიკური ხასიათის ცვლილებებს ექვემდებარება. ასე მაგალითად, ზანური ენის ლაზურ დიალექტში ს.-ქართვ. **ია** კომპლექსის კანონზომიერი **იო** თანმიმდევრობის ნაცვლად დასტურდება ოდენ **ე** ხმოვანი, შდრ. **ო-ხელ-უ** „გახარება, სიხარული“ (მეგრ. **ხიოლ-**ი „id“).

ამავე ძირის სვანური **ხიად** შესატყვისი ფორმა- და სიტყვაწარმოებისას ყველა დიალექტში მარტივდება შემდეგი მიმართულებით:

- ა) **ია** → **ა**: ხ-ა-**ხიად**, მაგრამ ლშხ. ხ-ა-**ხად** „უხარია“
- ბ) **ია** → **ე**: ბზ. ლ-ა-**ხიად-ალ**, მაგრამ ბქ. ლ -**ხედ-ალ** „ლხინი“.
- გ) **ია** → **ი**: ლნტ. ა-**ხიად-ე**, მაგრამ ბზ. ა-**ხიედ-ე**, ბქ. ა-**ხიედ-ე** „ახარებს“.

ყოველივე ზემოთქმული იმის დასტურია, რომ ძირებში **V+V** ხმოვანთკომპლექსების არქონა დამოწმებული წესია ქართველური ენებისათვის, ამიტომაც ძირეულ მასალაში გამოვლენილი კანონზომიერება აისახება ფონეტიკურ პროცესებში, რასაც ბუნებრივად მიჰყვება მორფმათა საზღვარი.

ცხადია, მორფემათა საზღვარი მეტი მრავალფეროვნებით ხასიათდება. აქ თავს იჩენს შემდეგი კომბინაციები: **აი||წი, აგ, ეი, ია||იწ, იე, იი, იო**, მაგრამ საყურადღებო ამ შემთხვევაში სწორედ ის არის, რომ დაუნაწევრებელ ძირთა სტრუქტურისათვის გამოყვანილი წესი, ანუ ხმოვანთკომბინაციათა არქონა / აკრძალვა ზემოქმედებს მორფემათა საზღვარზეც და ეს წესი აისახება ფონეტიკურ გარდაქმნებში. ფონეტიკური პროცესები მორფემათა საზღვარზე წარიმართა, ძირითადად დიფთონიზაციის გზით, მაგრამ დასტურდება ხმოვნებს შორის თანხმოვანთა ჩართვის არაერთი შემთხვევაც. მოვიყვანოთ მაგალითები, რომლებიც თვალნათლივ აჩვენებენ **V+V** არაკანონიკურ თანმიმდევრობათა სუბერაციის აუცილებლობას სვანურში:

ა) **აი** → **აი||წი**:

სვან. **წაწი** → ლნტ. **წაი**, მაგრამ ლშხ. **წაჲ** „მჭლე“; სვან. **მაიდ** „შიმშილი“, მაგრამ ბზ. **მაიდ-წარ**, ბქ., ლნტ. **მაიდ-წარ**, ლშხ. **მაიდ-წარ** „მშიერი“.

ბ) **აი** → **აჲ**

სვან. (ზს.) **ბაი**, მაგრამ ბქ. **ბაჲ** „მდიდარი“ (შდრ. თურქ. **ბეი** „ბეგი“)

გ) **აგ** → **აღვ**:

სვან. (ბქ.) **იჟაგნდიორ**, მაგრამ ბზ. **იჟაღვნდიორ** || **იჟანღვრ** „ყოველთვის“, შდრ. **იჟა**-ს „მუღამ“.

დ) **ეი** → **ეჲ** || **ჲ** || **ე**:

სვან. **კეიორ**, მაგრამ ბზ. **კეჲორ** || **კჲორ**, ლშხ. **კერ** „კერატი“.

ე) **ეი** → **ეი||წ**:

სვან. (ლნტ.) **კეისწარ**, მაგრამ ბზ. **კეწწარ**, უშგ. **კწწარ**, ბქ. **კეწწარ**, ლშხ. **კეწარ**, შდრ. ქართ. კეისარი.

ვ) **ია** → **ია**:

სვან. (ბზ.) **ს-ა-საჲმ**, მაგრამ ლშხ. **ს-ა-საჲმ** „სიამოვნება“, შდრ. ქართ. სიამოვნება (სი+ამ-ე?).

სვან. (ბზ.) **კჷრია**, მაგრამ ლშხ. **კჷირმა** „ერთერთი საღვთო სიმღერის სახელწოდება“, შდრ. ქართ. კვირია.

ზ) ია → ძ || ძე || ჰ:

სვან. (ლშხ.) **ლა-დი-არ**, მაგრამ ბზ. **ლა-დ-არ**, ლნტ. **ლა-დ-ერ** „დედუღეთი“, შდრ. სვან. **დი** „დედა“. სვან. (ლშხ.) **ლაჟიარ**, მაგრამ ბზ. **ლაჟმარ** „ბილწი“; სვან. (ლშხ.) **ი-წყელ-იან-ი**, მაგრამ ბზ. **ი-წყელ-მან-ი**, ბქ. **ი-წყელ-ან-ი** „სუფთავდება“; სვან. **ბაჟ-იან**, მაგრამ ბზ. **ბაჟ-მან** „გონიერი“.

თ) ია → ი || ი:

სვან. **დიარ**, ლშხ. **დიარ** „პური“, მაგრამ ბზ. **დირაბ**, ბქ. **დირ-ობ** „პურის ჭამა, თუმცა ლნტ. **დიარ-ობ** „id“.

სვან. (ბქ.) **დიაკენ**, ლნტ. **დიაკუნენ**, მაგრამ ბზ. **დოკუნენ**, ლშხ. **დოკონ** „დიაკვანი“.

სვან. **ჩიარ**-, მაგრამ ბზ. **ლა-ხნარ-ულ**, ბქ. **ლა-ხირ-ულ**, ლშხ. **ლა-ხნარ-ულ** „სამხიარულო“, შდრ. ქართ. მხიარულება; სვან. (ლნტ.) **სიამეჟ**, მაგრამ ბზ., ლშხ. **სიმეჟ**, ბქ. **სიმეჟ** „ქალიშვილი“.

ი) ია → იცა:

სვან. **წრიაბ**, მაგრამ ბზ. **წიბარ**, ბქ. **წიბარ**, ლშხ. **წიბარ** „წრიაბი“, შდრ. ქართ. „წრიაბ-ი“.

კ) ია → უ:

სვან. **ჭუნირ** ← ქართ. ჭიანჭური-ი.

ლ) იე → იე || იე || ე:

სვან. (ლნტ.) **ი-ძგარ-ი-ელ**, მაგრამ ბზ. **ი-ძგარ-მ-ელ**, ბქ. **ი-ძგარ-ელ** „იცემება, ჩხუბობს“.

სვან. (ლნტ.) **ა-შხებ-ი-ელ-ი**, მაგრამ ბზ. **ა-შხებ-მ-ელ-ი**, ლშხ. **ა-შხებ-მ-ელ** „კერავს“.

სვან. **უდიერ**-, მაგრამ ბზ. **ი-უდმერ-ან**, ლშხ. **ი-უდმერ-ან**, ლნტ. **ი-უდმერ-ან** „უდიერად იქცევა“, შდრ. ქართ. უდიერი-ი, უდიერი-ობ-ს.

მ) იი → იმ || ი:

სვან. (ლნტ.) **ი-ში-ი**, მაგრამ ბზ. **ი-ში-ი**, ბქ. **ი-ში-ი**, ლშხ. **ი-ში-ი** „სივდება“; სვან. (ლნტ.) **ა-წი-ი**, მაგრამ ლშხ. **ა-წი||ა-წი-ი** „პატიჟებს, იწვევს“.

ნ) **იო** → **იCე**:

სვან. (ლშხ.) **წიორ** „წავი“, მაგრამ ბზ. **წიჟერ**, ბქ., ლნტ. **წიჟერ** „წავი“...

როენა ჭკადუა, ნანა ლოლაძე

მოძრაობის ზმნები სვანურში

სივრცული მიმართებების ენობრივი რეალიზაციის საშუალებებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მოძრაობის აღმნიშვნელ ზმნებს. მოძრაობა-გადაადგილების ენობრივი ასახვა დიდ ინტერესს იწვევს როგორც ლინგვისტური, ისე კოგნიტიური კვლევის თვალსაზრისით. მოძრაობა, როგორც ჩანს, უნივერსალური კონცეპტია, რომელიც ყველა ენაშია წარმოდგენილი. თუმცა ენები განსხვავდებიან მოძრაობის კოდირების თვალსაზრისით. ეს განსხვავება იმდენად არსებითია, რომ ენათა კლასიფიკაციის საფუძვლადაც კი არის მიჩნეული (ლ. ტალმი).

მიუხედავად მნიშვნელოვანი სხვაობისა, ყოველ ენაში, როგორც წესი, გამოიყოფა მოძრაობის მიმართულების აღმნიშვნელი ზმნები და მოძრაობის მანერის აღმნიშვნელი ზმნები; გარდა ამისა, ზმნები, რომლებიც მოძრაობასთან დაკავშირებული განსხვავებული სემანტიკური ინფორმაციის შემცველია.

სვანურში მოძრაობის ზმნები საკმაოდ ფართოდ არის წარმოდგენილი და მათი შესწავლა მრავალმხრივ არის საინტერესო. ჩვენს ყურადღება შევაჩერეთ მოძრაობის მანერის გამომხატველ ზმნებზე.

მთავარი პრობლემა, რომელიც ამ ტიპის ზმნათა ანალიზისას ჩნდება, არის ის, რომ მანერის კატეგორია ძალიან ზოგადია. იგი მო-

იცავს მრავალფეროვან ინფორმაციას: მოძრაობის ტემპს, ემოციურ მდგომარეობას (გაბრაზება, დაღლილობა), ძირითად მამოძრავებელ უნარებს (სიარული, სირბილი, ხტომა და ა.შ.), ტრანსპორტირების, კონტაქტის სახეობას და ა.შ. გარდა ამისა, მანერულობის კატეგორიები ან პარამეტრები ურთიერთგამომრიცხავი არ არის. ერთ ზმნაში შესაძლოა ჩადებული იყოს მანერულობის დანაწევრებული სახეობის სხვადასხვა დეტალი. მიუხედავად ზოგადი ტენდენციების არსებობისა, ყოველი ენობრივი სისტემა მოძრაობის მანერის გამოხატვის, შეიძლება ითქვას, უნიკალურ სურათს იძლევა.

სვანური მოძრაობის მანერის გამოხატვისას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სუბიექტის გარეგნობას, მაგ., მსუქანი, დიდი ტანის ადამიანის სიარულის მანერას აღნიშნავს ზმნები: *წზლიჩნწლ*, *წზლანყუნწლ*, *წზდანდუნწლ* და ა. შ; მაღალი ტანის ადამიანისას: *წზრიგანწლ*, *წწყინტორელ*, *წზლანწუნწლ* და ა. შ. პატარა და გამხდარი ადამიანისას: *წნყანყუნწლ*, *წნპიტყორელ*, *წნცხიკანწლ* და ა.შ. დიდკბილება ადამიანის გადაადგილებას აღნიშნავს: *წნგლიბანწლ*, *წნჯლგილანწლ*, *წნჭკიბანწლ*.

ყურადღებას იქცევს ზმნები, რომლებიც მოძრაობის სუბიექტის ემოციურ მდგომარეობას გამოხატავს: *წნსხვირანწლ*, *წნხლიფანწლ* (განრისხებული მოდის); *წნმიქჟანწლ* (მომღიმარი მოდის); *წნშჟიტანწლ* (გამწყვრალი მოდის).

მრავალფეროვანია ზმნები, რომლებიც მთქმელის დამოკიდებულებას, მის შეფასებას გადმოსცემს; მოძრაობის ტემპს, მიზანს, გადაადგილების თანმდევ ფაქტორებს ასახავს და ა. შ.

ნინელი ჭოხონელიძე

ზმნურ ფორმათა რელატიურ-სინონიმური პარალელიზმი რ. ინანიშვილის ენის მიხედვით

რ. ინანიშვილის ენისათვის დამახასიათებელია შერწყმული წინადადება, განსაკუთრებით კი „შემასმენლობით შერწყმული წინადადების ხშირი ხმარება“ (ე. კოშორიძე). აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის წინადადებებში ხშირად დასტურდება სტილისტიკურ-ექსპრესიული მიზნით გამოყენებული და ამასთან ერთად „აზრის გამაძლიერებელი საშუალება“ — ზმნურ ფორმათა რელატიურ-სინონიმური პარალელიზმი.

მწერალი თავის პროზაში, რა თქმა უნდა, ხშირად მიმართავს სალიტერატურო ქართულიდან ცნობილ სინონიმურ წყვილებს.

ცულს... **გაღესავდნენ, გააფხავებდნენ** („ჩიტების გამომზამთრებელი“, 1978); სახლებიც კი **თანთახებდნენ** და **დგანდგარებდნენ** (იქვე); უფრო მეტად **გეწურება** და **გეხურება** გული (იქვე); **ელაბუცება, ეძალება** (იქვე); — **დაუწითლდა, დაუჭარხლდა** ხელები (იქვე).

მწერლის ენაში დადასტურებული სინონიმური წყვილის მეორე ცალი ხშირად ხალხური ცოცხალი მეტყველებიდანაა აღებული. მაგ.: **აეშუშება, დაეფერფლება, ჩაილუშება, გაიბებღვება, მოაძაგუნებს...**

წითლად **აეტკრიცა, აეშუშნა** ს-ს სახე („პატარა ბიჭი გოლგოთაზე“, 1989).

დავენაცვლე და **დაგეფერფლე** („ალერსი შიშიანობის დროს“, 1986); კაცი... **მოდის, მოაძაგუნებს** მუხლებს (იქვე). სახლი **ჩაყუჩდება, ჩაილუშება** („მთვარის ასული“, 1987); მოვიდოდა თოვლი და კიდევ ერთხელ **გაიბებღვებოდა** და **გადიდკაცდებოდა** იოსება („კეთილი მიწა“, 1984).

მწერლის ენაში დადასტურებული სინონიმური წყვილის ზოგი ცალი ფონეტიკურად სახეცვლილია; მაგ. **აძრება < აზრება.**

აძრება, ებუხება ფეხები („პატარა ბიჭი გოლგოთაზე“, 1989).

მწერალი სინონიმური წყვილის შესაქმნელად მიმართავს ნაცნობი სიტყვის გადატანითობასაც; მაგ. **ჩაღნენ, ჩაილივნენ** შრომაში („ალერსი შიშიანობის დროს“, 1986).

სინონიმური წყვილის შესაქმნელად მწერალი ასევე იყენებს იდიომებს: ახლა მისთვის დიდი შვება იქნებოდა, თუ დედა **სცემდა, ხორცებს დააჩქლეთავდა** („მორი თეთრი მწვერვალი“, 1976). ბუ მხრებს **აწვალებს, იშმუშნება** („ცისფერი გორგალი“, 1968).

მწერალი ერთნაირი ზმნისწინების დართვით სამწერლო ენიდან ნაცნობი ხმაურისა და მოძრაობის აღმნიშვნელ ზმნურ ფორმებს სხვა დატვირთვის სძენს და ახალ სინონიმურ წყვილებს ქმნის.

მოდგაფუნებდა, მოჩქაფჩაფებდა წყალი („პატარა ბიჭი გოლგოთაზე“, 1989). ქალი მოდის, **მოდის, მოლაყუნებს** („მორი თეთრი მწვერვალი“, 1976). **მიდის, მიხუსხუსებს** („მეგობრისადმი მინაწერი წერილებიდან“, 1958)

საინტერესოა, რომ მოძრაობისა და ხმაურის აღმნიშვნელ სიტყვებს მწერალი ხშირად ერთად ხმარობს, ერთნაირი მნიშვნელობის ზმნისწინების დახმარებით ერთმანეთს უხამებს და ახერხებს, მათგან შექმნას ახალი სინონიმურ წყვილები.

გახარებულები იყვნენ, თითქოს ქორბუდა ირემი მოუკლავთო, **მოდოღნენ** და **მოყაყანებდნენ** („მორი თეთრი მწვერვალი“, 1976). **წავიდნენ, წანორხოცდენენ** („შველი ზამთრში“, 1986). **მივდივარ** და **მივჩაქაფუნებ** თეძოსთავამდე შემოწვდენილ იორს („ბარისკენ მოფრინავს ჯაფარა“, 1974). გოგობი **წავიდნენ, წაფლურტულდნენ** („პატარა ბიჭი გოლგოთაზე“, 1989). **მოვიდა, მოფაჩუნდა** ფეფეკო („მთვარის ასული“, 1987).

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ რ. ინანიშვილის მიერ შექმნილი თუ ხალხურ მეტყველებაში მოძიებული ზოგი სინონიმური ცალი ქეგლშიცაა ასახული. მაგ.: **გადაბენტერავდება, დაეხუნძლება...**

გასულელდა და **გადაბენტერავდა** მთლიანად („პატარა ბიჭი გოლგოთაზე“, 1989).

დასხდებიან, დაეხუნძლებიან ვერხვებს („მთვარის ასული“, 1987).

ცირა ჯანჯღავა

ლაზური შური „სული“ ფრაზეოლოგიზმებში

ლაზურ **შურ**-ს ფონეტიკური და სემანტიკური შესატყვისები მოეპოვება ქართველურ ენა-კილოებში, ამიტომ ის საერთოქართველური ლექსიკური ფონდის კუთვნილებად მიიჩნევა.

შურ- ფუძე საკმაოდ ხშირად გვხვდება ნაწარმოებ სიტყვებში (დერივატებსა და კომპოზიტებში): **შურა** „სუნი“; **შურარი** || **შურონი** „სუნიანი“... **შურიშინე** „გენაცვალე“; **შურიგედგიმერი** „სულდგმული“; **შურიდოლოლაფერი** „აქოშინებული“...

შური, როგორც საყრდენი (საკვანძო) სიტყვა, წარმოდგენილია იდიომების შემადგენლობაში, რომლებიც სინტაქსურად წარმოადგენენ როგორც ზმნურ, ისე სახელურ შესიტყვებებს, ამასთან, **შური**, როგორც წესი, პირველ კომპონენტად არის წარმოდგენილი.

შური გედგინ „სული უდგას, ცოცხალია“ (შდრ. მეგრ. **შურ უდგუ**)

შური ქიმეჩუ „გარდაიცვალა, სული განუტევა“, ზედმიწ. „სული მისცა“

შური ქიუხთეფს „სული ამოხდება“...

შური მედვალერი „სულდახუთული“ (**შური** + მიმღეობა)

შური მედუ „სულის ხუთვა“ (**შური** + მასდარი)

შურ- გამოყენებულია ზმნურ ფუძედაც: ვიშურამ „გვცნოსავ“...

საერთოქართველურ მოვლენად წარმოგვიდგება კავშირიანი შეერთება, რომელიც შინაარსობრივად იდიომია:

ლაზ. **შური დო გური**

მეგრ. **შურ დო გური**

ქართ. **სული და გული**

პროექტი „ნახურ და დაღესტნურ ენათა შედარებითი გრამატიკა“

პროექტი (№ 31/45) ხორციელდება შოთა რუსთაველის
ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით.

ლ ე ვ ა ნ ა ზ მ ა ი ფ ა რ ა შ ვ ი ლ ი

ზოგიერთი საერთო აფიქსური მორფემა დაღესტნურ ენებში

ენათა ისტორიულ-შედარებითი შესწავლა ემყარება სამ ძირითად დარგს; ესენია: შედარებითი ლექსიკა, შედარებითი ფონეტიკა, შედარებითი მორფემიკა. დაღესტნურ ენებში ერთ-ერთ ყველაზე ნაკლებად დამუშავებულ სფეროს ამჟამად განეკუთვნება შედარებითი მორფემიკა, არადა ენათა ისტორიულ-გენეზისური ურთიერთობის პრობლემათა ღრმად დამუშავებისათვის აუცილებელია, საერთო ძირეული ლექსიკის გამოკვლევასა და არსებულ ფონეტიკურ კანონზომიერებათა დადგენასთან ერთად, ჯეროვანი ყურადღება ექცეოდეს საერთო წარმომავლობის აფიქსურ მორფემათა გამოვლენასაც. მოხსენებაში განიხილება ზოგიერთი ამდაგვარი მორფემა.

1. ხუნძურ ენაში საკმაოდ პროდუქტიული აფიქსია **-ყ**, რომელიც „გამოხატავს რისამე სიმცირეს, არასაკმაო რაოდენობას, ნაკლებობას (სემანტიკური გადახრით — უქონლობასაც)“ (არნ. ჩიქობავა, ი.ცერცვაძე); მაგ., წამ-**ყ**-აბ „მარილ-ნაკლული“ ან „უმარილო (შდრ. წამ „მარილი“), წად-ა-**ყ**-აბ „გვალვიანი (შდრ. წად „წვიმა“), შინ-**ყ**-აჟ „ყრუ (შდრ. შინ „ყური“)“... მორფემა **-ყ** გავრცელებულია ხუნძურის ახლო მონათესავე ანდიურ ენებშიც, მაგ., ანდიურში: წონ-**ყ**ი „მცირემარილიანი“, „მარილნაკლული“; ახვანურში: სო-**ყ**-ედა „ურძეო“;

კარატაულში: **ლანა-ყ**-უბ „მცირეწყლიანი“. „უწყლო“... ეს აფიქსი მი-
ინევა ხუნძურ და ანდიურ ენათა საერთო კუთვნილებად. იგი ზმნურ-
რი წარმომავლობისა ჩანს და უკავშირდება ამ ენათათვის საერთო
ზმნურ ფუძეს ყ-V- „გამოლევა“, „ამოწურვა“, „დაკლება“ (ზ. მაპო-
მედბეკოვა). საკუთრივ ხუნძურში ასეთ ზმნად გვევლინება ყ-ი-ნე
„ამოწურვა“, „გამოლევა რისამე“, „დაშრეტა“, „უქონლობა“.

ხუნძურ ენაში ყურადღებას იქცევს აგრეთვე ელემენტი **-ყი**,
რომელიც გვხვდება სიტყვაში **ლ'არ-ყი** „რქაწატეხილი საქონელი“
(სიტყვა დადასტურებულია ჩრდილოურ ხუნძურში ზ. ჯაფარიძის მი-
ერ), შდრ. **ლ'არ** „რქა“. საფიქრებელია, რომ იგივე ზმნური ელემენ-
ტია წარმოდგენილი ამ არსებით სახელშიც. ამავე ყ-ი-ნე ზმნისაგან
წარმომავალი მორფემა უნდა გვქონდეს სიტყვაშიც **ჰეწო-ყ** „ქვის სა-
ტეხი ურო“, შდრ. **ჰეწო** „ქვა“.

2. სუფიქსი **-ჩ** ხუნძურ ენაში გადმოსცემს სულიერ არსებათა
და საგანთა სხვადასხვაგვარ ნიშან-თვისებებს, მაგ., მიწ-ი-**ჩ** „ულვამა“
(შდრ. მივ „ულვამი“), ყოხ² -ო-**ჩ** „ცხვრის ტყავის ქურთუკი“, გადატ.
„შტერი“ (შდრ. ყოხ²-ო-ლ „ტყავისა“, ყეხ² „ტყავი“), გორო-**ჩ** „პაწია“
(შდრ. გორო „ბურთულა“, „ნამცეცი“), ჰინყ-უ-**ჩ** „მშიშარა“ (შდრ.
ჰინყ-ი-ზე „მეშინება“)...

-ჩ აფიქსის მსგავსი სიტყვაწარმოებითი სუფიქსი დასტურდება
არაერთ სხვა დადესტურ ენაშიც, მაგ., დარგულში: ფუთნუ-**ჩ**
„ცინგლიანი“ (შდრ. ფუთნე „ცინგლები“), ჯონტი-ჩ „id.“ (შდრ. ჯონ-
ტე „id.“), ლეზგიურში: ნეთ-ე-**ჩ** „ტილიანი“ (შდრ. ნეთ „ტილი“),
ალღულურში: კუნტუა-**ჩ** „სქელტუჩა“... არჩიბულ ენაში ხუნძური **-ჩ**
სუფიქსის ეკვივალენტი უნდა იყოს **-ჩი**, რომელიც შემონახულია
„კურდღლის“ სახელწოდებაში: ოდომ-**ჩი**, ზედმიწ. „ყურებიანი“ (შდრ.
ოდ „ყური“, მრ.რ. ოდ-ომ). **-ჩი** სუფიქსის არსებობა იგარაუდება დი-
დოურ ენებშიც. მკვლევრები მას გამოყოფენ ზოგიერთი სულიერი
არსების (ცხოველების, ფრინველების, ქვეწარმავლების...) სახელწო-
დებებში: ბეჟიტ. ტოყ-**ჩი** „თიკანი ერთ წლამდე“, ჰინუხ. ღუღულუ-**ჩი**
„მამალი“, ჰინუხ. ლ'ო-**ჩი** „ბაყაყი“, ხვარშ. ყურყა-**ჩი** „ხვლიკი“ (ი.
ისაყოვი, მ. ხალილოვი).

ინტერესს იწვევს ამ მიმართებით ქართულში არსებული ისეთი სიტყვებიც, როგორებიცაა ქალ-**აჩ**-უნა, ყბ-**აჩ**-ა და სხვა მისთ.

3. სუფიქსი **-ქ** ხუნძურ ენაში აწარმოებს ისეთ სიტყვებს, როგორებიცაა ტოპა -ო-**ქ** „ქეციანი“ (← ტეპა „ქეცი“), ყუტ-უ-**ქ** „მაწანწალა“ (← ყუბატ // ყუტ „ქუჩა“), ცაი-დ-ა-**ქ** „ანჩხლი“, „კაპასი“ (← ცაინ „ნალველი“, „ბრაზი“), ნოდო-**ქ** „ნიკორა“ (← ნოდო „შუბლი“), ნაწო-ი-**ქ** „ტილიანი“ (← ნაწო „ტილი“), ბეცა-უ-**ქ** „ბრუციანი“ (← ბეცა-აბ „ბრმა“), ჩარ-უ-**ქ** „ჭრელა“ (← ჩარ-აბ „ჭრელი“)... **-ქ** სუფიქსი წარმოდგენილია აგრეთვე ზოგიერთი სულიერი არსების სახელწოდებაში: ყოხ^ნ-ო-**ქ** „ღამურა“ (← ყოხ^ნ-ო-ლ „ტყავისა“, ყეხ^ნ „ტყავი“), ყად-ა-**ქ**-ო „ბელურა“ (← ყად-ა-ლ „კედლისა“, ყედ „კედელი“), ლ^ნ-არ-ა-ქ-ო „ბოლოქანქარა“ (← ლ^ნ-არ-ა-ლ „ნაკადულისა“, ლ^ნ-არ „ნაკადული“)... მსგავსი სიტყვაწარმოებითი აფიქსი დასტურდება სხვა დადესტურ ენებშიც, მაგ., ლაკურში: უნწუ-ქ „ცინგლიანი“ (← უნწუ „ცინგლი“), დარგუთლში: ნურბ-უ-**ქ** „ტილიანი“ (ნურბი „ტილები“), ლეზგიურში: წარ-ა-ქ „ჭრელი ცხოველი ან ფრინველი“ (← წარუ „ჭრელი“)... აღუღურში დასტურდება **-კ**: აშლო-ი-**კ** „მტირალა“ (← აშლო „ტირილი“)...

-ქ აფიქსთან დაკავშირებით ინტერესს აღძრავს ქართულში არსებული ერთი იშვიათი სიტყვაწარმოებითი აფიქსი; ეს არის სუფიქსი **-აქა**, რომელიც გამოავლინა ვ. თოფურიამ ერთ-ერთი ფრინველის სახელწოდებაში: ჭინჭრ-**აქა** (შდრ. ჭინჭარ-ი).

4. სუფიქსი **-უ** ხუნძურ ენაში შედარებით ნაკლებპროდუქტიულია: წყე-**უ** „მყუნა“, შდრ. წყე-აბ „მყავე“; ტეპა-**უ** „სვავი“ (ანწუხური დიალექტის ტოხურ და ჭადაქოლოურ კილოკავებში), შდრ. ტეპა „ქეცი“; კუტე-**უ** „მორიელი“ (ანწუხური დიალექტის ტომურულ კილოკავში), შდრ. სალიტ. ხუნძ. კუტე-მახა „მაკრატელი“ (მახა „რკინა“), ყეხ^ნ-**უ** „ღამურა“ (ყარახული დიალექტის ტლესერუხულ კილოკავში), შდრ. ყეხ^ნ „ტყავი“...

სუფიქსი **-უ** უნდა გამოვყოთ აგრეთვე სიტყვაში ღუანშა-**უ** „ვერაგი“, შდრ. ღვანშა „კეფა“. ხუნძურ ენაში „ვერაგობა“ სემანტიკურად სწორედ „კეფას“ რომ უკავშირდება, ამას მოწმობს ფრაზეოლოგიური შესიტყვებაც *ღუანშა ქუაზე*, ზედმიწ. „კეფაში ჩარტყმა“.

გადატანით ეს ფრაზეოლოგიზმი ნიშნავს „მოტყუებას“, „გაქურდვას“; შდრ. ქართ. *ზურგში ჩაცემა*.

სხვა დაღესტნური ენებიდან **-უ** დერივატი მოიპოვება ლაკურში და, ხუნძური სუფიქსისაგან განსხვავებით, მეტი პროდუქტიულობით გამოიჩინება. აწარმოებს იგი სიტყვებს, რომლებითაც აღინიშნება ადამიანის ესა თუ ის თვისება, ხელობა, საქმიანობა; მაგ., ცურქ-**უ** „ქურდი“ (← ცურქ „ქურდობა“), უჟ-უ „უშნო“, „უსახური“ (← უჟი-სა „ცული“), მურჭ-**უ** „ბრმა“ (← ზედსართ. მურჭი-სა „ბრმა“), ჰაჭ-**უ** „ლოთი“ (← ჰაჭ-ან „სმა“), ჩიჩ-**უ** „მწერალი“ (← ჩიჩ-ინ „წერა“), ვუდუჭ-**უ** „გლეხი“ (← ვუ დ-უჭ-ან „ყანის თესვა“, ზედმიწ. „ყანის ჭერა“) და სხვა.

5. სუფიქსი **-მა** ხუნძურ ენაში მეტად იშვიათია და თითო-ორი სიტყვაში თუ გამოიყოფა: წიქ-**მა** „მჟაუნა“, შდრ. ზედსართ. წიქ-აბ „მჟავე“; გოჭ-**მა** „ჭირვეული“, შდრ. ზედსართ. გოჭ-აბ „განეზირებული“. **-მა** სუფიქსის შემცველ ერთ სიტყვას მკვლევრები ადასტურებენ ლაკურ ენაშიც: ჭუჟ-**მა** „ქალაჩუნა“ (ი. აბდულაევი, რ. ელდაროვა). ფუძე, რომელსაც ეს **-მა** სუფიქსი აქვს დართული, ხუნძურიდანაა შეთვისებული: ხუნძ. ჭუჟუ „ქალი“. საფიქრებელია, რომ თვითონ აფიქსიც ამ ნასესხებ ფუძეს უნდა იყოს შემოყოლილი ლაკურში.

ხუნძური მორფემა **-მა** წარმომავლობით უნდა დავეკავშიროთ **მაჰ**-აბ სიტყვას, რომელიც ამჟამად გვევლინება შემადგენელ ნაწილად რთული ზედსართავი სახელებისა, როგორებიცაა, მაგ., ოც-**მაჰ**-აუ „რეგენი (კაცი)“, ზედმიწ. „ხარისებრი“ უფრო ზუსტად — „ხარის სუნისა“ (შდრ. მაჰ „სუნი“, ოც „ხარი“), წიქ-**მაჰ**-აუ „ლაჩარი“, ზედმიწ. „მდედრის სუნისა“ (შდრ. წიქ „მდედრი“, „ძუ“), ბაჭარ-**მაჰ**-აბ „მოწითალო“ (შდრ. ბაჭარ-აბ „წითელი“)... ამრიგად, არს. სახ. წიქ-**მა** „მჟაუნა“ (← წიქ-**მაჰ**-) ← ზედს. სახ. წიქ-**მაჰ**-აბ „მომჟაუო“.

ლატერალურ სპირანტ ლ'-ს გენეზისისათვის ბაცბურ ენაში

1. ისტორიულად დამოწმებულ ნახურ ენათაგან ოდენ ბაცბურ ენაში დასტურდება ლატერალური ფშვინვიერი სპირანტი ლ', რომლის დისტრიბუცია ძირეული მორფემის აუსლაუტითა და სიტყვაში ინტერ-ვოკალური პოზიციით შემოიფარგლება, მაგ: დალ'არ „მიცემა“, აღ'არ „თქმა“, მელ' „რამდენი“, ვორლ' „შვიდი“, ბარლ' „რვა“ და ა. შ.

ჩეჩურსა და ინგუშურში ლ'-ს კანონზომიერ შესატყვისად მოეპოვება ლ, ჰ, 0 (ნული), რომელთაგან ჰ და 0 (ნული) გვხვდება ვიბრანტ რ-ს მომდევნოდ, მაგ: ბაცბ. მალ'არ : ჩეჩნ.-ინგ. მალარ „სასმელი“, „დაღვეა“, ბაცბ. მელ' : ჩეჩნ.-ინგ. მეელ „რამდენი“, ბაცბ. ბარლ' : ჩეჩნ.-ინგ. ბარჰ „რვა“...

2. ლატერალის წარმომავლობის შესახებ პირველი თვალ-საზრისი მოცემული აქვს ნ. ტრუბეცკოის, რომელსაც ლ' მჟღერი ლატერალური აფრიკატისაგან მიღებულად მიაჩნია (ტრუბეცკოი 1987: 244).

ნ. ტრუბეცკოის შემდეგ ამ ლატერალს არაერთი მკვლევარი შეეხო, თუმცა დღესაც საკითხი ბოლომდე გარკვეული არ არის.

ი. დეშერიევს ფარინგალური სპირანტი ფუძენახურ ლატერალ ლ'-სგან მიღებულად მიაჩნია (დეშერიევი 1963: 244). გ. მაჭავარიანი ბაცბურში თავჩენილ ლატერალურ სპირანტ ლ'-ს საერთო-ნახურ ლატერალურ სპირანტ ლ'-ს უკავშირებს, ხოლო დ. იმნაიშვილი ძირითადად ეთანხმება ნ. ტრუბეცკოის მოსაზრებებს ლ'-ს გენეზისის შესახებ (მაჭავარიანი 1964: 264-265; იმნაიშვილი 1977: 198). ლ. სანიკიძის თეზისებში დადგენილია ლ'-ს დისტრიბუცია და ცვლილებები ნახურ ენებში (სანიკიძე 1968: 12-13). რაც შეეხება მ. ჩუხუასეულ გენეზისს, იგი ლ'-ს ფარინგალურ ჰ-ს უკავშირებს (ჩუხუა 2008: 178-179).

3. ჩვენი აზრით, ბაცბური ენის ლატერალური სპირანტი ჩანს დიფუზური ფონემა, რომელიც წარმოქმნილია სხვადასხვა სახეობის ლატერალთა თანხვედნის საფუძველზე. კერძოდ, იგი უკავშირდება ნა-ხურ-დადესტნური ფუძეების მჟღერ ლატერალურ აფრიკატ **ლ^ვ**-ს, რომელიც აღდგება შესატყვისობის შემდეგი ფორმულის საფუძველზე:

*													
	ბაცბ.	ჩენ.	ხუნდ.	ანდ.	ახვ.	დიდ.	ლაკ.	ლეზგ.	არჩ.	ხინ.	უდ.		კავკ.-ალბ.
ლ ^ვ	ლ ^ა	ჰ,ლ	ტ ^ა	ტ ^ა	ტ ^ა	ლ ^ა	ქ,ლ	ლ ^ა ქ	ლ ^ა	ა	ლ,ლ		ლ

1) ბაცბ. დალ^ან : ჩენ. დალა ~ ხუნდ. ტ^აზე ~ დიდ. თელ^ა ~ ლაკ. დულუნ ~ ლეზგ. ლ^ა-უნ : თაბ. ლ^აზ : კავკ.-ალბ. და-ლ^ა-ეს „მიცემა“.

2) ბაცბ. ვორლ^ა : ჩენ.-ინგ. ვორლ^ა ~ ხუნდ. ანტ^ა-გო ~ ანდ. პოტ^ა-გუ : ახვ. ატ^ა-და-ბე ~ დიდ. ცოლ^ა-ნო ~ ლაკ. არულბა ~ ლეზგ. ურლ^ა-ბ, ურგ^ა-ჟ: არჩ. ჟილ^ა : ხინ. დიკ : უდ. ვულ^ა: კავკ.-ალბ. ვულ^ა „შვიდი“...

4. გარდა ამისა, სპირანტი **ლ^ა**, ერთი მხრივ, პარალელს პოულობს საერთო-დადესტნურ ინტენსიურ ლატერალ ტ^ა-სთან, ხოლო, მეორე მხრივ კი, დაჩნდება ისეთ ლექსემებში, რომელთათვისაც ამოსავლად ივარაუდება **ლ^ა**, მაგ.: *ტ^ა: ბაცბ. აღ^აარ : ჩენ. ალ^აარ ~ ანდ. რუტ^აი : ახვ. ეტ^აერი ~ დიდ. ელ^ა ~ ლეზგ. ლე-კ^ა-უნ „თქმა“, „თქვა“...; *ლ^ა: ბაცბ. თილ^აარ : ჩენ. თილ^აარ ~ ხუნდ. ლ^აზე ~ ახვ. ბილ^აურულ^ა ~ დიდ. ე-რ^ა-ა ~ ად. ლარ^ას : არჩ. ელ^აას : უდ. ლახ^ასუნ : კავკ.-ალბ. ძეს^ასუნ „დადება“, „დადგმა“...

ისმის კითხვა: ზემოდასახელებულ ლატერალთაგან რომელია ამოსავალი ბაცბურ ფონეტიკურ სპირანტ ლ^ა-სთვის?

მოხსენებაში წარმოდგენილია არქიფონემის რეკონსტრუქციის ცდა.

წინაველარული აფრიკატები საერთოლექსიკონში

საერთოლექსიკონ ფუძეენას, ჩვენი აზრით, მოეპოვებოდა როგორც წინაველარული ხშულ-მსკდომები, ისე წინაველარული აფრიკატები. წინაველარულ აფრიკატთა რიგი, სავარაუდოდ, ოთხი წევრით უნდა განისაზღვროს (*ქ^ჲ, *ქ^ჟ, *კ^ჲ, *კ^ჟ).

წინაველარული აფრიკატები დალესტნურ ენებში სინქრონულ დონეზეც დასტურდება; ამასთან დაკავშირებით ტ. გუდავა შენიშნავს, რომ ინტენსიური წინაველარული თანხმოვნები ანდიურ ენებში (ქ^ჟ, კ^ჟ) აფრიკატებს განეკუთვნება, ხოლო სუსტი წინაველარული თანხმოვნები — ხშულ-მსკდომებს. დიაქრონიული ვითარების თვალსაზრისით კი, საფიქრებელია, რომ საერთოდალესტნური ფუძეენა უკანაენისმიერ თანხმოვანთა სიჭარბით გამოირჩეოდა. ბ. გიგინეიშვილი საერთოდალესტნურისათვის წინაველარულ აფრიკატთა ხუთეულს ვარაუდობს, თუმცა ამ ხუთეულის მჟღერი და სუსტი წევრები, როგორც მკვლევარი მიიჩნევს, საერთოდალესტნური ფუძეენის დაშლამდე ხშულ-მსკდომებს შეერწყა და, შესაბამისად, უკვალოდ დაიკარგა. რაც შეეხება ინტენსიურ წინაველარულ აფრიკატებს: ბ. გიგინეიშვილმა აღადგინა ფშვინვიერი აფრიკატი საერთოდალესტნურ დონეზე, ხოლო გლოტალური წევრი — მხოლოდ საერთო-ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ დონეზე.

აღსანიშნავია, რომ წინაველარული აფრიკატების პოსტულირების ცდა საერთოლექსიკონისათვის სამეცნიერო ლიტერატურაში არ ყოფილა. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ საერთოლექსიკონში აღდგება არა მარტო ინტენსიური წინაველარული აფრიკატები (*ქ^ჟ, *კ^ჟ), არამედ სუსტი აფრიკატებიც (პირობითად — *ქ^ჲ, *კ^ჲ). თუ ინტენსიური წინაველარული აფრიკატები საერთოლექსიკონში იმავე ჟღერადობის საერთოდალესტნური ფონემებისაგან მომდინარეობს, სუსტი წინაველარული აფრიკატები საერთოდალესტნურ სუსტ ლატერალურ აფრიკატთაგან უნდა იყოს მიღებული (*ლ^ჲ > *ქ^ჲ; *ტ^ჲ > *კ^ჲ). შემდგომი

პროცესები სხვადასხვაგვარად წარიმართა: თუ სუსტმა ფემინივერმა წინაველარულმა აფრიკატმა განიცადა სპირანტიზაცია (*ქ > ხ), სუსტმა გლოტალურმა წინაველარულმა აფრიკატმა ორი განსხვავებული კორესპონდენცია მოგვცა ლეზგიურ ენებში (კ და ყ).

ბ. გიგინეიშვილი საერთოლენგიურის დაშლამდე *ლ' > *ქ და *ტ' > *კ პროცესებს ვარაუდობს, რასაც ვერ გავიზიარებთ: ეს პროცესები რომ განვითარებულიყო, მაშინ *ლ' და *ქ, ერთი მხრივ, და *ტ' და *კ ბგერები, მეორე მხრივ, ლენგიურ ენებში ერთნაირ რეფლექსებს მოგვცემდა; თუ საერთოდ აღესტურა *ქ და *კ ბგერები ლენგიურ ენებში იდენტური კორესპონდენციებითაა წარმოდგენილი, *ლ', როგორც წესი, ხ-ს გვაძლევს, ხოლო *ტ' ბგერა, როგორც აღინიშნა, ორი ძირითადი რეფლექსითაა წარმოდგენილი (კ და ყ).

წინაველარული აფრიკატების კორესპონდენციები სიმეტრიულობას ამჟღავნებს სხვა ლოკალური რიგების შესაბამის აფრიკატთა რეფლექსაციასთან. წარმოდგენილი იქნება წინაველარული აფრიკატების შესატყვისობათა ფორმულები და ამ ფორმულათა დამადასტურებელი მაგალითები.

ლ ა ტ ა ვ რ ა ს ა ნ ი კ ი ძ ე

აბლაუტი ბაცბურ (წოვა-თუშურ) ჯაუჯუ („მტრედი“) ტიპის სახელთა ბრუნებაში

იბერიულ-კავკასიურ ენათა ნახურ ჯგუფში გამოყოფენ აბლაუტის სამ ტიპს (თუმცა არსებითად აბლაუტად მიიჩნევენ პირველ ტიპს): 1) ჩეჩნ. სახ. ნიყ, ნეყ „გზა“, მეორე ფუძე — ნ ა ყ... 2) ჩეჩნ. სახ. შუო „წელი“, მეორე ფუძე — შარ, რომელშიც აღდგება ადრინდელი სახელობითის რ ბოლოკიდური თანხმოვანი; 3) ჩეჩნ.

სახ. დიგ „ნაჯახი“, მეორე ფუძეა და გ ა რ, **-არ, -ორ** სუფიქსიანი (დ. იმნაიშვილი, ა. თიმავევი).

მეორე და მესამე ტიპის ბრუნებას უახლოვდება ბაცბურში **ჭაჭჭ** (>||ჭოჭო) „მტრედი“ ტიპის ბრუნება, ოღონდ პირველ ფუძეში (ჭაჭო) **აუ** დიფთონგი იჩენს თავს, მეორეში (ჭაჭნ) — ა ხმოვანი, ამასთანავე მეორე ფუძე (ჭაჭნ) **ნ** ბოლოთანხმოვნიანია.

მეორე ფუძეში წარმოდგენილი **ნ VC სავრცობისაგან** უნდა მომდინარეობდეს: პ ი რ ვ ე ლ ფ უ ძ ე შ ი სახ. **ჭაჭჭ** < ჭაჭ + უნ (ჭაჭ + უნ > **ჭაჭუნ** (უ-ს რეგრესული მეტათეზისით) > **ჭაჭჭ** (ნ-ბოლოთანხმოვნის რედუქციით); მეორე ფუძეში **ჭაჭუნ** + VC (ბრუნვის ნიშანი) > ჭაჭნ (**უ** ხმოვნის რედუქციით).

როსტომ ფარეულიძე

ფონეტიკური მოვლენები ნახურ ენებში — დ ბგერის დაკარგვა ინლაუტში

1. სიტყვის ბოლოკიდურ პოზიციაში ზოგი ბგერის (მათ შორის დ-ს) მოკვეციტ გამოწვეული ფონეტიკური მოვლენები (მარცვლის გახსნა) განხილული გვაქვს ცალკე (იხ. იკე, ტ. 39, თბილისი, 2011).

2. **დ** ბგერის დაკარგვის შემთხვევები ნახურ ენებში, აუსლაუტის გარდა, დასტურდება აგრეთვე, ინლაუტშიც — ინტერვოკალურ პოზიციაში. **დ**-ს დაკარგვის ცნობილი ნიმუშია სიტყვა **ბადერ**, რაც წოვათუშურში ნიშნავს „ბავშვს, შვილს, ყრმას“. ინტერვოკალურ პოზიციაში **დ**-ს ჩავარდნით ჩეჩნურ-ინგუშურში მივიღეთ **ბერ // ბერ // ბიერ** იმავე მნიშვნელობით.

ბერ//ბერ ფონემურად ახლოს დგას ლაზურ სიტყვასთან **ბერე** „ბავშვი“. იგივე შეიძლება ითქვას **-ბერ-** ფუძეზე მეგრულ **გიგი-ბერ-ია** ტიპის გვარის აღმნიშვნელ სახელებზეც. ნახური და ზანური ფუ-

ძეები სხვადასხვა წარმოშობისა ჩანს, რასაც წოვური **ბადერ** ფუძის სტრუქტურა ადასტურებს.

3. **დ** ბგერა ჩავარდნილია ჩეჩნურ-ინგუშურ ლექსემაში **გურ** (დიალ. ვარიანტი) „გარა“, ხელით საქსოვი დაზგის ნაწილი. აღნიშნულ სიტყვას ჩეჩნურ-ინგუშურში აქვს გალიის, მახის და სხვა მნიშვნელობებიც. საქსოვი დაზგის ნაწილის მნიშვნელობით ამ ენებში იგი არქაიზმს წარმოადგენს. **გურ** სიტყვის შესატყვისი წოვათუშურში არის **გუდურ** „საბეჭავის“ მნიშვნელობით [ქადაგიძე 1984]. საბეჭავიც საქსოვი დაზგის ნაწილია. **გურ** ფორმის წარმომავლობა **გუდურ**-ისაგან ეჭვს არ უნდა იწვევდეს. დასადგენია ამ სიტყვათა კავშირი ქართულ **გარა**-სთან, რომელიც საბას განმარტებით, **გარა** არის „გრძლად ორკაპი ჯოხი“.

4. ინტერვოკალურ პოზიციაშია ჩავარდნილი **დ** ბგერა სიტყვაში **ველა** (< ვალი) (ჩეჩნური), **ვალ** (ინგუშური) „ფაშატი“. შეადარეთ წოვათუშური **ვადალ** იმავე მნიშვნელობით. სიტყვა ნახურ ენებში ნასესხები ჩანს ქართული ენის მთის დიალექტებიდან. შდრ., ძვ. ქართული **ვდალი** „დედალი“, „ჭაკი“ (ა. ჭინჭარაული, ზ. სარჯველაძე...).

5. მოხსენებაში განხილულია, აგრეთვე, **დ** ბგერის ჩავარდნის შემთხვევები ლექსემებში:

წოვათუშური **ბად** „ობოლი“ — ჩეჩნურ-ინგუშური **ბჟო**;

წოვათუშური **ვადონ** „მავნე, მაწყინარი; უკმეხი“ [ქადაგიძე 1984] — ჩეჩნურ-ინგუშური **ვჟონ** „ცული“;

წოვათუშური **ბედ-დ-ალარ** „გაყრა, ცალკე გასვლა“ — ჩეჩნურ-ინგუშური **ბუე-ვ-ნლარ//ბუე-ვ-ნლარ** „გაყრა, საცხოვრებლად ცალკე გასვლა“. შდრ. წოვური **ბედ** „ცალკე“.